MediaVoice

მედიაგარემო 2023:

გამოწვევები პოლიტიკური პოლარიზაციისა და კრიზისების დროს საქართველოში

მედიაგარემო 2023: გამოწვევები პოლიტიკური პოლარიზაციისა და კრიზისების დროს საქართველოში

ავტორები:
მარიამ გერსამია
მაია ტორაძე
მარი ბანძელაძე

თბილისი
2023

მედიაგარემო 2023: გამოწვევები პოლიტიკური პოლარიზაციისა და კრიზისების დროს საქართველოში
Media Environment 2023: Challenges during Political Polarization and Crisis in Georgia

©ავტორები:
მარიამ გერსამია, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაია ტორაძე, ასოცირებული პროფესორი,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარი ბანძელაძე, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი

რეცენზენტები:
ხატია ჯინჯიხაძე, “სამოქალაქო საზოგადოების ფონდის” (ყოფილი „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“) დირექტორის მოადგილე და მედია პროგრამის მენეჯერი;
ზვიად აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დიანა ჭანკოტაძე, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი

© ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა“, 2023.

კვლევა მომზადდა პროექტის - „მედიაგარემო 2023: საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები პოლიტიკური პოლარიზებისა და კრიზისების დროს“ - ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის - სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით. აღნიშნული ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ცენტრი მადლობას უხდის საქართველოს უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კონტრიბუციისთვის.

ნაშრომის ციტირების წესი: გერსამია მ., ტორაძე მ., ბანძელაძე მ., მედიაგარემო 2023: გამოწვევები პოლიტიკური პოლარიზაციისა და კრიზისების დროს, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა“, 2023.

გარეკანის დიზაინი: ლიზა ღლონტი

ISBN 978-9941-8-6200-7

სარჩევი

შესავალი **5**

1. კვლევის მეთოდოლოგია და პროცედურები **7**

2. ძირითადი მიგნებები **8**

3. ლიტერატურის მიმოხილვა **12**

4. ანალიზი და დისკუსია **20**

4.1. როგორ მოქმედებს პოლარიზაცია ქართულ მედიაგარემოზე? 20

4.2. ჟურნალისტური საქმიანობის გამოწვევები: კანონის ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ 28

4.2.1. ცვლილება ჟურნალისტების აკრედიტაციის წესში 29

4.2.2. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონი და მედია 31

4.2.3. სიძულვილის ენისა და უხამსობის რეგულირება 32

4.2.4. ნიკა გვარამიას საქმე 2023 34

4.3. მედია ლოკალური და გლობალური კრიზისების კონტექსტში 35

4.3.1. მედია „კანდიდატის სტატუსის”მოლოდინში 36

4.3.2. მედია რუსული „ავთვისებიანი გავლენების“ პირისპირ 37

4.3.3. მედიის გამოწვევები არჩევნების წინ 39

4.4. ჟურნალისტურ წყაროებთან ხელმისაწვდომობა 41

4.5. საგამოძიებო ჟურნალისტიკის გამოწვევები 42

4.6. ჟურნალისტების უსაფრთხოება 44

4.7.მედია ფინანსური კოლაფსის პირისპირ 46

4.8. მხარდამჭერი მექანიზმები და სოლიდარობის ჟურნალისტიკა 48

რეკომენდაციები **51**

დასკვნა **57**

დანართი **58**

გამოყენებული ლიტერატურა **59**

ავტორების შესახებ **66**

შესავალი

კვლევის მიზანია, აღწეროს და შეაფასოს 2023 წელს საქართველოს მედიაგარემო და გამოკვეთოს საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც გავლენას ახდენს მედიის სიცოცხლისუნარიანობაზე საქართველოში.

კვლევა გამოკვეთს, გლობალური და ლოკალური გამოწვევებისას, როგორ მოქმედებს პოლიტიკური პოლარიზაცია მედიაზე, ჟურნალისტების საქმიანობაზე, პროდუქტის ხარისხსა და მედიის სანდოობაზე. კვლევაში გაანალიზებულია, თუ როგორ ახერხებს მედია ინსტიტუციური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას (მაგ: ფინანსურ მდგრადობას, კონტენტის წარმოების უწყვეტობას, წყაროებთან ხელმისაწვდომობას) პოლიტიკური პოლარიზაციის კონტექსტში. ამ პროცესში შეფასებულია, თუ რა ხელისშემშლელი და მხარდამჭერი მექანიზმები არსებობს მედიაში სხვადასხვა აქტორის (მმართველი და სხვა პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და მედიის აუდიტორიის, ბიზნეს-სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების) მხრიდან.

წინა წლების მსგავსად, კვლევა აფასებს სოლიდარობის ჟურნალისტიკის, როგორც მხარდამჭერი მექანიზმის, ეფექტურობას და აღწერს, როგორ ვლინდებოდა 2023 წელს: 1. სოლიდარობა მედიის მიმართ; 2. ურთიერთსოლიდარობა მედიასაშუალებებს შორის; 3. სოლიდარობა მედიის მხრიდან სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ.

კვლევა გამოკვეთს, თუ როგორ მუშაობს პოლიტიკური პოლარიზების პირობებში მედია და როგორ უმკლავდება რუსული დეზინფორმაციის გამოწვევებს. კვლევის ერთ-ერთი ასპექტი არის - გააანალიზოს მედიაგარემოს როლისა და ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში.

კვლევის დასაწყისში გამოყოფილია ის საკვანძო მოვლენები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა მედიის დღის წესრიგსა და მედიაგარემოზე.

საკვანძო მოვლენები: 2023

- **6 თებერვალი** - პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით (1/31/23; 06-02-2023) განისაზღვრა საკანონმდებლო ორგანოში ჟურნალისტების ქცევისა და მოქმედების წესები.

- **14 თებერვალი** - მმართველ გუნდში შემავალმა პოლიტიკურმა ჯგუფმა „ხალხის ძალამ“ დააანონსა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონპროექტის ინიციირება.

- **20 თებერვალი** - კანონპროექტის გაპროტესტება მედიაორგანიზაციებმა დაიწყეს. მალევე 260-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ საერთო საპროტესტო განცხადება გაავრცელა და კანონს „რუსული კანონი” უწოდა.

- **7-10 მარტი** - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონპროექტი, პირველი მოსმენით, 7 მარტს მიიღეს. ხალხის მასობრივი პროტესტის შედეგად კი, მმართველი ძალა იძულებული გახდა, 10 მარტს კანონპროექტი ჩაეგდო.

- **19 ივნისი** - უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება მთავარი არხის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვების შესახებ.

- **22 ივნისი** - საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამიას შეწყალებას ხელი მოაწერა.

- **18 ოქტომბერი** - მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ” მაუწყებლობის შესახებ კანონში სიძულვილის ენის რეგულირებასთან დაკავშირებული ცვლილებები დაარეგისტრირა. მმართველმა პარტიამ - „ქართულმა ოცნებამ” - მაუწყებლობის შესახებ კანონში სიძულვილის ენის რეგულირებასთან დაკავშირებული ცვლილებები დაარეგისტრირა.

- **19 ოქტომბერი** - საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით, მესამე მოსმენით მიიღო მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები. შედეგად, თვითრეგულირებიდან რეგულირების სფეროში გადავიდა სიძულვილის ენა, რეგულირება შეეხო უხამსობასაც. ცვლილების შედეგად, კიდევ უფრო გაიზარდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებები.

- **8 ნოემბერი** - ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების შესახებ.

- **14 დეკემბერი** - ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების შესახებ.

1. კვლევის მეთოდოლოგია და პროცედურები

წინამდებარე კვლევაში 2023 წლის მედიაგარემოს გამოწვევები და მხარდამჭერი მექანიზმები გაანალიზებულია ქართულ მედიასაშუალებებში დასაქმებულების მხრიდან. მათ შორის არიან სხვადასხვა პოლუსზე მყოფი ჟურნალისტები, რომლებსაც პოლარიზაციით გამოწვეული საერთო წუხილები და განსხვავებული გამოწვევები ყოფთ და აერთიანებთ კიდეც.

კვლევის მეთოდად შერჩეულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ კი - ფოკუს-ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია დისკუსიის გაიდლაინი, პირველადი ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვებით. დისკუსიის და ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოიკვეთა მეორადი კითხვები. მედიაგარემოზე დაკვირვება, წინა წლების (2021 და 2022) კვლევების მსგავსად, მოხდა დისკუსიის მონაწილეთა და რესპონდენტთა თვალით დანახულ რეალობაზე დაყრდნობით.

მონაცემთა შეგროვების პერიოდად განისაზღვრა 2023 წლის ოქტომბერი და ნოემბერი. კვლევაში ჩართული მედიასაშულებებიდან ექვსი არის მსხვილი ნაციონალური მაუწყებელი, ორი - საგამოძიებო სტუდია, ორი - რადიო (მათ შორის ერთი - საერთაშორისო ბიურო) და რვა - ონლაინ და/ან რეგიონული გამოცემა. შერჩევისას გათვალისწინებულია, რომ კავკასიის ბარომეტრის 2022 წლის კვლევების (NDI, თებერვალი, 2022) მიხედვით, ინფორმაციისა და ახალი ამბების მიღების მთავარ წყაროდ საქართველოში გამოკითხულთა 49% ასახელებს ტელევიზიას. შერჩეულ მედიასაშუალებებს სხვადასხვა აუდიტორია, ნდობა და გავლენა აქვს. მათ შორის არიან NDI-ის მიერ 2023 წლის მარტში და IRI-ის მიერ შემოდგომაზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით (NDI, CRRC საქართველო; მარტი, 2023) ყველაზე დიდი გავლენის მქონე მედიასაშუალებები (ტელეკომპანიები: “იმედი”, “მთავარი არხი”, “რუსთავი 2”, “ტვ პირველი”, “ფორმულა”, საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვ.).

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ორი „ოფლაინ“ ფოკუს-ჯგუფი (მონაწილეების ჯამური რ-ბა: 13) და ერთი ონლაინ ფოკუს-ჯგუფი (მონაწილეების რ-ბა: 5). რესპონდენტთა შორის იყვნენ ჟურნალისტები/რეპორტიორები, მედია-მენეჯერები, პროდიუსერები, მედიის დამფუძნებლები, საავტორო გადაცემის ავტორები და წამყვანები. ფოკუს-ჯგუფების პარალელურად, ორი მედიასაშუალების წარმომადგენელთან (მათი თხოვნის გათვალისწინებით) ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. სულ კვლევაში მონაწილეობდა 18 მედიასაშუალების 20 წარმომადგენელი, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია, ხოლო მედიასაშუალებების ჩამონათვალი იხ. დანართის სახით.

2. ძირითადი მიგნებები

- ქართული მედიასივრცის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას, წინა წლების მსგავსად, წარმოადგენს პოლიტიკური პოლარიზაცია. საქართველოში არსებობს როგორც რეალური, ასევე ე.წ. ცრუ/ილუზორული პოლარიზაცია. კვლევამ გამოკვეთა, რომ პოლარიზაციის ორივე სახით გამოვლინება დამაზიანებელია მედიაგარემოსთვის. 2023 წელს კიდევ უფრო გაიზარდა ე.წ. ცრუ პოლარიზაციის ნეგატიური გავლენა მედიაგარემოზე. გამოიკვეთა ამ ნეგატიური მოქმედების ჯაჭვი, სადაც: პოლარიზაცია მოქმედებს ჟურნალისტურ საქმიანობაზე და აჩენს ხელოვნურ ბარიერებს, განდევნის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს/დისკურსს დღის წესრიგიდან და, შედეგად, ზიანდება მედიაპროდუქტის ხარისხი. ეს მოქმედებს საზოგადოების მხრიდან მედიის ნდობასა და, საბოლოოდ, სოლიდარობაზე.

- ცრუ და ილუზორული პოლარიზაციის შედეგად, მედიის დღის წესრიგიდან ხელოვნურადაა განდევნილი ის თემები, რომლებიც საზოგადოებას აღელვებს. მათ ადგილს კი იკავებს საზოგადოებისთვის ნაკლებად მტკივნეული პრობლემატიკა: უშინაარსო, მტრულ რიტორიკასა და ილუზორულ პრობლემებზე აგებული დისკუსია. ჟურნალისტები თანხმდებიან, რომ „პოლარიზაციის შედეგად, მედია დაშორდა ხალხს" და ეს ორივე (მთავრობისადმი ლოიალურ და ოპოზიციისადმი ლოიალურ) მხარეს მყოფი მედიის წარმომადგენლებისთვის გამოწვევად სახელდება.

- პოლარიზაცია აზიანებს მედიაპროდუქტის ხარისხს და აჩენს ხელოვნურ ბარიერებს ყოველდღიურ ჟურნალისტურ საქმიანობაში. ეს ეხება წყაროებთან კომუნიკაციასა და ინფორმაციის მოძიებას, კონტენტის შექმნას, უსაფრთხოებას და სხვ. პოლარიზაცია მოქმედებს ჟურნალისტურ წყაროებზეც და ვლინდება მათ თვითცენზურაში. შედეგად, პოლარიზაციის სხვადასხვა მხარეს მყოფ მედიას ერთი და იგივე რესპონდენტები სხვადასხვანაირად ესაუბრებიან (ითვალისწინებენ რა ამა თუ იმ არხის სარედაქციო პოლიტიკას).

- პოლიტიკური პოლარიზება წამლავს მედიაორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობას (ყოველდღიურ პროფესიულ რუტინას), ამცირებს მედიაორგანიზაციებს შორის სოლიდარობას და საზოგადოებაში ჟურნალისტის პროფესიისადმი ნდობას. შედეგად, საზოგადოება ნაკლებად სოლიდარულია მედიის მიმართ (გამონაკლისია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტის განხილვისას საზოგადოების გაერთიანება, თუმცა ეს სოლიდარობაც ფრაგმენტულობით ხასიათდებოდა).

- პოლარიზაციის შედეგად, მედიაში დასაქმებულების ფსიქოლოგიური შევიწროება მოქმედებს არა მხოლოდ მათ ჟურნალისტურ საქმიანობაზე, არამედ მათ პირად ცხოვრებასა და უსაფრთხოებაზე (ეს განსაკუთრებით მწვავეა ქალ ჟურნალისტებთან მიმართებით).

- მედიაპროდუქტის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს წყაროების ერთფეროვნებაც. პოლარიზებულ მედიაში მიუკერძოებელი შინაარსის დისკურსი კიდევ უფრო დავიწროვდა და პოლარიზაცია შეეხო იმ ნიშასაც, სადაც ექსპერტული მოსაზრებები დომინირებდა.

- მედია მხოლოდ კი არ აშუქებს/აირეკლავს პოლიტიკურ პოლარიზაციას, არამედ თავადაა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე და მხარე, რომლისგანაც „მტრის ხატი" იქმნება. ამ პროცესში, ბოლო წლებია, გაქრა კოლეგიალობა და ერთ "მხარეს" მყოფ მედიასთან საბრძოლველად მეორე "მხარეს" მყოფი მედიაა გამოყენებული.

- პოლარიზაციის ნეგატიური გავლენა მედიაზე წლიდან წლამდე იზრდება და შეიმჩნევა როგორც ნაციონალურ, ასევე რეგიონულ მედიაში. მედიაგარემოში ნეგატიური სცენარების განვითარების (მედიაზე წნეხის გაზრდის, აგრესიის მატების, შევიწროებისა და დისკრედიტაციის, ფიზიკური ანგარიშსწორების და სხვ.) მოლოდინები განსაკუთრებით იზრდება 2024 წელს მოახლოებული არჩევნების კონტექსტში.

- მედიის წარმომადგენლების შეფასებით, გაზრდილია ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის მიმართ აგრესია და ის მოდის როგორც მკვეთრად პოლარიზებული საზოგადოების, ასევე მმართველი გუნდისა და ოპოზიციის მხრიდან.

- 2023 წელს ჟურნალისტის, როგორც პროფესიის, მიმართ აგრესიამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. კვლევაში ჩართული ყველა ჟურნალისტი მუდმივად ახსენებს შიშის ემოციას, რაც მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაუცველობიდან მოდის. მედიაში გაზრდილი შიშის ატმოსფერო ჟურნალისტებს რუსულ, საბჭოთა სისტემას ახსენებს.

- გაუარესდა მდგომარეობა ჟურნალისტების უსაფრთხოების და მათი დაუცველობის თვალსაზრისით. წინა წლების მსგავსად, ჟურნალისტების დაუცველობის შეგრძნებას განსაკუთრებით ამძაფრებს დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც მათ წინააღმდეგ განხორციელებული სხვადასხვა სახის ძალადობას, ფაქტობრივად, ლეგიტიმურს ხდის.

- მედიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ, პოლარიზაციის ზეგავლენის გამო, მედიისადმი ნდობა შემცირდა. მოახლოებული არჩევნების კონტექსტში, ეს გამოწვევაა: თუ ამომრჩეველი არ ენდობა მედიას (და სხვა ინსტიტუციებს), ამით ვიწროვდება მისი ინფორმირებული არჩევანის საზღვრები. ამ შემთხვევაში, მეტი სივრცე ჩნდება პოპულისტური დისკურსისა და მანიპულაციისთვის.

- ქართული მედია არ არის ძლიერი ინსტიტუციური მოთამაშე, რომელსაც შეუძლია შეცვალოს პოლიტიკური პოლარიზაციის ხარისხი. პოლარიზაციის შემცირების მთავარი ბერკეტი აქვს მმართველ პარტიას და შემდეგ, სხვა პოლიტიკურ პარტიებს. საბოლოოდ, მხოლოდ სხვადასხვა აქტორების კოორდინირებულ მოქმედებას შეუძლია პოლარიზაციის შემცირება.

- ჟურნალისტების საქმიანობის ხელისშეშლისთვის და შეზღუდვისთვის მმართველმა პარტიამ კანონის ინსტრუმენტალიზაციასა და რეგულირების გამკაცრებას სისტემურად მიმართა. ჟურნალისტების აზრით, მმართველი პარტია ამ რეგულაციებს არჩევნების დროს აამოქმედებს, მაშინ, როცა საზოგადოებას ყველაზე მეტად დასჭირდება ობიექტური და მრავალმხრივი ინფორმაცია ინფორმირებული არჩევანის მისაღებად.

- საქართველოში SLAPP-ის (სტრატეგიული სარჩელები სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ) იმაზე მეტი შემთხვევა შეიძლება იყოს, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკაა. კვლევაში ჩართული მედიის წარმომადგენლები არ იცნობენ SLAPP-ის თემატიკას, თუმცა იხსენებენ კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც სარჩელების ამ კატეგორიას მიესადაგება. ამ მახინჯი პრაქტიკის დამკვიდრებისა და მედიის შევიწროების შემთხვევაში, ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მედიაორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სოლიდარობის დემონსტრირებასა და კოორდინირებული პროტესტის გამოხატვას.

- ჟურნალისტები არ არიან მზად 2024 წელს ელექტრონული წესით არჩევნების პროცესის გაშუქებისთვის და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ამ მიმართულებით პროფესიულ გადამზადებას.

- განსაკუთრებით გააქტიურდა ტროლ-ბოტების რესურსის მიზანმიმართული გამოყენება რუსული დეზინფორმაციის ტირაჟირებისთვის. დამაზიანებელი გახდა პარტიული ტროლებისა და ბოტების საქმიანობა სოციალურ ქსელში და მედიასაშუალებების ვებ-გვერდებზე, რასაც თავისი წინაპირობა აქვს - ახლოვდება საარჩევნო წელი და ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ ეს წელი განსაკუთრებული საფრთხის მატარებელი იქნება მათთვის.

- რუსული რბილი ძალა გააქტიურდა რეგიონებში, სადაც დეზინფორმაციის გამავრცელებლებად გვევლინებიან რეგიონში მცხოვრები ავტორიტეტები, რომელთა მიმართაც მოსახლეობა მოწყვლადია.

- დამოუკიდებელ მედიაში ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პოლიტიკური პოლარიზაციაა. შეზღუდული დაფინანსება და/ან მედიის მფლობელების პარტიული გემოვნება/მიკერძოებულობა კი მედიაპროდუქტის ხარისხზე მოქმედებს. მედიის დაფინანსების მოდელის ცვლილება არის ის ერთ-ერთი გამოსავალი, რომელიც დამოუკიდებელ მედიას მისცემს დღის წესრიგის შექმნის შესაძლებლობას.

- თუ მედიის დამფინანსებლებს პარტიული აფილირება არ ექნებათ - მედია უფრო დამოუკიდებელი გახდება. პოლარიზებულ მედიაგარემოში ასეთ ნათელ წერტილად იმ მედიასაშუალებებს ასახელებენ, რომლებიც საერთაშორისო დონორების დაფინანსებით ახერხებენ ფუნქციონირებას. მათი თავისუფლების გარანტი მათივე დაფინანსების მოდელია, მაგრამ, სწორედ დაფინანსების არამდგრადობის გამო, ეს მოდელი რისკ-ფაქტორების შემცველია.

- ხალხის მხრიდან მედიისადმი სოლიდარობისა და ნდობის ნაკლებობაა და ეს უკავშირდება იმას, რომ მედიის დღის წესრიგი თავად დაშორდა ხალხსა და მის პრობლემატიკას, მედია აღარაა საზოგადოებისთვის პრობლემების მოგვარების ხიდი. თავად მედიაორგანიზაციებს შორის კოლეგიალობისა და სოლიდარობის აღდგენის წინაპირობა შესაძლოა იყოს ეთიკურობა, რომელიც ყოველდღიური საქმიანობისას მედიას გააერთიანებს.

მედიაგარემოში არსებული საფრთხეები ზეგავლენას ახდენს როგორც მმართველი პარტიისადმი კრიტიკულად განწყობილ, ასევე ლოიალურად განწყობილ მედიაზე. კვლევაში ჩართულმა ორივე "მხარეს" მყოფმა მედიის წარმომადგენლებმა მედიაგარემოს საფრთხეების იდენტიფიცირება მოახდინეს. ცხრილში (N1) ნაჩვენები მონაცემები ცხადყოფს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებზე მდგარი მედიასაშუალებები საფრთხეების იდენტიფიცირებისას თითქმის ერთხმად მიუთითებენ ყველა არსებულ თუ პოტენციურ საფრთხეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მედიაგარემო დაზიანებულია როგორც მმართველი პარტიისადმი კრიტიკულად, ასევე ლოიალურად განწყობილი მედიასაშუალებებისთვის. ორივე მხარე თანხმდება, რომ, პოლიტიკური პოლარიზების გამო, ნიუსრუმსა და წყაროებში მოქმედებს თვითცენზურა. ორივე მხარე მიიჩნევს, რომ მედიასთან მიმართებით კანონმდებლობა გაუარესდა, გაზრდილია ჟურნალისტების მიმართ აგრესია, დაუცველია ჟურნალისტების და, ზოგადად, მედიაში დასაქმებული პირების ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება, ხდება ჟურნალისტების სტიგმატიზება და პარტიული იარლიყების მიწებება, გაძლიერებულია ტროლ-ბოტების ზეგავლენა ჟურნალისტურ საქმიანობაზე და სხვ.

ცხრილიდან ჩანს, რომ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ **მედიის ფინანსური სტაბილურობა და საჯარო ინფორმაციასთან წვდომა** არ არის პრობლემატური მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი მედიისთვის, რაც კიდევ ერთხელ გამოკვეთს პოლარიზაციის ნეგატიურ ეფექტსა და სისტემურ საფრთხეს ინფორმაციის თავისუფალ დინებასთან მიმართებით.

ცხრილი N1: მედიაგარემოში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება

საფრთხეები მედიაგარემოში	ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედია	ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედია
საჯარო ინფორმაციასთან წვდომა შეზღუდულია	–	✓
პოლარიზაციის გამო წყაროებში თვითცენზურაა	✓	✓
იყოს ნიუსრუმში თვითცენზურაა	✓	✓
მედიასთან მიმართებით კანონმდებლობა გაუარესდა	✓	✓
მედიაში დასაქმებულების ფიზიკური უსაფრთხოება დაუცველია	✓	✓
მედიაში დასაქმებულების ფსიქოლოგიური უსაფრთხოება დაუცველია	✓	✓
ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა და სტაბილურობა არ არის	–	✓
საზოგადოების მხრიდან სოლიდარობის და ნდობის ნაკლებობაა	✓	✓
მედიაორგანიზაციებს შორის სოლიდარობის ნაკლებობაა	✓	✓
ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები გამოუძიებელია და დამნაშავეები დაუსჯელები არიან	✓	✓
ჟურნალისტების მიმართ აგრესია წინა წლებთან შედარებით გაზრდილია	✓	✓
ჟურნალისტების სტიგმატიზირება (ამა თუ იმ პარტიის მხარდამჭერებად) პრობლემაა	✓	✓
დეზინფორმაცია და ტროლ-ბოტების საქმიანობა ზეგავლენას ახდენს ჟურნალისტურ საქმიანობაზე	✓	✓
საარჩევნო წელს საფრთხეები გაიზრდება	✓	✓

კვლევის მიმდინარეობისას, მედიაგარემოში არსებულ საფრთხეების განხილვისას, ყველგან მთავარ ემოციად იკითხებოდა - შიში, რომელიც, თავის მხრივ, არის ნიადაგი დეზინფორმაციისთვის, თვითცენზურისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის. სწორედ შიშისგან შექმნილი ამ ბარიერის მოხსნაა აუცილებელი საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის.

3. ლიტერატურის მიმოხილვა

გასულ წლებში მედიაგარემოს გაუარესებაზე არაერთმა ფაქტორმა იმოქმედა. საერთაშორისო ორგანიზაცია IREX-ის საერთაშორისო ბარომეტრის მიხედვით (IREX, 2023) საქართველოს საინფორმაციო გარემოს შეფასება 2020 წლიდან 6 პუნქტით (საერთო შეფასებით: 19-დან 13-მდე) გაუარესდა. Freedom House-ის 2023 წლის ანგარიშის (Freedom House, 2023) მიხედვით, მედიაგარემო პლურალისტური, მაგრამ ძალიან პარტიულია. საარჩევნო გარემოს შეფასების კონტექსტში აღნიშნულია, რომ მედიაგაშუქება უკიდურესად პოლარიზებულია და ანალიტიკური არ არის. თავისუფლების გლობალურ სკალაზე კი საქართველოს 100-დან 58 ქულა აქვს, რაც ნაწილობრივ თავისუფალ გარემოს შეესაბამება.

მნიშვნელოვანია გლობალურ ტენდენციებზე დაკვირვება. საერთაშორისო ორგანიზაცია „მედიის თავისუფლების კოალიციის“[1] კონტრიბუციით მომზადებული მედიის თავისუფლების კოჰორტის ანგარიშში (მომზადდა 2023 წლის დემოკრატიის სამიტის ფარგლებში) აღნიშნულია, რომ დამოუკიდებელი მედია ბოლო ათწლეულზე მეტია, რაც დაღმასვლას განიცდის. ამაში წვლილი შეიტანა ტრადიციული ჟურნალისტიკის ბიზნეს-მოდელის კოლაფსმა, მზარდმა პოლიტიკურმა პოლარიზაციამ, დემოკრატიულმა უკუსვლამ, პანდემიამ და სხვა ფაქტორებმა. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მოქალაქეების მეტი ჩართულობა, უფრო ძლიერი ანგარიშვალდებულება, ნაკლები კორუფცია და უკეთესი პოლიტიკა - ყველაფერი უკავშირდება პროფესიონალური ახალი ამბების მედიის არსებობას” (The Media Freedom Cohort; გვ.10-11).

2023 წელს საქართველოსთან მიმართებით პოლიტიკური ელიტების მიერ მედიაში გაკეთებულ განცხადებებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ნახსენები სიტყვა იყო „პოლარიზაცია“. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარის (2004) მიხედვით, პოლარიზაცია არის სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების პოზიციებში სხვაობის გაზრდა, დაპირისპირება (პოლარულობა). პოლარიზაცია შეიძლება გამოვლინდეს როგორც დაპირისპირების ფორმა სხვადასხვა კლასებს, ფენებს, სოციალურ ჯგუფებს, პარტიებსა და ა.შ. შორის.

მაკქოის (2019) განმარტებით, პოლარიზაცია ფართო ცნებაა და მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ განზომილებებს. აკადემიურ ლიტერატურაში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური პოლარიზაციის ფენომენს, როცა საზოგადოება და ლიდერები სულ უფრო მკაფიოდ იყოფიან ერთმანეთისგან (გვ. 8). პოლარიზაციის განმარტებისას, მაკქოი და სხვები (2018) აღნიშნავენ, რომ ესაა პროცესი, როცა ხალხი სულ უფრო მეტად აღიქვამს და აღწერს პოლიტიკას და საზოგადოებას ტერმინებით „ჩვენ“ და „ისინი“. სწორედ პოლიტიკური პოლარიზაციის მედიაგარემოზე გავლენა არის ჩვენი კვლევისთვის საყურადღებო.

სამაგიდო კვლევებიდან და ემპირიული დაკვირვებიდან ჩანს, რომ პოლარიზებული საზოგა-დოება და პოლარიზებული მედია, არაერთი დემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკური პროცესის ნაწილია, თუმცა სხვადასხვა გარემო პირობებში მისი ეფექტი შესაძლოა სხვადასხვა იყოს. ვაგნერის აზრით (2021), პოლარიზაციის ეფექტი ყოველთვის ნეგატიური არ არის. მაგალითად,

[1] 2023 წელს „მედიახმამ”, რომელიც არის „მედიის თავისუფლების კოალიციის” საკონსულტაციო ქსელის ერთადერთი წევრი ორგანიზაცია სამხრეთ კავკასიიდან, მონაწილეობა მიიღო მედიის თავისუფლების კოჰორტის ანგარიშების მომზადებაში. ანგარიშის მომზადებაში სულ ჩართული იყო 28 ქვეყნის მთავრობა და 117 სამოქალაქო ორგანიზაცია, ფილანტროპული გაერთიანება და ბიზნეს-კომპანიები.

მან შესაძლოა განსაზღვროს პოლიტიკური ჩართულობა და ელექტორალური არჩევანი. ამასთან, არ შეიძლება ცალსახად იმის თქმა, რომ სწორედ მედიას აქვს პოლარიზაციის კუთხით ნეგატიური ან პოზიტიური ეფექტი. აქ გასათვალისწინებელია სხვადასხვა ცვლადი, რომლებიც მოქმედებენ მედიის დღის წესრიგზე, თავისუფლების ხარისხსა და მუშაობის თავისებურებებზე. ამ ცვლადების (პოლიტიკური ჩართულობა, ინფორმაციის მრავალფეროვნება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პლურალიზმი და კონკურენტუნარიანობა, განათლება და კულტურა) ცალ-ცალკე შეფასებისას შესაძლოა მაჩვენებელი არ იყოს საგანგაშო, მაგრამ პოლიტიკურ კონტექსტსა და ურთიერთდამოკიდებულებაში ეფექტი იყოს ისეთივე, როგორც ავტორიტარულ ქვეყნებშია.

კვლევები ადასტურებს, რომ გარეგნულად შესაძლებელია მედიამ თავისუფალი და დემოკრატიული ინსტიტუტის მახასიათებლები, მართლაც, შეინარჩუნოს, თუმცა ის მიტაცებული იყოს სახელმწიფოს მიერ. გიტმესის და მოლავის (2022) დაკვირვებით, ყველა ავტოკრატია ერთმანეთს როდი ჰგავს... და მედიის თავისუფლებასთან მიმართებით, აქაც არის ფართო ვარიაციები. როგორც ეგოროვი და სონინი (2022) აღნიშნავენ, „მედიის თავისუფლება განსხვავებულია არადემოკრატიულ ქვეყნებში, ზოგი ახლოსაა დემოკრატიული ქვეყნის დონესთან, ზოგი კი - ტოტალიტარულ რეჟიმთან“ (ვითენ-ვუდრინგი, ვან ბელი, 2017).

დემოკრატიულ ქვეყანაში მედიაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების დღის წესრიგი (თემები, რომლებიც აღელვებს ხალხს). გარკვეული ხარისხით სწორედ ამ თემებს ირეკლავს დემოკრატიული მედია და თავადაც სთავაზობს დღის წესრიგს საზოგადოებას. საზოგადოების დღის წესრიგი (თავისი მნიშვნელობით და რიგითობით) შესაძლოა ტოვებდეს მედიის მიკერძოებულობაზე გარკვეულ კვალს: შედეგად, მედია აშუქებდეს იმას, რაც საზოგადოებას აღელვებს. საკვანძო კითხვები ამ კონტექსტში არის: რამდენად ასახავს პოლარიზებული მედია იმ პრობლემატიკას, რომელიც საზოგადოებას აღელვებს? რამდენად რჩება სივრცე პოლარიზაციის დროს რეალური პრობლემების გაშუქებისთვის? რამდენად ბუნებრივია ან ხელოვნურია პოლარიზაცია, რომელსაც მედია ტირაჟირებას უწევს?

პოლარიზაციისა და მტრული გარემოს გამო, მედიის დღის წესრიგიდან ხდება საზოგადოებისთვის აქტუალური თემების განდევნა და მათ ადგილს იკავებს მტრის ხატები, ცრუ/ილუზორული პრობლემები. ამგვარად, პოლიტიკურ დღის წესრიგში არა მარტო ხალხის პრობლემები არ იკითხება, არამედ მედიაც აღარ აშუქებს მათ და ეს დღის წესრიგის შექმნის მთლიანი ციკლის და მასში ჩართული ყველა აქტორის (პოლიტიკური ელიტების, საზოგადოების და მედიის) პრობლემაა.

აკადემიურ წრეებში ათეულობით კვლევა განიხილავს, თუ როგორ მოქმედებს პოლარიზაციაზე მედია, როგორ მონაწილეობს ის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. საკითხი განსხვავებულ ჭრილში დაისმის ქართულ მედიაგარემოში. აქ აქტუალურია იმის განხილვა, თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკური პოლარიზაცია მედიაგარემოზე და როგორ აზიანებს მას. ქართული მედია ამ პროცესში არ არის ძლიერი ინსტიტუციური მოთამაშე, რომელსაც შეუძლია შეცვალოს პოლიტიკური პოლარიზაციის ხარისხი. დისკუსიის მონაწილეები არაერთგზის აღნიშნავენ, რომ მედიის დასუსტების და „ჟურნალისტიკის განადგურების“ მიზეზი არის ის, რომ მედია დაშორდა ხალხს, არ ასახავს საზოგადოების დღის წესრიგს და, შესაბამისად, არც თავად ქმნის მას.

ვაგნერის (2021) მსგავსად, ვილსონი და სხვები (2020) აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია თავად არ არის ნეგატიური მოვლენა და შესაძლოა მკვეთრ უთანხმოებას მნიშვნელობა ჰქონდეს იმ სისტემაში, რომლის მიზანია ამომრჩეველთა მრავალფეროვანი ინტერესების წარმოდგენა. პოლიტიკურ პოლარიზაციაზე საუბრისას, ვილსონი და სხვები (2020) განასხვავებენ იდეოლოგიურ, აფექტურ და ცრუ პოლარიზაციას. რეალური და ილუზორული

პოლარიზაციის განხილვისას, ისინი გამოყოფენ მთავარ კონტრიბუტორებს: პოლიტიკურ ელიტებს, პარტიულ მედიასა და სოციალურ მედიას. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ცრუ პოლარიზაციას მედიამაც შეიძლება შეუწყოს ხელი და შექმნას მოცემულობა, როცა ჯგუფებს სჯერათ, რომ ისინი იმაზე მეტად არიან დაყოფილი, ვიდრე სინამდვილეშია. ამის შედეგად, დაყოფილი ჯგუფები აშკარა საერთო ინტერესებსაც ვერ ხედავენ.

რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს რეალურ და ილუზორულ პოლარიზაციას? ვილსონი და სხვები (2020) ამყარებენ მაკქოის და სხვების (2018) შეფასებას, რომ პარტიული უთანხმოებები პოლიტიკური პროცესის არსებითი ნაწილია. თუმცა პოლარიზაცია და აშკარა მტრობა ხელს უშლის პრობლემის დიაგნოსტირებას, აიძულებს ხალხს, იყოს წარმოსახვით მტრებთან ბრძოლაში და აღარ იფიქროს მნიშვნელოვან რეფორმებზე.

პოლარიზაცია იწვევს იმას, რომ პოლიტიკოსები და მედია დაშორდნენ ხალხს და აღარ საუბრობენ იმ პრობლემებსა და რეფორმებზე, რომლებიც ხალხს აღელვებს. ეს მედიისადმი ნდობაზე თავისთავად ნეგატიურად მოქმედებს. მედიისადმი დაბალ ნდობას ადასტურებს საზოგადოებრივი აზრის 2023 წლის გამოკითხვა (NDI; CRRC საქართველო; მაისი, 2023), რომლის მიხედვითაც მიმდინარე და პოლიტიკური ამბების შესახებ სანდო ინფორმაციის მისაღებად არცერთ არხს არ ენდობა გამოკითხულთა 51% . ჩვენს კვლევაში მედიისადმი ნდობის შემცირების მიზეზებითაც ვინტერესდებით.

„მედიახმის“ გასული წლების (2021 და 2022) კვლევებში შესწავლის საგანი იყო პოლარიზაციის გავლენა ქართულ მედიაზე. ამ კუთხით იკვეთებოდა თავად მედიაორგანიზაციებს შორის არსებული პოლარიზაცია (გერსამია, ტორაძე, 2022). ასევე, სახეზე იყო პოლიტიკური პოლარიზაციის ნეგატიური გავლენა, რაც იწვევდა ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების სტიგმატიზაციას (პარტიული იარლიყების მიკერებას), დისკრედიტაციას და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელისშეშლას. 2022 წლის მედიაგარემოს შეფასებისას აღნიშნულია, რომ „მედიაში გამოწვევად რჩება პოლარიზაცია და შიშის ატმოსფერო, რომელიც ზრდის თვითცენზურას, აზიანებს მედიის სანდოობას და სიცოცხლისუნარიანობას” (გერსამია, ტორაძე, 2022, გვ. 65). შედეგად, პოლარიზაციის ნეგატიური ეფექტი და ჟურნალისტებისადმი აგრესიული დამოკიდებულება გავრცელდა პოლარიზაციაში მყოფ ორივე მხარეზე. ეს საგანგაშო ტენდენცია საფრთხეს უქმნის ჟურნალისტის პროფესიას და მის სანდოობას საზოგადოებაში. საქართველოში რეალური პოლარიზაციის არსებობა თავისთავად არ გამორიცხავს, რომ აქ ასევე არის სივრცე ცრუ/ილუზორული პოლარიზაციისთვის. ჩვენთვის კი პოლარიზაციის ორივე სახით გამოვლინება საინტერესოა და დაკვირვების საგანია.

როცა საქმე ეხება საზოგადოებაზე ზემოქმედებას, ტრადიციული და სოციალური მედიის გამყოფი ხაზი ბუნდოვანია. ჟურნალისტების დისკრედიტაციის და სტიგმატიზაციის კამპანიები 2023 წელს ონლაინ და ოფლაინ სივრცეში გრძელდებოდა. თუმცა, თვალშისაცემი მაინც იყო სოციალურ ქსელებში, ნეგატიურ კამპანიებში, მომხმარებელების (მათ შორის, ტროლებისა და ბოტების) მასიური ჩართულობა. სოციალურ ქსელებში შექმნილ დისკურსებს, დისკრედიტაციის კამპანიებს, შეუძლია საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა. ასევე, ე.წ. echo chamber-ებს (ბაბლების ეფექტსა და ექო-დარბაზებს) შეუძლიათ პოლიტიკური პოლარიზაციის გაძლიერება. ამას ადასტურებს ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები. კუბინის და სიკორსკის კვლევები (2021) ხაზს უსვამს სოციალური მედიის პოტენციალს, ხელი შეუწყოს პოლარიზაციის გაზრდას იდეოლოგიურად ჰომოგენური გარემოს შექმნითა და საპირისპირო შეხედულებების გამოვლენის შეზღუდვით. ეს შეხედულება ემთხვევა ბეილის და სხვების (2018) მიგნებებს, რომელიც ხაზს უსვამს სოციალური მედიის როლს პოლიტიკური პოლარიზაციის გაძლიერებაში ექო-დარბაზების შექმნით, რაც მრავალფეროვანი ინფორმაციის გავრცელებას ზღუდავს. ენჯოლრასისა და

სალვეის (2022) კვლევაც ადასტურებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, რომელიც არსებობს ჰომოფილურ ტენდენციებს, ექო-დარბაზების ფორმირებასა და გაზრდილ პოლარიზაციას შორის.

მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ სოციალური მედიის გავლენაზე პოლარიზაციის პროცესში. კვლევები (შარევსკი და სხვები, 2021; გაო და სხვები, 2023) ადასტურებენ, რომ დეზინფორმაციის, დისკრედიტაციის კამპანიებისა და ჭორების გავრცელების მძლავრი პლატფორმა სოციალურ ქსელებში შექმნილი ბაბლებია. ჩოის და სხვების (2020) კვლევა ადასტურებს, რომ ექო-დარბაზების წევრები საწყის ეტაპზე აქტიურად მონაწილეობენ ჭორების გავრცელებაში. სილენი და სხვები (2019) აღნიშნავენ, რომ სოცქსელებმა შეცვალა მასიური ინფორმირების, რეალობის აღქმისა და დამუშავების, საჯარო დებატებში ჩართულობის გზები. მათი კვლევა ადასტურებს, რომ მომხმარებლები უფრო მეტად ირჩევენ და ავრცელებენ მათთვის სასურველ ნარატივს და უგულებელყოფენ განსხვავებულ ინფორმაციას. ეს კიდევ უფრო აძლიერებს პოლარიზაციას კონკრეტულ ჯგუფებში. საქართველოში, სოციალური ქსელების პოპულარობის გამო (NDI-ს 2022 წლის მონაცემებით), სწორედ ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს ასახელებს მოსახლეობის 43% ინფორმაციის მიღების წყაროდ, ტელევიზიების შემდეგ), საკითხი მნიშვნელოვან შესწავლას იმსახურებს. ჩვენი კვლევის ფარგლებში საკითხს პერიფერიულად ვეხებით, თუმცა სოციალური ქსელებისა და პოლარიზაციის ეფექტების შესწავლა მომავალში სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. აქვე, აღსანიშნავია, რომ ტელევიზიების პოპულარობა წლიდან წლამდე კლებულობს და ამ ინფორმაციის მიღების წყაროდ ინტერნეტისა და სოციალური ქსელების წილი იზრდება (NDI-ისა და კავკასიის ბარომეტრის მონაცემების მიხედვით, 2018 წელს ინფორმაციის მიღების პირველწყაროდ 72% ასახელებდა ტელევიზიას, ხოლო 2022 წელს მონაცემი 49%-ია).

ჟურნალისტებისა და მედიის დისკრედიტაციის კამპანიები ტრადიციულ და სოციალურ მედიაში საქართველოშიც აქტუალურია და ის მედიისადმი ნდობაზეც მოქმედებს. ჟურნალისტიკის სანდოობის მიმართ სოციალურ ქსელებში წარმოებული კამპანიების ზემოქმედებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ კუთხით, საგანგაშოა, რომ „გავლენიანი კომპანიები, სოციალური მედიის პლატფორმების ჩათვლით, ყოველთვის ადეკვატურ ნაბიჯებს არ დგამენ იმისთვის, რომ მხარი დაუჭირონ ზუსტი და აკურატული ინფორმაციის გავრცელების პრაქტიკას, რაც საზოგადოების მხრიდან ჟურნალისტიკისადმი სანდოობის კლებას იწვევს” (MFC, განცხადება, 2023).

ასევე, ბოლო წლებია, ქალი ჟურნალისტები არაპროპორციული და განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ არიან. „მედიის განვითარების ფონდის” გზამკვლევი (ჩახუნაშვილი, 2023) გენდერულ დეზინფორმაციაზე აჩვენებს, რომ საქართველოში „ქალ ჟურნალისტებს, ქალ აქტივისტებს, ქალ პოლიტიკოსებს შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების ატანა და ონლაინ თავდასხმებთან გამკლავება უწევთ”. კვლევაში მოხმობილია საერთაშორისო ორგანიზაცია „Article 19”-ის ონლაინ-რესურსი, სადაც განმარტებულია, თუ ონლაინ თავდასხმების რა სპექტრს მოიცავს ქალი ჟურნალისტების გენდერზე დაფუძნებული შევიწროება, რომლის მიზანია ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, დაშინება და გაჩუმება.

მედიაგარემოში საფრთხეების აქტუალიზაცია განსაკუთრებით არჩევნებისა და კრიზისების პერიოდში ხდება. 2024 წელს 81 ქვეყანაში არჩევნები ტარდება და „მედიის თავისუფლების კოალიცია” 2023 წლის განმავლობაში ყურადღებას ამახვილებდა (MFC; ნოემბერი, 2023) დამოუკიდებელი ჟურნალისტიკისა და მედიის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე საარჩევნო პროცესებში: „კონსოლიდირებული დემოკრატიული პროცესები ეყრდნობა ინფორმაციისა და იდეების თავისუფალ დინებას, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო

დეკლარაციის მე-19 მუხლით. პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების გარდა, სწორედ მედია არის საზოგადოებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და გამჭვირვალე, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცედურების ძირითადი ხელშემწყობი". კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში შემაშფოთებელია არჩევნების დროს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობისა და დანაშაულის ფაქტები და სტატისტიკა. 2019 წლის იანვრიდან 2022 წლის ივნისამდე იუნესკომ დაარეგისტრირა (UNESCO; 2023) არჩევნების პროცესში მომხდარი ფიზიკური თავდასხმები ჟურნალისტებზე. სულ მცირე, 70 ქვეყნის 89 არჩევნებში 759 ჟურნალისტსა და მედიის პროფესიონალზე მოხდა თავდასხმა და აქედან, 42% სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელდა. იუნესკო 2024 წელს "სუპერ არჩევნების წელს" უწოდებს (UNESCO; ნოემბერი, 2023) და სწორედ ამ კონტექსტში ყურადღებას ამახვილებს ჟურნალისტების დაცვის აუცილებლობაზე. საქართველოში, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ჟურნალისტურ წრეებში იზრდება შიშისა და საფრთხეების მოლოდინი, რასაც ჩვენს კვლევაშიც შევეხებით.

საარჩევნო წელს განსაკუთრებით საყურადღებოა ონლაინ სივრცეში ჟურნალისტებზე თავდასხმების მონიტორინგი და მედიაორგანიზაციების მედეგობის გაძლიერება. „მედიის თავისუფლების კოალიცია" გლობალური საარჩევნო წლის (2024) კონტექსტში ჟურნალისტების წინაშე არსებულ საფრთხეებზე საუბრობს: „მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია გააფართოოს და გააძლიეროს მოქალაქეთა ჩართულობა საარჩევნო პროცესებში, ონლაინ ძალადობა, სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია სულ უფრო მეტად აზიანებს ჟურნალისტებსა და მედიაში დასაქმებულებს (განსაკუთრებით კი ქალ ჟურნალისტებს)".

ქართულ მედიაგარემოში არსებული საფრთხეები იმ გლობალური სურათის ნაწილია, რომელშიც ჟურნალისტები, განსაკუთრებით მმართველი გუნდის მხრიდან, სისტემურ შევიწროებას განიცდიან. საერთაშორისო ორგანიზაცია „მედიის თავისუფლების კოალიცია" თავის ერთ-ერთ განცხადებაში (MFC; სექტემბერი, 2023) რომელიც ეხება ჟურნალისტების წინააღმდეგ წარმოებულ ტრანსნაციონალურ რეპრესიებს, აღნიშნავს, რომ:

> *„ჟურნალისტები და მედიაში დასაქმებულები შეუცვლელ როლს ასრულებენ იმაში, რომ ღია და ინფორმირებულ საზოგადოებებს მიეწოდოს ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი, ისინი ანგარიშვალდებულს ხდიან მთავრობებს და ააშკარავებენ მიუღებელ პრაქტიკას. შემაშფოთებელია, რომ მედიაში დასაქმებულები სულ უფრო მეტად ხდებიან მთავრობების სამიზნე, რომლებსაც სურთ, ჩაახშონ კრიტიკული ხმები, გამოხატვის თავისუფლება და ხელი შეუშალონ ფაქტების გაშუქებას მათი ქვეყნების საზღვრებს გარეთაც კი. ჟურნალისტებს ხელი ეშლებათ, გააშუქონ „უხერხული სიმართლე" მაშინაც კი, როცა ისინი არ დგანან კონკრეტული პოზიციის მხარეს და საუბრობენ მხოლოდ ფაქტებზე. ეს ტენდენცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ჟურნალისტებს, მედიაში დასაქმებულებს და მათ ოჯახებს, არამედ დემოკრატიის, კარგი მმართველობისა და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებს".*

სამწუხაროდ, ტრანსნაციონალური რეპრესიების ტაქტიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები ქართული მედიაგარემოსთვისაც ნაცნობია. ეს მოიცავს მედიაში დასაქმებულების მკვლელობებს, დაკავებას, ცილისწამებას, ფიზიკურ და ციფრულ შევიწროებას, მუქარას, სათვალთვალო ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენებას (მათ შორის, spyware-ის პრაქტიკას - კომერციული მიზნებისთვის პროგრამულ შეჭრას და მონაცემების შეგროვება-გავრცელებას), ონლაინ შევიწროებას, ბინძურ კამპანიებს და დეზინფორმაციის გავრცელებას. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევები (მედიახმა, 2021, 2022) ადასტურებს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა აძლიერებს შიშის ატმოსფეროსა და თვითცენზურას.

მედიის სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობა და მფლობელების დამოუკიდებლობა. გლობალურ სურათში ბიზნეს-გარემოში არსებული გამოწვევები ზეგავლენას ახდენს სარეკლამო შემოსავლების შემცირებაზე (MFC; განცხადება, მაისი, 2023). ამ კუთხით, საქართველოში საგანგაშო მდგომარეობაა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის კვლევის (გერსამია, ვახტანგაშვილი, 2022) თანახმად, გასულ წელს „მედიის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას დამატებითი საფრთხეები შეექმნა, რაზეც კომპლექსურად იმოქმედა გაუარესებულმა კანონმდებლობამ, ბიზნესგარემოში გაზრდილმა თვითცენზურამ და მედიაზე გაზრდილმა წნეხმა". 2023 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, „მაუწყებლების ისედაც მწირი სარეკლამო შემოსავლები 2022 წელს 10 მლნ ლარით შემცირდა და 73.6 მლნ ლარი შეადგინა. სარეკლამო შემოსავლების კლება, დიდწილად, კანონის „მსუსხავმა ეფექტმა" გამოიწვია. აზარტული თამაშების შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის 4-ჯერ შემცირდა მაუწყებლების მიერ აზარტული თამაშების რეკლამიდან მიღებული შემოსავალი". ამასთან აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიების ჯამური სარეკლამო შემოსავლები თითქმის ორჯერ აღემატება კრიტიკული ტელევიზიების ჯამურ სარეკლამო შემოსავალს. ამის ფონზე, ჯამური სარეკლამო შემოსავლების ყველაზე დიდი ნაწილი (27 მლნ. ლარზე მეტი) „იმედის ჰოლდინგმა" მიიღო. გაიზარდა ღიად პროსამთავრობო ტელეკომპანია „პოსტვ-ის" სარეკლამო შემოსავალი და 4.8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ანტიდასავლური დღის წესრიგის მქონე ტელეკომპანია „ობიექტივის" შემოსავლების 52.8% კომერციული რეკლამის წილი იყო („საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", 2023).

გლობალურ კონტექსტში, მედეგობის გაძლიერებისა და ჟურნალისტების დაცვისთვის მნიშვნელოვანი ხდება მიზნობრივი სანქციების გლობალური ადვოკატირება. როგორც „მედია თავისუფლების კოალიციის" სამართლის ექსპერტების მაღალი დონის პანელი (High Level Panel of Legal Experts on Media Freedom) განმარტავს (MFC; თებერვალი, 2020), ტარგეტირებული სანქციები არის საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომლის გამოყენება შესაძლებელია ადამიანის უფლებების დარღვევებზე საპასუხოდ, კერძოდ, ინდივიდების აქტივების გაყინვით და კონკრეტულ ქვეყნებში შესვლის აკრძალვით. სანქციები შეიძლება დაწესდეს ცალკეული მთავრობის ან მთავრობების მცირე ჯგუფის მხრიდან, რომლებიც ერთობლივად იმოქმედებენ. სანქციები უმიზნებს ინდივიდებს ან კორპორაციებს (ასევე, პირდაპირ და ირიბად ჩართულ პირებს: შუამავლებსა და კოლაბორატორებს) და არა მთლიან სახელმწიფოს. საერთაშორისო საზოგადოება მიჩნევს, რომ მიზნობრივი სანქციები (განსაკუთრებით, ფინანსური სანქციები) არის საერთაშორისო ნორმების გაძლიერების ერთ-ერთი და, ზოგ შემთხვევაში, ერთადერთი გზა. ევროპარლამენტის ანგარიშის (European Parliament Targeted Sanctions Report; 2018) მიხედვით, მიზნობრივ სანქციებს სტიგმატიზირების ეფექტი აქვს და, როგორც რობერტსონი და რამერი (2018) განმარტავენ, ესაა მოძალადეების „დასახელების, დადანაშაულების და შერცხვენის" ინსტრუმენტი (p.10).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, მათი შევიწროების საქმეებზე, მიზნობრივი სანქციების მოთხოვნის პრაქტიკა არ არის დამკვიდრებული. მათ შორის, 2021 წლის 5 ივლისის საქმეზე კონკრეტული ინდივიდების, თანამდებობის პირების, მოსამართლეების სანქცირების მოთხოვნა (იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც ეს პრაქტიკა აქვთ დამკვიდრებული) ღია პლატფორმებიდან არ გაჟღერებულა. ეს ხაზი არაა მკაფიოდ გამოკვეთილი სამაუწყებლო კომპანია „მთავარი არხის" გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას, უკანონო დაკავების შემდეგ გაკეთებულ საჯარო განცხადებებშიც, თუმცა დახურულ კარს მიღმა შეხვედრებსა თუ მიმართვებში ეს მოთხოვნა შესაძლოა ჟღერდებოდა. საქართველოში გახმაურებული აფგან მუხთარლის საქმე, 5 ივლისის ტრაგედია,

ნიკა გვარამიას დაკავება, შესაძლოა, იყოს ის საქმეები, რომლებიც აკმაყოფილებს მიზნობრივი სანქციების დაწესების შესაბამის კრიტერიუმებს. მსგავსი პრაქტიკა განხილულია MFC-ის მაღალი რანგის საერთაშორისო სამართლის ექსპერტების ზემოთ ხსენებულ ანგარიშში (MFC; თებერვალი, 2020) და საქართველოსთან კონტექსტშიც საჭიროებს დეტალურ შესწავლას.

ეყრდნობიან რა „ნიუ-იორკ ტაიმსის" პუბლიკაციას, მაღალი დონის სამართლის ექსპერტები განსაკუთრებით აქტუალურ საფრთხეებს გამოყოფენ და მათ მიიჩნევენ ამა თუ იმ მოძალადის (ინდივიდისა თუ კომპანიის) მიზნობრივი სანქცირების წინაპირობად. ამ საფრთხეების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და მათი იდენტიფიცირება ქართულ მედიასივრცეშიც შესაძლებელია. ესენია: მკვლელობები, წამება და სხვა სასტიკი და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა, გატაცება და ფიზიკური შეურაცხყოფა, უსაფუძვლო დაკავება, უსამართლო სასამართლო პროცესი და თვითნებური დაკავება, დევნის სხვა ფორმები, მათ შორის: ცილისწამების მუხლით ჩივილი, გადაჭარბებული კანონების აღსრულებით, უსაფუძვლო სარჩელებით ან ფინანსური გამოძიებებით, მუქარით და ონლაინ შევიწროებით, თვალთვალით და წყაროების „დოქსინგით" მედიის სისტემური შეზღუდვები, მათ შორის ლიცენზირების, აკრედიტაციისა და დაფინანსების შეზღუდვები, ისევე, როგორც მთელი მედიასაშუალებების და ინტერნეტ კომუნიკაციების გათიშვა. ასევე, საგანგაშოა, რომ ჟურნალისტების გაჩუმება ხდება ყალბი ბრალდებების, უსამართლო სასამართლო პროცესებისა და ხანგრძლივი პატიმრობის გამო (CPJ, 2019). ამ კუთხით კვლავ საყურადღებო და აქტუალურია ადამიანის უფლებათა კომიტეტის რეზოლუცია, რომელიც ეხება ჟურნალისტების უსაფრთხოებას (6 ოქტომბერი, 2020, 45/18). სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტი არის ის ფუნდამენტი, რომელიც იცავს არა მარტო ჟურნალისტებსა და მათ წყაროებს, არამედ დიდწილად განაპირობებს ხარისხიანი მედიაპროდუქტის წარმოებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნას და გაძლიერებას.

საქართველოში გამოწვევას წარმოადგენს სამოქალაქო აქტივისტების, ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების მიმართ წარმოებული აგრესიული რიტორიკა. ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა, მერი ლოლერმა მონიტორინგის ანგარიშში ისაუბრა ("პუბლიკა", ნოემბერი, 2023) საქართველოში უფლებადამცველების და ჟურნალისტების საქმიანობასა და მათ პრობლემებზე. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები და მედიის წარმომადგენლები, რომლებიც ადამიანის უფლებების საკით-ხებს აშუქებენ, მან ადამიანის უფლებათა დამცველებად მოიხსენია.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მწვავეა მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმაში მონაწილე პირების დაუსჯელობის პრობლემა; იკვეთება მმართველი გუნდის მხრიდან მედიის მუშაობაში ხელოვნური დაბრკოლებების შექმნის ტენდენცია, შეშფოთებას იწვევს პარლამენტში ჟურნალისტების ქცევის ახალი წესების დადგენა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჟურნალისტები „მაღალი რისკის წინაშე დგანან და რომ სახელმწიფო საკმარის ზომებს არ იღებს იმისთვის, რომ მათ შურისძიების შიშის გარეშე შეასრულონ საკუთარი მოვალეობა... გარკვეულწილად, ხელისუფლებაც უშლის ხელს ჟურნალისტურ საქმიანობას, როგორც ამას სხვადასხვა ანგარიშები და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე რეაგირების დაბალი მაჩვენებელი მოწმობს. გარდა ამისა, შეშფოთებას იწვევს პარლამენტის მიერ ახლახან ინიციირებული ქცევის კოდექსი, რომელიც, როგორც ჩანს, იმ ჟურნალისტების დასჯის მექანიზმად მოიაზრება, რომლებიც პარლამენტარებს დისკომფორტს უქმნიან".

2023 წელს შემაშფოთებელ ტენდენციად დაფიქსირდა მმართველი პარტიის მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მისამართით უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვა, რომელშიც "ქართული ოცნება" დონორებისგან მოითხოვდა, რეაგირება მოეხდინათ

ამა თუ იმ მედიის (იხილეთ განცხადებები ჟურნალ "ინდიგოსთან" (civil.ge; ოქტომბერი, 2023) და "OC მედიასთან" ("მედიაჩეკერი", სექტემბერი, 2023) დაკავშირებით) მიერ შექმნილ კონტენტზე, სარედაქციო პოლიტიკაზე, რომელიც სამთავრობო პარტიას არ მოსწონდა.

წინამდებარე კვლევაში შევეცდებით, რომ ამ და მედიაში დასაქმებულების თვალით დანახულ სხვა გამოწვევებზე კომპლექსურად ვიმსჯელოთ და წარმოვადგინოთ ის მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც 2024 წლის განმავლობაში რესურსული იქნება საქართველოში მედიაგარემოს გაძლიერებისთვის.

4. ანალიზი და დისკუსია

4.1. როგორ მოქმედებს პოლარიზაცია ქართულ მედიაგარემოზე?

წინა წლების მსგავსად, ქართული მედიასივრცის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს პოლიტიკური პოლარიზაცია, რომელსაც ახასიათებს ჯაჭვური რეაქცია და გავრცელება მედიასა (კონტენტისა და სანდოობის ჩათვლით) და საზოგადოების განწყობებზე. უფრო მეტიც, პოლარიზებული მედიის სინდრომი გამოწვეულია არა უშუალოდ მედიასაშუალებების მიზეზით, არამედ მკვეთრად პოლარიზებული პოლიტიკური ფაქტორებით. პოლიტიკური პოლარიზება უარყოფითად მოქმედებს მედიაგარემოზე, ასუსტებს მედიაორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობას, ამცირებს სოლიდარობას და საზოგადოების ნდობას ჟურნალისტის პროფესიისადმი.

პოლარიზაცია არის მიზეზი, რომელიც ყოველდღიურ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელოვნურ ბარიერებს ქმნის. ჟურნალისტური საქმიანობის რუტინა (წყაროებთან კომუნიკაცია, ინფორმაციის მოძიება, კონტენტის შექმნა, უსაფრთხოებაზე ზრუნვა და სხვ.) იცვლება სწორედ პოლიტიკური პოლარიზაციის გამო. თუმცა, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ პოლარიზების ჯაჭვურ რეაქციაში ყველა რგოლი - პოლიტიკური გარემო, მედია, საზოგადოება - თავის როლს ასრულებს. ეს ჯაჭვური რეაქცია, საბოლოოდ, ნეგატიურად მოქმედებს როგორც ე.წ. ოპოზიციურ, ასევე ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ მედიაზე და ახდენს თავად ჟურნალისტის პროფესიისა და მისი როლის დისკრედიტაციას.

ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიისას გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც, მონაწილეთა აზრით, ასაბუთებს, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია აზიანებს მედიაგარემოს და მედიას აქცევს პარტიული პროპაგანდის იარაღად. რესპონდენტთა აზრით:

- ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია იწვევს მედიამფლობელთა და, შედეგად, მედიასაშუალებათა დაყოფას კონკრეტული პოლიტიკური პარტიისადმი ლოიალობის ნიშნით;

- მედიამფლობელები პოლიტიკურ პარტიებთან არიან აფილირებულნი, რაც ნეგატიურად მოქმედებს მედიის დამოუკიდებლობაზე. მედიამფლობელები ერევიან მათ საკუთრებაში არსებულ მედიასაშუალებათა სარედაქციო პოლიტიკაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პოლარიზებას მედიაგარემოში, ზღუდავს ჟურნალისტებს და იწვევს, ხშირ შემთხვევაში, რეპორტიორთა მიკერძოებულობას. “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” კვლევა (ცეცხლაძე, გოგიაშვილი, 2019), რომელიც მსხვილი სამაუწყებლო მედიის მედიამფლობელებს ეხება, აღნიშნულია, რომ მედიამფლობელები მედიას პირადი ბიზნეს თუ პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. მფლობელების ნეგატიურ გავლენას ადასტურებს ჩვენი კვლევაც, რომელშიც ტელეკომპანია “იმედის” ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ნეგატიურ ფონს ქმნიან არა ჟურნალისტები, არამედ სწორედ მფლობელების “თამაშის წესები”;

- სარედაქციო პოლიტიკასთან შეუთავსებლობის გამო, ხშირია ტელეჟურნალისტების, ე.წ. „სახეების” გადანაცვლება განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიაში, რაც ამცირებს საზოგადოების მხრიდან ნდობის ხარისხს;

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სახელისუფლებო სამსახურებისგან განსაკუთრებით შეინიშნება ტენდენცია - არ დააკავშირონ მათ ხელმძღვანელ პირებთან მმართველი პარტიისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის ჟურნალისტები ან მოითხოვონ წერილობითი მიმართვა და „კითხვების გადაგზავნა", რაც მოქმედებს მედიაპროდუქტის ხარისხზე;

- ქართული მედიასივრციდან გაქრა მიუკერძოებელი ექსპერტული მოსაზრებები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მედიასაშუალებებს, ფაქტობრივად, ჰყავთ თავისი „ექსპერტები", რომლებიც ობიექტურ რეალობასა და პროგნოზებზე კი არა, კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მართებულობაზე საუბრობენ. ამა თუ იმ ექსპერტის გამოჩენა მედიაში იწვევს მის მიმართ პარტიული იარლიყების მიწებებას.

- აქტორები, რომლებიც ქმნიან პოლიტიკურ პოლარიზაციას, სისტემურად და მმართველ პარტიასთან კოორდინირებულად მოქმედებენ. ამ სისტემის ნაწილია ე.წ. სახელისუფლებო სტრატკომი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამთავრობო სამსახურები, სამთავრობო ტელევიზიები, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, საპარლამენტო უმრავლესობის მაღალჩინოსნები (კვლევაში ჩართული მედიის წარმომადგენლები ასახელებენ კონკრეტულ გვარებს). რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მედიის დისკრედიტაციის გეგმა რუსულ მოდელს მიჰყვება და აწყობილი სისტემაც რუსულია;

- რესპონდენტები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ პოლარიზაციის ნეგატიური გავლენა მედიაზე წლიდან-წლამდე სულ უფრო და უფრო იზრდება და ამაში მთავარ როლს მმართ-ველი პარტია და მასთან ასოცირებული არასამთავრობო სექტორი (ე.წ. გონგოები/GoNGOs) ასრულებს. შესაბამისად, სისტემურად და კოორდინირებულად ხდება საკანონმდებლო ბაზის კორექტირება, შიშის ატმოსფეროს გაძლიერება და შედეგად კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტებისა და, ზოგადად, ჟურნალისტის პროფესიის დისკრედიტაცია.

მედიის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის რუსულ მოდელთან დაკავშირება საფუძველს მოკლებული არაა. ქართველი მედიამკვლევრები და ექსპერტები ხშირად მიუთითებენ არა მხოლოდ რუსული პროპაგანდის მომძლავრებაზე, არამედ იმ მეთოდების კოპირებაზე, რომლითაც რუსეთის მედია და მთავრობა ებრძვის გამოხატვის თავისუფლებას - იქნება ეს ჯგუფების დემონიზება, პარტიული იარლიყების მიწებება თუ კრიტიკული კითხვების უკან მხოლოდ პარტიული ინტერესების დანახვა.

ის, რომ ხელისუფლება დისტანცირებულია კრიტიკული მედიისგან და მეტად ჩნდება მის მიმართ ლოიალურად განწყობილ მედიაში, ხელს უწყობს მედიის პოლარიზაციასა და სტიგმატიზაციას. ხდება ხელოვნური გამიჯვნა: ერთ მხარესაა ოპოზიციისადმი ლოიალურად განწყობილი მედია (და კონტენტი) და მეორე მხარეს - ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედია (და რადიკალურად სხვა კონტენტი). ეს გამიჯვნა ობიექტური რეალობის ასახვასა და ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნაზე უარყოფითად მოქმედებს. შედეგად, „მმართველი გუნდი და მედიასაშუალებებიც ხელს უწყობენ პოლარიზაციას"... (რესპონდენტი „მთავარი არხიდან")

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე თითქმის ყველა რესპონდენტი პოლარიზაციის მანკიერ პროცესს მმართველ პარტიასთან, მედიის მფლობელებთან ან მედიის დაფინანსების პრაქტიკასთან აკავშირებს. სამწუხაროდ, დაფინანსების მოდელი და პრაქტიკა ცალსახად განსაზღვრავს მედიის კრიტიკულობის ხარისხს გაშუქების პროცესში. მფლობელებიდან და/ან პოლიტიკური პარტიებიდან ნაკარნახევი „შიში და თვითცენზურა" ფილტრავს ინფორმაციას და აუარესებს მედიაპროდუქტის ხარისხს.

პოლარიზაციის ორივე მხარეს მყოფი მედიის წარმომადგენლები წუხან იმაზე, რომ დამფინანსებლის პოლიტიკური გემოვნება აისახება ხარისხსა და სარედაქციო პოლიტიკაზე. მონაწილეები სამწუხარო რეალობად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო დაფინანსება (საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში) ან/და სამთავრობო პარტიასთან ასოცირებული მხარეების მხრიდან (ბიზნეს-სექტორი და შემომწირველები) არსებული დაფინანსება იწვევს კონკრეტული მედიასაშუალების ლოიალურ დამოკიდებულებას და ანგარიშგებას „დამფინანსებელთან“, ანუ მმართველ გუნდთან (რესპონდენტი „ნეტგაზეთიდან”). იგივე წუხილი გამოითქვა ოპოზიციასთან ასოცირებული მხარეების მიერ დაფინანსებული მედიასაშუალებების მიმართაც.

რაც უფრო პოლარიზებულია პოლიტიკური გარემო, მით მეტად პოლარიზებულია მედიაგარემო და, თავისთავად, საზოგადოებაც. შედეგად ვიღებთ ე.წ. „მოჯადოებულ წრეს“, სადაც ყველა რგოლი ჯაჭვური რეაქციით ერთმანეთზეა დამოკიდებული (იხ. გრაფიკული გამოსახულება N1).

გრაფიკული გამოსახულება N1: პოლარიზაციის მედიაზე ნეგატიური გავლენის ციკლი



თუ მედიის დამფინანსებლებს პარტიული აფილირება არ ექნებათ - მედია უფრო დამოუკიდებელი გახდება. საქართველოში ასეთი მედიასაშუალებებიც არსებობენ. ისინი არ განიცდიან პარტიული აფილიაციის მქონე მფლობელებისა და ბიზნესის გავლენას და ინარჩუნებენ სანდოობას, თუმცა მათი აუდიტორია, ტელევიზიებთან შედარებით, ძალიან მწირია. მსხვილი ტელევიზიებისგან განსხვავებით, ასეთი პატარა მედიის მიტაცების მცდელობებიც ნაკლებია. კვლევაში ჩართული რესპონდენტები პოლარიზებულ მედიაგარემოში ნათელ წერტილად ასეთ დამოუკიდებელ მედიას ასახელებენ. ეს ის მედიასაშუალებებია, რომლებიც საერთაშორისო დონორების დაფინანსებით ახერხებენ ფუნქციონირებას. მათი თავისუფლების გარანტი მათივე დაფინანსების მოდელია, მაგრამ, სწორედ დაფინანსების არამდგრადობის გამო, ეს მოდელი რისკ-ფაქტორების შემცველია. რესპონდენტები პოლარიზაციის შერბილების წინაპირობად და მედიის დაფინანსების მოდელად საერთაშორისო დონორების მეტ ჩართულობას ასახელებენ. გამოწვევაა ისიც, რომ ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნას პროფესიონალი საკადრო რესურსი, მაღალტექნოლოგიური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო ამბების გეოგრაფიული დაფარვის მაქსიმალური უზრუნველყოფა განაპირობებს, რასაც არცთუ მცირე ფინანსური მობილიზება სჭირდება.

პოლარიზაციის კიდევ ერთ მიზეზად დასახელდა მმართველი პარტიის მიერ მედიასაშუალებების დაყოფა უკრაინის ომის გაშუქებასთან მიმართებით. ამ თემაზე ყველა მედია, რომელიც მხარს არ უჭერდა სამთავრობო პარტიის პოზიციას რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით, „გადაიქცა" ოპოზიციურ მედიად და ამით პოლარიზების მასშტაბი, კიდევ უფრო გაიზარდა.

ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პოლარიზებული გარემო აზარალებს მასში ჩართულ ყველა მხარეს - მმართველ გუნდს, სამოქალაქო სექტორს, მედიასაშუალებებს და ხალხსაც - სამწუხარო ისაა, რომ ოპოზიციაც და მმართველი გუნდიც ხეირობს პოლარიზაციიდან. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ელიტა, ფაქტობრივად, „დგას პოლარიზაციაზე".

ფოკუს-ჯგუფებზე პოლარიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელდა მედიასაშუალებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა და ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება. „იქ, სადაც არის კოორდინაცია მედიასაშუალებებს შორის, ნაკლებია პოლარიზაცია," - აღნიშნავს ტელეკომპანია "ფორმულას" წარმომადგენელი. ამის მაგალითად კი მოიყვანეს 2023 წლის მარტის აქციები, როცა მმართველი გუნდის მხარდაჭერილი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონი მედიაზე თავდასხმად იყო შეფასებული. სწორედ მედიასაშუალებებს შორის კოორდინაციას უკავშირებენ ამ თემის ირგვლივ უპრეცედენტო მობილიზაციას და შესაბამისი შედეგის (საპროტესტო აქციების შედეგად კანონპროექტის ჩაგდების) მიღებას.

პოლარიზაცია მოქმედებს ჟურნალისტურ წყაროებზეც და ვლინდება თვითცენზურაში. მაგალითად, პოლარიზაციის სხვადასხვა მხარეს მყოფ მედიას ერთი და იგივე რესპონდენტები სხვადასხვანაირად ესაუბრებიან. რესპონდენტი „ფორმულა"-დან იხსენებს შემთხვევას, რომლის დროსაც უმუშევრობის თემაზე ჩაწერილ „ვოქსპოპ"-ში (Vox Populi[2]), ჟურნალისტს, რომელიც „იმედიდან" იყო, რესპონდენტებმა უთხრეს რომ ძალიან კმაყოფილი იყვნენ ხელფასებით, ხოლო იმავე რესპონდენტებმა „დროების" ჟურნალისტს ან საერთოდ არ მისცეს კომენტარი, ან ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირეს იგივე საკითხთან დაკავშირებით.

[2] Vox populi (ლათ) - ნიშნავს "ხალხის ხმას". ტერმინი მედიაში გამოიყენება ქუჩის გამოკითვის საილუსტრაციოდ.

მედიის სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია კონტენტის ყოველდღიურად წარმოება, რომელიც იქნება ღირებული ინფორმაციის შემცველი და დაბალანსებული. ეს თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა პოზიციის მქონე რესპონდენტების კომენტარების მოპოვებას და საზოგადოებისთვის მიწოდებას. პოლარიზაცია ამ ყოველდღიურ რუტინასაც ხელოვნურ ბარიერებს ახვედრებს. პოლარიზაციით გამოწვეულ ამგვარ უარყოფით შედეგებზე საუბრობს „რადიო თავისუფლების" წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნავს, რომ პოლარიზაციით გაუარესებულ გარემოში სულ უფრო მეტი ჟურნალისტისთვისაა პრობლემა ობიექტური მასალის მომზადება. პრობლემას ქმნის ის, რომ სახელისუფლებო სტრუქტურები უფრო თანამშრომლობენ მთავრობასთან ლოიალურად განწყობილ მედიასთან და კომენტარს მათ უპრობლემოდ აძლევენ, მაშინ, როცა იგივე თემაზე კრიტიკულად განწყობილ მედიას უარს ეუბნებიან. უარის მიზეზს კი შემდეგნაირად განმარტავენ: „თქვენ ხართ მატყუარები, გამოძრავებთ ცალსახა პოლიტიკური ინტერესები და ამიტომ არ გვსურს თქვენთან საუბარი"... შედეგად, ვერ იქმნება ხარისხიანი ჟურნალისტური პროდუქტი და მასალა გამოდის ცალმხრივი: კრიტიკულ მედიაში ისმის მხოლოდ ოპოზიციის ხმა, ხოლო ე.წ. სამთავრობო მედიაში - მმართველი პარტიის.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მათი სურვილია, საზოგადოებას მიაწოდონ ობიექტური ინფორმაცია, რომელშიც გამოჩნდება ყველა მხარის პოზიცია. თუმცა, როცა ისინი ვერ იღებენ კანონით მათთვის განსაზღვრულ ყველა საჯარო ინფორმაციას, რეპორტაჟი გამოდის ცალმხრივი, მედია კი ჩანს, როგორც მიკერძოებული და პოლარიზებული. კიდევ უფრო გართულდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და ხელმისაწვდომობის პრაქტიკაც. თუ წინა წლებში ჟურნალისტების თხოვნებს ინფორმაციის/კომენტარის მიწოდებაზე რაიმე პასუხს მაინც სცემდნენ, ახლა „ჟურნალისტის თხოვნებს არაფრად აგდებენ და ამით კიდევ უფრო ამძაფრებენ პოლარიზების ეფექტს". ეს ყველაფერი ისევ გაშუქების ხარისხზე მოქმედებს, რადგან არასაკმარისი, დაუბალანსებელი ინფორმაციის გაშუქებაც არაობიექტურობას ნიშნავს (რესპონდენტი „აი, ფაქტიდან": „ჩვენ ვცდილობთ, ყველა მხარე იყოს წარმოჩენილი, თუმცა ეს რთულია, როცა კომენტარს და ინფორმაციას არ გაძლევენ და ამიტომაც გამოდის მასალა ცალმხრივი")...

რესპონდენტი „მთავარი არხიდან" სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას: „როცა საქმე ბალანსს ეხება, სადაც აუცილებელია ორივე მხარის კომენტარის მოპოვება, საქმე რთულდება. ჩვენ აღარ გვაქვს საშუალება, რომ ბალანსისთვის მეორე მხარეს [იგულისხმება ხელისუფლება და მმართველი პარტია] ველაპარაკოთ და, შესაბამისად, ამ ბარიერების გამო, ჩვენს აუდიტორიას ვერ ვაწვდით ობიექტურ ინფორმაციას"...

მედიაპროდუქტის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს წყაროების ერთფეროვნებაც. ამ კუთხით, პოლარიზებულ მედიაში მიუკერძოებელი შინაარსის დისკურსი კიდევ უფრო დავიწროვდა და პოლარიზაცია შეეხო იმ ნიშასაც, სადაც ექსპერტული მოსაზრებები დომინირებდა. რესპონდენტების აზრით, პოლარიზაციის ეფექტმა მნიშვნელოვნად შეამცირა მედიაკომენტარებში ექსპერტული მოსაზრებები და მათი ადგილი აქაც ჰომოგენურმა პოლიტიკურმა აქტორებმა დაიკავეს.

პოლარიზებას იმთავითვე ახასიათებს შედეგისგან დაცლილი ჩიხური დისკურსი, რომელზეც ჟურნალისტები საუბრობენ. ჟურნალისტების აზრით, თითქმის არცერთი მხარე არ საუბრობს კონსენსუსის მიღწევის სურვილით. რესპონდენტი „რუსთავი 2"-დან ამბობს: „ჩვენ, უბრალოდ, ვცდილობთ, ერთმანეთს დავუმტკიცოთ ჩვენ-ჩვენი სიმართლე, ერთმანეთის მოსმენის და სხვისი „სიმართლის" დანახვის მცდელობის გარეშე. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ პოლარიზაცია სულ უფრო და უფრო მძაფრდება - განსაკუთრებით არჩევნების მოახლოებასთან ერთად".

ცალკე უნდა აღინიშნოს პოლარიზაციის ნეგატიური და, ფაქტობრივად, დამღუპველი გავლენა რეგიონული მედიასაშუალებებისთვის. კერძოდ, რეგიონული მედიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ძალიან უჭირთ ორივე მხარისგან ინფორმაციის მოძიება და მოვლენების ობიექტურად გაშუქება, რადგან სულ უფრო და უფრო ძნელდება სამთავრობო წყაროების ინტერვიუზე დათანხმება ან მათი მხრიდან რაიმე ინფორმაციის/კომენტარის მოპოვება.

რესპონდენტი „სამხრეთის კარიბჭე"-დან ამბობს: „მასალის მომზადებისას თითქმის არ გვაქვს წვდომა სახელისუფლებო უწყებების საჯარო ინფორმაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, აისახება მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტის ხარისხზე, რადგან შესაძლოა ხანდახან უფრო მეტი კითხვა გაჩნდეს გამოქვეყნებულ მასალაზე, ვიდრე მის გამოქვეყნებამდე იყო საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, დამატებით განმარტებებს საჭიროებს შესაბამისი წყაროების მხრიდან. განმარტებების მოპოვებისას ბარიერები, ბუნებრივია, აისახება ჩვენი აუდიტორიის ჩვენდამი დამოკიდებულებაზეც - მათ რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ვართ მიკერძოებული. საბოლოოდ კი, ეს ყველაფერი მოქმედებს მედიისადმი ნდობის ხარისხზე"...

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ჩართული ჟურნალისტები ცდილობენ, ორივე მხარისგან მოიპოვონ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული დაბალანსებული ინფორმაცია, პოლარიზაციის პირობებში ეს ნაკლებად გამოსდით. ამის მიზეზი ისიცაა, რომ არსებობს წინასწარ შექმნილი სტიგმები და ნარატივი, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელი მედია, რომელიც კრიტიკულ საკითხებს წამოწევს, ასოცირდება რომელიმე პარტიასთან და მხარესთან. ამ შემთხვევაში, მედიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია - იყოს ხალხის ინტერესებისა და პრობლემების გამხმოვანებელი - პოლარიზაციის გამო, ანტი-სამთავრობო პოზიციონირებასთანაა გაიგივებული. მოსახლეობაც, კრიტიკულ მედიას აღიქვამს არა ხალხის ინტერესების გამტარად, არამედ კონკრეტული პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებლად.

პრობლემურია თავად მედიის დაყოფა და სტიგმატიზაცია "კრიტიკულ" და "არაკრიტიკულ" მედიად. თავად ეს ტერმინები და იარლიყებიც გამრუდებული მედიაგარემოს ანარეკლია. მედია, თავისი ბუნებით, კრიტიკულია და ხარისხიანი მედიაპროდუქტიც ჯანსაღი კრიტიკული მიდგომის საფუძველზე ფორმირდება (რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ მიზანი არა ვინმეს მიზანმიმართული დაზარალება, არამედ ობიექტური რეალობის წარმოჩენაა).

რესპონდენტები ასევე საუბრობენ ბოლო პერიოდში შესამჩნევ კიდევ ერთ მანკიერ პრაქტიკაზე, განსაკუთრებით სახელისუფლებო უწყებების მხრიდან - ესაა პრესცენტრების მხრიდან წერილობითი კომუნიკაციის მოთხოვნა კომენტარისა თუ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. საქმე ისაა, რომ წერილობით ინფორმაციის გამოთხოვის პირობებში, ერთი მხრივ, ძალიან იწელება ინფორმაციის მიწოდების ვადები, რაც აქტუალური პრობლემის ოპერატიულ და ყოველმხრივ გაშუქებას უშლის ხელს, ხოლო, მეორე მხრივ, წერილობითი პასუხები არაა ამომწურავი, ზოგადია და მთელ რიგ შემთხვევაში, დამატებით განმარტებებს საჭიროებს. ეს კიდევ უფრო ართულებს ინფორმაციის სრულყოფილი გაშუქების ხარისხს და ოპერატიულობას. ამასთან, ხშირად პასუხები შერჩევითია და მოცემულია მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც სამთავრობო უწყებებისთვისაა მომგებიანი. საგულისხმოა ისიც, რომ ამგვარი წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ჟურნალისტს ერთმევა საინტერესო საკითხზე ჩაკითხვის, დაზუსტებისა თუ დამატებითი კითხვის დასმის საშუალება. რეგიონული მედიასაშუალების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ხშირად გამოთხოვილი ინფორმაციის მიწოდების დრო იმდენად ჭიანურდება, რომ აღნიშნული პრობლემის გაშუქება აქტუალობას კარგავს. ეს, შედეგად, იწვევს მოსახლეობის გაღიზიანებას, რომ მედიას თითქოს მათი პრობლემა არ აინტერესებს - საბოლოო ჯამში კი, ყველაფერი აისახება მედიის მიმართ ნდობის დაკარგვაში (რესპონდენტი ტელეკომპანია „ბორჯომი"-დან).

როგორც რეგიონული გაზეთის - „ჩემი ხარაგაულის“ - წარმომადგენელი აღნიშნავს, ადგილობრივი ხელისუფლება ცალმხრივად თანამშრომლობს მედიასაშუალებებთან, რაც გამოიხატება იმაში, რომ, მართალია, თხოვნით მიმართვის შემთხვევაში, მედიის წარმომადგენლები კომენტარის გარეშე არ რჩებიან და, ასე თუ ისე, აძლევენ ინფორმაციას, მაგრამ არასდროს აყენებენ საქმის კურსში, თუ როდის იმართება, მაგალითად, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. ეს მედიას უკარგავს შესაძლებლობას, გააშუქოს ის ცვლილებები თუ გადაწყვეტილებები, რომლის მისაღებადაც იყო ჩანიშნული ესა თუ ის სხდომა: „შთაბეჭდილება გვრჩება, რომ საკრებულოს წევრებს და თვითმმართველობის წარმომადგენლებს არაფერში სჭირდებათ ამომრჩევლებამდე ინფორმაციის მიტანა. ეს ლოგიკურად იმაზე მიუთითებს, რომ არანაირ ანგარიშვალდებულებას არ გრძნობენ ამომრჩევლის წინაშე...“ (“ჩემი ხარაგაულის” წარმომადგენელი)

რეგიონული მედიის წარმომადგენლები თამამად საუბრობენ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ ან მათ ფავორიტ მედიასაშუალებებზე, რომელთათვისაც არასდროს იშურებენ ინფორმაციას. თუმცა ეს „ნიუსები” გაჯერებულია მხოლოდ “სარეკლამო” ცნობებით მათ მიერ გაკეთებულ საქმეებზე და არა გასაკეთებელსა და პრობლემურზე. ასეთი დამოკიდებულებით, ჟურნალისტების შეფასებით, ფაქტობრივად, გაწყვეტილია ობიექტური უკუკავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათ რეალურ საჭიროებებთან. ადგილობრივი ხელისუფლება ამ პრაქტიკით თავს არიდებს რეალურ პრობლემებს ან/და მოსახლეობის რეალური საჭიროებების დღის წესრიგში გამოტანას. იმ მედიის მიმართ კი, რომელიც მათგან ფინანსურად დამოუკიდებელია და კრიტიკულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, აქვთ მტრული დამოკიდებულება.

რეგიონში მომუშავე ჟურნალისტები აღწერენ წყაროებთან ურთიერთობის პრობლემებსაც, რომლის სათავე, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებაა. მათი შეფასებით, ხელისუფლებას იმდენად ეშინია რეალურ პრობლემებზე საუბრის, რომ ცდილობენ რესპონდენტებიც „დააშინონ/დააშანტაჟონ“, რათა მათაც არ გამოთქვან ხმამაღალი უკმაყოფილება რომელიმე დამოუკიდებელ (ხელისუფლების აზრით კი, ოპოზიციურ) მედიასაშუალებასთან. დაშანტაჟების ინსტრუმენტად, როგორც წესი, იყენებენ სოციალური დასაქმების პროგრამას, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ჰყავთ დასაქმებული. ამდენად, სამსახურის და შემოსავლის დაკარგვის შიშით, ვერც მოსახლეობა ბედავს კონკრეტულ საჭიროებებსა და პრობლემებზე ხმამაღლა საუბარს. ეს კი, თავის მხრივ, მედიასაშუალებებისთვის ინფორმაციის მოპოვების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს, რაც მათ მიერ რეალური პრობლემის არგუმენტირებულად, ფაქტებზე დაყრდნობით გაშუქებას უშლის ხელს.

თითქმის ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელი - იქნება ეს რეგიონული თუ ნაციონალური- აღნიშნავს პოლარიზაციის მასშტაბების ზრდას ბოლო წლების განმავლობაში და აქვე ხაზს უსვამს მისი ინტენსივობის მატებას არჩევნების მოახლოებასთან ერთად. საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლის აზრით, პოლარიზაციის პროცესი კარგად დაგეგმილი და მართული პროცესია, რასაც ფეხს უწყობენ მსხვილი მედიასაშუალებები. „არადა, მედიის როლი საკუთარი დღის წესრიგის შექმნაა საზოგადოების კეთილდღეობის მისაღწევად და არა სხვის „დაკრულზე სიარული“, - აღნიშნავს ის. საზოგადოება ხვდება, რომ მედია საერთო ფერხულშია ჩაბმული და მის მიმართ ნდობას კარგავს. უფრო მეტიც, ჟურნალისტებისა და პროფესიის მიმართ არსებობს აგრესია, რომელიც სწორედ აქედან მოდის.

პოლარიზაციის ნეგატიურ ეფექტებს შორის განსაკუთრებით პრობლემურად ასახელებენ საზოგადოების ნდობის დაკარგვას და, შესაბამისად, მედიის მიმართ სოლიდარობის განცდის არარსებობას. ამ ფაქტთან დაკავშირებით, რესპონდენტი „ტოკ-ტვ”-დან იხსენებს რეგიონული

ტელევიზია „ტვ-25-ის" პრობლემას, როცა დახურვის წინაშე მყოფ მედიას, რამდენიმე წლის წინ მთელი ბათუმის მოსახლეობა ქუჩაში გამოსვლით დაუდგა გვერდით და არხმა მაუწყებლობა გააგრძელა. აქვე, რესპონდენტი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „წლების შემდეგ მსგავს სოლიდარობას მედიის რომელიმე საშუალების მიმართ დღეს უკვე ვერ ვნახავთ, რადგან ტელევიზიებმა (ისევე, როგორც სხვა მედიასაშუალებებმა) დაკარგეს კავშირი ხალხთან! ხალხს აღარ გააჩნია ნდობა და ვერც იაზრებს მედიასაშუალებების საჭიროებებს". რეგიონში მედიისადმი ნდობის შენარჩუნებას დიდი ძალისხმევა, პირადი ურთიერთობები და ადამიანური რესურსი სჭირდება. რომ არა ინფორმაციის, წყაროებისა და რესპონდენტების მოძიების ხელოვნურად ხელისშეშლა, ნდობა და მუშაობის შედეგი (კონკრეტული პრობლემების მოგვარება) უფრო ხელშესახები იქნებოდა.

პოლარიზების გამო შექმნილი პრობლემის დაძლევა რესპონდენტებმა შეუძლებლად მიიჩნიეს ყველა ჩართული მხარის (მმართველი პარტიისა და ხელისუფლების, ოპოზიციის, მედიაორგანიზაციების) მობილიზებისა და მათი რეალური სურვილის არარსებობის გამო. ამ ჩართულობის განხილვისას, ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ პოლიტიკური პოლარიზების პირობებში პოლიტიკოსები თავს კომფორტულად გრძნობენ, აქვთ „ტრიბუნები" და ჰყავთ აუდიტორია. მიუხედავად იმისა, რომ მედიას შეუძლია მცირედი ზეგავლენა მოახდინოს პოლარიზებაზე, მანევრირების დროს მაინც შეზღუდულია, რადგან მიბმულია არაჯანსაღი დაფინანსების მოდელზე და მედიამფლობელებზე. მედია იძულებულია, შეასრულოს დამფინანსებლის დაკვეთა, ან მუდმივად იბრძოლოს გადარჩენისთვის. ამ პროცესში, მას აღარ რჩება რესურსი იმისთვის, რომ პოლარიზაციის შესამცირებლად ძალისხმევა დახარჯოს. შედეგად, ვიღებთ იმას, რომ ზარალდება ხალხი, მედიის აუდიტორია, სწორედ ის მხარე, ვისი კეთილდღეობისკენაც უნდა იყოს მიმართული პოლიტიკოსებისა და მედიის საქმიანობა.

კვლევის პროცესში გამოსავლის ერთ-ერთ გზადაა წარმოჩენილი მედიის დემოკრატიზაცია: „იმისთვის, რომ მედიის გავლენა გაიზარდოს - საჭიროა მედიასაშუალებებმა დაიწყონ ხალხის ინტერესებზე მორგებული, ხალხისთვის საინტერესო კონტენტის შექმნა. ჟურნალისტებმა მეტად „უნდა დაუთმონ ხალხს მიკროფონი" და იპოვონ ის ნიშა, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს", - ამბობს რესპონდენტი, „რადიო თავისუფლებიდან".

შეჯამებისთვის: პოლარიზაცია ნეგატიური ჯაჭვური რეაქციით ვლინდება და აზიანებს როგორც მედიაგარემოს, ასევე საზოგადოებას. მმართველი პარტიისა და ოპოზიციის „მხარდაჭერილი" პოლარიზაცია, პირველ რიგში, იწვევს მათი მხრიდან მედიასაშუალებების არათანაბარ პირობებში ჩაყენებას იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ლოიალურად ან კრიტიკულად განწყობილი. ეს, თავის მხრივ, ქმნის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემას ცალკეული მედიასაშუალებისთვის, რადგან „ე.წ. ოპოზიციურ მედიაში ისმის მხოლოდ ოპოზიციის ხმა, ხოლო ე.წ. სამთავრობო მედიაში - მხოლოდ მმართველი პარტიის". ლოგიკურად, ეს იწვევს ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნის პრობლემას, რაც ამძაფრებს საზოგადოების პოლარიზებას და ამცირებს მედიისადმი ნდობას. საბოლოო ჯამში, პოლარიზაცია აზარალებს პროცესში მონაწილე ყველა მხარეს - ხელისუფლებას, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას, მედიას და რაც მთავარია, საზოგადოებას.

■ 4.2. ჟურნალისტური საქმიანობის გამოწვევები: კანონის ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ

2023 წელს საკანონმდებლო ბაზის ინსტრუმენტალიზაცია და მედიაგარემოს კონტექსტში კანონისა და რეგულაციების სადამსჯელო იარაღად გამოყენება (weaponization) ერთ-ერთი საყურადღებო ტენდენცია იყო. ეს თავი მოიცავს ცვლილებებს ჟურნალისტების აკრედიტაციის წესში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" (ე.წ. რუსულ) კანონს, SLAPP-ის (სტრატეგიული სარჩელები სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ) მიმართ ჟურნალისტების დამოკიდებულებას, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში დაგეგმილ და განხორციელებულ ცვლილებებს და სხვ. მედიასაფრთხეების ტენდენციები მიჰყვება მსოფლიო მედიის წინაშე არსებულ გამოწვევებს და ახასიათებს საქართველოს კონტექსტისგან გამომდინარე განსხვავებაც. მაგალითად, მედიის წარმომადგენლები არ ახსენებენ და იცნობენ SLAPP-ის პრაქტიკას, თუმცა იხსენებენ შემთხვევებს, როცა სასამართლოში ჩივილით მათ მუშაობას პრობლემები შეექმნა. ისინი იხსენებენ შემთხვევას, როცა წყარო მათ დაპატიმრებით დაემუქრა, თუ მასალას გამოაქვეყნებდნენ. სწორედ აქ ახსენა ჟურნალისტმა სასამართლოში ჩივილის პრაქტიკა, რომელიც დაშინების ერთ-ერთი გზაა და მუშაობის ბარიერებსაც ქმნის. "ჩვენ გვიჩივლა თამბაქოს კონტროლის ალიანსმა და პროცესი საშინლად გაიწელა. ამ პერიოდში კი ჟურნალისტი მუდმივ წნეხშია", - ამბობს „აი, ფაქტის" ჟურნალისტი.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მედიის რეგულირებისა და თვითრეგულირების საზღვრები. მნიშვნელოვან აქტორს წარმოადგენს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" (დეკემბერი, 2020) კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისა და მისი ხელმძღვანელობის მიუკერძოებლობას. კომისიას ხელმძღვანელობს კახა ბექაური, რომელიც 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული „მეცხრე არხის" დირექტორი იყო. მარეგულირებლის ცალკეული განცხადებები, პროექტები თუ საკანონმდებლო წინადადებები ძირითადად ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის საქმიანობის შეზღუდვისა და დისკრედიტაციისაკენ არის მიმართული. 2023 წელს მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებით კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილების გაზრდა და რეგულირების გამკაცრება სამოქალაქო სექტორის მიერ შეფასდა, როგორც კრიტიკული მედიის არსებობისთვის სარისკო გადაწყვეტილება.

ჟურნალისტური სტანდარტების გაუმჯობესებისა და პროფესიის გაჯანსაღების ერთ-ერთი გზა - თვითრეგულირების სხვადასხვა მექანიზმის გაძლიერებაა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2009 წლიდან ფუნქციონირების ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც აერთიანებს 318 ჟურნალისტს. ქარტიის ვებ-გვერდზე განთავსებული სტატისტიკისა და წლიური ანგარიშის მიხედვით, 2022 წელს ქარტიის საბჭომ 89 განცხადება განიხილა. წინა წლების მსგავსად, განხილულ განცხადებებში ყველაზე მეტჯერ ქარტიის პირველი პრინციპის, სიზუსტის, დარღვევა დგინდებოდა. სწორედ თვითრეგულირების სხვადასხვა მექანიზმის გაძლიერება არის ჟურნალისტური სტანდარტების გაუმჯობესებისა და პროფესიის გაჯანსაღების ერთ-ერთი გზა.

2023 წლის მედიაგარემოს შეფასებისას ნიშანდობლივია მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების" - მიერ კანონის ინსტრუმენტალიზაცია მედიის საქმიანობის ჩარჩოებში მოქცევის მიზნით, რაც მედიაორგანიზაციების დიდი ნაწილისა და სამოქალაქო საზოგადოების აზრით (იხ. მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადებები), საფრთხეს უქმნის დემოკრატიის ისეთ პრინციპებს, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის საჯაროობა და ღიაობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გაცნობიერებული და ინფორმირებული არჩევანის თვალსაზრისით, მოახლოებული 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ.

4.2.1. ცვლილება ჟურნალისტების აკრედიტაციის წესში

2023 წლის 6 თებერვალს გამოიცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის ბრძანება (1/31/23) „საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლის აკრედიტაციის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, აკრედიტებული ჟურნალისტის მოვალეობებში შედის: ხელი არ შეუშალოს ღონისძიებების მსვლელობას; წინასწარი თანხმობის გარეშე არ გადაიღოს პარლამენტის წევრის ან აპარატის თანამშრომლის სამუშაო ოთახი; პარლამენტის წევრის, აპარატის თანამშრომლის ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირის მიერ ინტერვიუზე უარის თქმის შემთხვევაში, შეწყვიტოს ინტერვიუ; პარლამენტის წევრის, აპარატის თანამშრომლის ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირის თანხმობის გარეშე არ გადაიღოს მისი დოკუმენტი, მისი ტელეფონის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის ეკრანი ისე, რომ მასზე არსებული ინფორმაციის ან გამოსახულების აღქმა შესაძლებელი იყოს, და სხვ. რეგულაციების დარღვევისთვის განისაზღვრა სანქციები (აკრედიტაციის შეჩერება და გაუქმება).

ცვლილებებს გარკვეული გამოხმაურებები მოჰყვა როგორც სახალხო დამცველის, ასევე ქართულ მედიის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან. მათ შორის არიან “ჟურნალისტების დაცვის კომიტეტი” (CPJ), “მედიის ადვოკატირების კოალიცია”, “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო ”, “საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია” და სხვები. შეფასებებში აღნიშნულია, რომ ესაა “კრიტიკული მედიისგან დაცული ერთგვარი კომფორტის ზონის” შექმნის მცდელობა. “გნომონ ვაიზის” მკვლევარი (ქუტიძე, 2023) აღნიშნავს: „ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ თუკი არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ჟურნალისტს უნდა შეეძლოს პარლამენტის წევრისთვის ან აპარატის თანამშრომლისთვის კითხვის თუნდაც რამდენჯერმე გამეორება, მიუხედავად მათი უარისა, ასევე მათი ოთახების, დოკუმენტებისა თუ ელექტრონული მოწყობილობების ეკრანის გადაღება”. ახალი წესი საშუალებას აძლევს პარლამენტარს, თავი აარიდოს მისთვის უხერხულ კითხვებს და ჟურნალისტის მცდელობა - მიიღოს კრიტიკულ კითხვაზე პასუხი, შეფუთოს, როგორც აკრედიტაციის წესის დარღვევა.

ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციის შეჩერების თემას გამოეხმაურა CPJ (აპრილი, 2023) და მოუწოდა პარლამენტს, შეცვალოს რეგულაციები. გამოხმაურებაში ნათქვამია: „თუ საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად აპირებს პოლიტიკური და მედიის პოლარიზაციის შემცირებას, მათ უნდა იმუშაონ ყველა ჟურნალისტთან, რათა შეიმუშაონ მისაღები და მდგრადი მარეგულირებელი ჩარჩო“. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის განცხადებაში (2023, 7 თებერვალი) აღნიშნულია, რომ „იმ ფონზე, როდესაც მედიისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია საჯარო ინფორმაციის მიღება და მმართველი პარტიის წარმომადგენლები შერჩევითად აძლევენ ინტერვიუს მედიასაშუალებებს, მსგავსი რეგულაციების დაწესებით შეუძლებელი გახდება ინფორმაციის მოპოვება და საზოგადოებისთვის მიწოდება“. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მონაცემებით (აპრილი, 2023), ერთწლიანი აკრედიტაცია 197-მა ჟურნალისტმა მიიღო. ჟურნალისტთათვის აკრედიტაციის შეჩერების პირველი პრეცედენტი 6 აპრილს დაფიქსირდა.

2023 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა თავის ოფიციალურ Facebook-გვერდზე გამოაქვეყნა პარლამენტში მედიის აკრედიტაციის ახალი წესების შემოღებიდან 100-დღიანი ანგარიში, რომელშიც მოცემულია, რომ ამ ხნის განმავლობაში სულ აკრედიტაციის ერთთვიანი შეჩერების ზომა გამოყენებულ იქნა 9 შემთხვევაში, აქედან

5 ჟურნალისტის და 4 ოპერატორის მიმართ. ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ აღნიშნული 9 შემთხვევიდან 1 გამოყენებულ იქნა მანდატურის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო, ხოლო 8 - რესპონდენტის მხრიდან ინტერვიუზე უარის თქმის მიუხედავად, ჟურნალისტის მხრიდან რესპონდენტზე ადევნებისა და ინტერვიუს გაგრძელების გამო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ახალ წესს „ბიუროკრატიულ სკალპელს" უწოდებს. ორგანიზაციის შეფასებით, „2023 წელს ამოქმედებულმა აკრედიტაციის განახლებულმა რეგულაციებმა აამოქმედა სადამსჯელო მექანიზმები კრიტიკული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ, გააუარესა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და, შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირების ხარისხი" (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ივნისი, 2023). მედიის ადვოკატირების კოალიციის შეფასებით კი, „აღნიშნული გადაწყვეტილებები სადამსჯელო ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით, მმართველი პარტია „ქართული ოცნების" მხრიდან კრიტიკული მედიის მიმართ გაცხადებული ბოიკოტისა და პოლარიზებული მედიაგარემოს ფონზე".

რეგულაციის გამკაცრებამ ჟურნალისტებში გააჩინა დამატებითი შიში. მედიის წარმომადგენლები თვლიან, რომ ეს გამოიწვევს ისედაც შეზღუდულ ინფორმაციაზე წვდომის კიდევ უფრო შეზღუდვას. აკრედიტაციის ახალი, „დასანქცირების წესი" შესაძლებლობას აძლევს პარლამენტარებს, საქმიანობა შეუზღუდონ და თავიდან მოიშორონ მათთვის „არასასურველი ჟურნალისტი, არასასურველი შეკითხვებით". ამ წესმა პრაქტიკაში მუქარისა და დაშინების ინსტრუმენტად იმუშავა იმის მიუხედავად, რომ „დასანქცირების" პრაქტიკა დროებით დაპაუზებულია.

კვლევაში ჩართული რესპონდენტების შეფასებებით, ახალი წესი ჟურნალისტებისთვის სადამსჯელო, ხოლო პარლამენტარებისთვის კრიტიკული კითხვებისგან თავდაცვისა და თავის არიდების ინსტრუმენტი იყო. რესპონდენტი ტელეკომპანია „მაესტრო"-დან განმარტავს, რომ ამ წესის მიზანი ისეთი პარლამენტარების დაცვა იყო, რომლებსაც არ სურთ ჟურნალისტებთან საუბარი და კითხვების განმეორებით დასმისას განსაკუთრებულ „სისულელეებს აფრქვევენ". რესპონდენტი „სტუდია მონიტორი"-დან ამბობს: „ადრე ხელისუფლება შენი მტერი არ იყო... ახლა კი ვიცით, რომ თუ დასჭირდათ - შეუძლიათ გაგანადგურონ"...

რესპონდენტი „ნეტგაზეთიდან" ამბობს: „ეს წესი არის ჟურნალისტური საქმიანობის შემზღუდველი, ეს იყო ერთადერთი ლეგიტიმური სივრცე, სადაც შეგვეძლო დეპუტატებისთვის პასუხი მოგვეთხოვა"...

ჟურნალისტები საუბრობენ პარლამენტში კრიტიკული კითხვებისთვის დაწესებულ სხვა ფილტრებზეც. მაგალითად, იხსენებენ შემთხვევებს, როცა პარლამენტის პრეს-სამსახურში დასაქმებული პირები მიუთითებენ კრიტიკული მედიის წარმომადგენლებს, თუ რომელი შეკითხვა დაესვათ და რომელი - არა. ყოველივე ეს კი, ცხადია, ჯამში ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და თავისუფლად დინებაზე აისახება.

ამდენად, აკრედიტაციის ახალი წესის შემოღებით, მმართველ ძალას გაუჩნდა შესაძლებლობა, არ უპასუხოს კრიტიკულ კითხვებს, არ მიაწოდოს ინფორმაცია მისთვის არასასურველ ან ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის ჟურნალისტს, რითაც ხელი ეშლება როგორც მედიის მთავარი ფუნქციის, ასევე დემოკრატიის პრინციპების განხორციელებას, რაც მედიის წინააღმდეგ კანონის ინსტრუმენტალიზაციის უტყუარი ნიშანია.

4.2.2. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონი და მედია

მიმდინარე წლის ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული დღეები უკავშირდება მარტის თვეში პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის (რომელსაც არაფორმალურად „რუსული კანონი” და „აგენტების კანონი” ეწოდა) მიღების მცდელობას. საპროტესტო აქციების ინიციატორი იყო დამოუკიდებელი მედია, თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ააღელვა. საპროტესტო აქციების შედეგად, მმართველმა გუნდმა მეორე მოსმენით კენჭისყრაზე ჩააგდო პირველი მოსმენით მხარდაჭერილი კანონპროექტი.

ონლაინ გამოცემა „პუბლიკას” ცნობით (“პუბლიკა”, მარტი, 2023), პარლამენტში ინიციირებული პროექტის გაპროტესტება 20 თებერვალს, მედიაორგანიზაციების პროტესტით, პარლამენტის ბიუროს სხდომიდან დაიწყო. ჟურნალისტების შეფასებით, ფართო საზოგადოებაში, რომელიც ნაკლებად იყო ინფორმირებული თუ რა ეწერა „რუსულ კანონში“ (იგივე „აგენტების შესახებ“ კანონში), კანონპროექტის დამტკიცების მცდელობამ ამბივალენტური დამოკიდებულებები გამოიწვია. ერთი მხრივ, გამოჩნდა საზოგადოების ერთსულოვნება და მეორე მხრივ, ორ მხარეს შორის არსებულმა პოლარიზაციამ პიკს მიაღწია.

„ტვ პირველის” წარმომადგენელი იხსენებს, რომ „როგორც კი პარლამენტში პირველივე სხდომაზე დაიწყეს კანონპროექტის განხილვა, ყველა მიხვდა, რომ ეს გამოიწვევდა ნეგატიურ გარდატეხას მათ საქმიანობაში, რომ ეს იქნებოდა მათი თავისუფალი ჟურნალისტური საქმიანობის დასასრულის დასაწყისი. მოცემული კანონის ამოქმედება დაარტყამდა არამარტო ჟურნალისტურ საქმიანობას, არამედ მთლიანად სამოქალაქო სექტორს, რადგან კანონის მოცვის სპექტრი იყო ძალიან დიდი“ (რესპონდენტი „ტვ პირველიდან”).

ჟურნალისტები საკუთარი ეთერებიდან გამუდმებით საუბრობდნენ კანონპროექტის საფრთხეებზე და ისინი მედიის დამსახურებად მიიჩნევენ იმას, რომ კანონპროექტის ინიციირებას მოჰყვა ხალხის უპრეცედენტო რაოდენობის გამოსვლა დემონსტრაციებზე, რომელთან ღია დაპირისპირებაც მმართველმა გუნდმა ვეღარ გაბედა.

ყველაზე მთავარი, რასაც ჟურნალისტები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის გარშემო განვითარებული პროცესების კონტექსტში ხაზს უსვამენ - ესაა უპრეცედენტო სოლიდარობის მაგალითი, რომელიც იყო არამარტო მედიის წარმომადგენლებს შორის, არამედ მთელ სამოქალაქო საზოგადოებასა და ხალხში. ჟურნალისტი „სტუდია მონიტორიდან” აღნიშნავს, რომ კანონპროექტის გასაჯაროებისთანავე გადაწყვიტეს, რომ კანონის ამოქმედების შემთხვევაში, არ დაემორჩილებოდნენ მოცემულ კანონს და არ დარეგისტრირდებოდნენ ე.წ. აგენტების რეესტრში. ეს, ცხადია, მათი ორგანიზაციის დახურვას გამოიწვევდა, თუმცა კანონი თავისთავად სწორედ იმისთვის იყო ინიცირებული, რომ თანდათანობით მოეხდინათ უცხოურ დაფინანსებაზე მყოფი მედიასაშუალებების (და არამარტო) საქმიანობის შეზღუდვა/ თავიდან მოცილება.

რესპონდენტი „ფორმულა”-დან: „მე, მაგალითად, „რუსული კანონის“ შემოტანის დროს ჩვეულებრივი აქტივისტივით გამოვდიოდი. ამ დროს ჟურნალისტიკა მეორეხარისხოვანი იყო, რადგან სრულიად სხვა გამოწვევის წინაშე ვიყავით. როცა ფიზიკურად გიპირისპირდებიან - წინააღმდეგობის გაწევა უფრო მარტივია, თუმცა, როცა კანონით გიპირისპირდებიან - ეს ნიშნავს, რომ ან დაგიჭერენ, ან ქვეყნიდან გარბიხარ, ან ეგუები...“

რესპონდენტი „ნეტგაზეთი“-დან: „ჩვენი სარედაქციო პოლიტიკით, აკრძალული გვაქვს ნებისმიერ საპროტესტო გამოსვლაში მონაწილეობის მიღება, თუ ეს არ ეხება ჟურნალისტების ან რომელიმე მედიის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას. ე.წ. რუსული კანონის შემთხვევაში კი, ყველა ერთად დავდექით და არ ელოდნენ ამგვარ რეაქციას“.

მართალია, მარტის მოვლენების შემდეგ კანონპროექტი მეორე მოსმენით კენჭისყრაზე ჩავარდა, ჟურნალისტები მაინც მიიჩნევენ, რომ მმართველი გუნდის მცდელობები ამ კანონის სხვადასხვა ფორმით იმპლემენტაციის მიმართულებით არ დასრულებულა. მათი აზრით, ყველაზე ცუდი ისაა, რომ “რუსული კანონი” ახლა დაშალეს და ნაწილ-ნაწილ ცდილობენ მის გატანასა და დამტკიცებას.

რეგიონული მედია „ტოკ-ტვ”-ის ჟურნალისტის აზრით, კანონის ინიციირებას ჰქონდა „მსუსხავი ეფექტი”: „კანონპროექტის ინიციირებამ, მიუხედავად მისი ჩავარდნისა, საკმაოდ მავნე გავლენა იქონია საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე. კერძოდ, მართალია, მან კანონის სახე ვერ მიიღო, მაგრამ ჩამოაყალიბა საზოგადოების ნეგატიური განწყობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ”. ჟურნალისტის აზრით, მიზანი სწორედ მხარეების დისკრედიტაცია იყო (რაც მოცემულმა ინიციატივამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შეძლო კიდეც). „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის ინიციირებამ დემოკრატიული ინსტიტუტები „ყოფნა-არყოფნის” საფრთხის წინაშე დააყენა და ამასთან გამოავლინა კოორდინირებისა და სოლიდარობის რესურსი.

4.2.3. სიძულვილის ენისა და უხამსობის რეგულირება

მედიის წინააღმდეგ კანონის ინსტრუმენტალიზაციის კიდევ ერთი მაგალითია საქართველოს პარლამენტის მიერ მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლითაც ფუნქციები გაეზარდა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, თვითრეგულირებიდან რეგულირებად საკითხებში გადაინაცვლა სიძულვილის ენისა და უხამსობის გამოვლინებამ მედიის მეშვეობით.

ცვლილებებს გამოეხმაურა როგორც მედია, ასევე სამოქალაქო საზოგადოება. მათ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებსა თუ ანალიზში გაანალიზებულია სამთავრობო პარტიის მცდელობა - შეფუთოს კონკრეტული მედიაპროდუქტი სიძულვილის ენისა და უხამსობის გამოვლინებად. აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ ცვლილებით მედიის მიერ პროფესიული სტანდარტების დარღვევა თვითრეგულირებიდან გადავიდა რეგულირების სფეროში, რაც კიდევ ერთი ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს არასასურველი და კრიტიკული მედიის გასაჩუმებლად. მაგალითად, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასებით (ოქტომბერი, 2023): „მაუწყებლობის შესახებ” კანონში „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული სადავო ცვლილებები აუარესებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არსებულ, ისედაც გაუარესებულ სტანდარტს და მაუწყებლებზე ზემოქმედების დამატებით რისკებს ქმნის”. ორგანიზაციის შეფასებით სიძულვილის ენის სამართლებრივი რეგულირება რისკის შემცველია...ძლიერი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების არარსებობისა და სასამართლო სისტემისადმი დაბალი ნდობის ფონზე”.

ჟურნალისტების დაცვის კომიტეტმა (CPJ) გააკრიტიკა აღნიშნული ცვლილება (CPJ; ოქტომბერი, 2023), რომელიც მარეგულირებელ კომისიას უფლებამოსილებას უფართოებს მედიის სანქცირების კუთხით. პარლამენტის მიერ დაჩქარებულად, დაინტერესებული პირების ჩართულობისა და რისკების შეფასების გარეშე ცვლილებების მიღება კრიტიკულად შეაფასა (ოქტომბერი, 2023) მედიის ადვოკატირების კოალიციამაც.

აღნიშნული ცვლილებების აუცილებლობა მმართველი გუნდის მხრიდან განიმარტა („ფორმულა“, ნოემბერი, 2023) როგორც ევროდირექტივის ნაწილი, რომელიც კანდიდატის სტატუსის მინიჭების გზაზე აუცილებელი შესასრულებელი იყო. თავის მხრივ, ევროკავშირის წარმომადგენლობა გამოეხმაურა (Civil.ge; ოქტომბერი, 2023) კანონში ცვლილებებს და აღნიშნა, რომ კონკრეტულად „უხამსობის” ნაწილში ცვლილებები „დირექტივის ნაწილი არ არის“ და „არ არსებობს მისი რეგულირების საჭიროება დირექტივის მიხედვით“.

კვლევაში ჩართული ჟურნალისტების შეფასებით, საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში განხორციელება უკავშირდება ისეთ საფრთხეებს, როგორიცაა მედიაზე ფინანსური წნეხისა და რედაქციებში თვითცენზურის გაზრდა. ამის უკან ასევე არის არასაკმარისი ცოდნა სიძულვილის ენისა და უხამსობის დეფინიციასთან მიმართებით. მედიის წარმომადგენლები შეშფოთებას გამოხატავენ ამ თემაზე პოლიტიკოსების დაბალი ცნობიერების გამო. მათ გაიხსენეს შემთხვევები, როცა პარლამენტარები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს კანონში ცვლილებას, განმარტავდნენ, რომ ამიერიდან ჟურნალისტები ვეღარ შეძლებდნენ კრიტიკული კითხვების დასმას და შეურაცხყოფის შემცველი ფრაზების გამოყენებას.

სიძულვილის ენისა და უხამსობის რეგულირება მნიშვნელოვანი გამოწვევაა. პოლარიზებული გარემო ნოყიერი ნიადაგია სიძულვილის ენისთვის, რადგან გაჯერებულია დისკრედიტაციისა და დეზინფორმაციის კამპანიებით, მოწყვლადი ჯგუფების სტიგმატიზირებისა და იარლიყების მიკერების პრაქტიკით. სიძულვილის ენის გამოყენების მიზანი სამიზნე აუდიტორიის გახლეჩა და სოლიდარობის ხარისხის შემცირებაა, რაც, ასევე, თანხვედრაშია პოლარიზაციის მიზნებთან.

გამოწვევაა როგორც ჟურნალისტებისა და მათი რესპონდენტების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება, ასევე თავად მედიის წარმომადგენლების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენება (მიზანმიმართულად იარლიყების მიკერება, რომელიც მედიის მიმართ სოლიდარობასა და ნდობას ამცირებს). სამწუხაროდ, ჟურნალისტებთან მიმართებით სიძულვილის ენის გამოყენების პრეცედენტებს ვხვდებით როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან. როგორც „ტვ პირველის” ჟურნალისტი აღნიშნავს, მათი მიზანი არის „ჟურნალისტისგან მტრის ხატის“ შექმნა: „ქართული ოცნების” მისამართით რამდენი კრიტიკული კითხვაც დამისვამს, არ მახსენდება ამ კითხვაზე პასუხი არ იწყებოდეს შემდეგნაირად: თქვენი პატრონები არიან ნაცები [იგულისხმება ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობა]... და ა.შ. არ მახსოვს, არ გაველანძღეთ. ფაქტობრივად, კითხვაზე პასუხი იწყება თავდასხმით. ეს ყველაფერი, ისევ და ისევ, აძლიერებს პოლარიზაციას“.

ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ სიძულვილის ენასთან ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვანია და, თავისთავად, რეგულირება ან თანარეგულირება არაა ცალსახად ნეგატიური მოვლენა. თუმცა, ჟურნალისტებს არ აქვთ ნდობა ხელისუფლების, კომუნიკაციების კომისიისა და სასამართლოსადმი და ვარაუდობენ, რომ ამ ბერკეტით მმართველი გუნდი შეძლებს წნეხის გაზრდას კრიტიკულად განწყობილ მედიაზე. მედიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ, კანონის ფართო ინტერპრეტაციის გამო, სასამართლოს შეუძლია, ასევე, მიიღოს და დაამკვიდროს პრაქტიკა, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას შეზღუდავს.

მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილების მიმართ რეგიონული მედიის წარმომადგენლების კრიტიკული დამოკიდებულებისა, მათ მაინც არ აქვთ იმის მოლოდინი, რომ ამ ჩანაწერის სადამსჯელო ეფექტი რეგიონული მედიისკენ იქნება მიმართული და ფიქრობენ, რომ ის უფრო ნაციონალური და ე.წ. ოპოზიციური მედიის შესაშინებლადაა მოფიქრებული. მედიის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმას, რომ კანონი საფრთხის შემცველია იმისდა მიუხედავად,

თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში, რადგან განმარტებები სიძულვილის ენის, უხამსობისა და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართებას შორის ბუნდოვანია. ჟურნალისტებს აქვთ მოლოდინი, რომ საკანონმდებლო ცვლილებას მმართველი პარტია „არასასურველი“ მედიის ფინანსური დასანქცირებისთვის გამოიყენებს და კანონის ამოქმედებამ შეიძლება მედიის გაკოტრება და დახურვაც კი გამოიწვიოს.

ასევე აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დაბალია საქართველოში ჟურნალისტების ცნობიერება ე.წ. SLAPP (სტრატეგიული სარჩელები საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ) საქმეების პრაქტიკის შესახებ. არადა, საქართველოში ასეთი სარჩელების ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოყენების მზარდი პრაქტიკაა. პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში „მედიის თავისუფლების კოალიცია” (MFC; მაისი, 2023) ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გავლენიანი კომპანიები და კერძო პირები სამართლებრივ სისტემას იყენებენ მედიის გასანადგურებლად და ჟურნალისტების სანდოობის შესარყევად. ამ კუთხით, საგანგაშოა ცილისწამების მუხლით წარმოებული სარჩელების გამოყენება ჟურნალისტური საქმიანობის ხელისშეშლისთვის. არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის” მიერ მომზადებულ კვლევაში (ივნისი, 2023) აღნიშნულია, რომ 2021-23 წლებში უსაფუძვლო სარჩელების რაოდენობა გაიზარდა და ამ ეტაპზე მათი რიცხვი 38-ს აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ჩართული მედიის წარმომადგენლები არ იცნობენ SLAPP-ის თემას, ზოგადად, ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მედიაორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სოლიდარობის დემონსტრირებას, მახინჯი პრაქტიკის დამკვიდრების შემთხვევაში და კოორდინირებული პროტესტის გამოხატვას - მედიის შევიწროების შემთხვევაში.

4.2.4. ნიკა გვარამიას საქმე 2023

ტელეკომპანია „მთავარი არხის” დირექტორ ნიკა გვარამიას ბრალდება 2019 წლის 9 აგვისტოს, იმავე წლის 20 ივლისს დაწყებული გამოძიების ფარგლებში, წარედგინა. ბრალდება ძირითადად შეეხებოდა ნიკა გვარამიას ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობის პერიოდს. სხვადასხვა მოკვლევით, საქმის მასალების შესწავლისა და პროცესზე დაკვირვების საფუძველზე, არაერთმა ორგანიზაციამ დაასკვნა, რომ აღნიშნული საქმე პოლიტიკურად მოტივირებული იყო, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 16 მაისს, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია, „რუსთავი 2-ის“ დირექტორობისას კომპანიისთვის ზიანის მიყენების საქმეზე გაამტყუნა და 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. 2022 წლის ნოემბერში თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

ნიკა გვარამიას პატიმრობას პროტესტი მოჰყვა როგორც მედიის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის მხრიდან. გვარამიას გათავისუფლება მოითხოვეს საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. 2023 წლის აპრილში, 11-მა გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს რომ შეეწყალებინა ნიკა გვარამია (CPJ; აპრილი, 2023). 2023 წლის 22 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა.

პრეზიდენტის მიერ ტელეკომპანია „მთავარის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას შეწყალება 2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელიც პოზიტიურ კონტექსტში აღინიშნა 2023 წლის ევროკომისიის შეფასებაში (2023 წლის კომუნიკაცია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, ამონარიდი საქართველოს შესახებ; ნოემბერი; 2023).

ჟურნალისტების აზრით, ნიკა გვარამიას შეწყალება ასევე იყო მედიის, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული ძალისხმევისა და თემის სხვადასხვა პლატფორმიდან აქტუალიზაციის შედეგი. ამ მოვლენის გავლენა მედიაგარემოზე ჟურნალისტების მიერ ცალსახად პოზიტიურად ფასდება, ჟურნალისტი „მთავარი არხიდან" ამბობს, რომ ნიკა გვარამიას გათავისუფლებამ ბრძოლის გაგრძელების მოტივაცია მისცა ჟურნალისტებს და კიდევ ერთხელ დაანახა საზოგადოებას კოორდინირებული მუშაობის დადებითი ეფექტი. განსხვავებულია „იმედის" ჟურნალისტის შეფასება, რომელიც აღნიშნავს, რომ მისთვის მიუღებელი იყო „მთავარი არხის" ჟურნალისტების მხრიდან შეწყალების დღეს გამოხატული დადებითი ემოციები და მიაჩნია, რომ დამსაქმებლის მიმართ ჟურნალისტის ამგვარი ემოციური ბმა არაპროფესიონალიზმის გამოვლინება იყო.

საერთაშორისო ავტორიტეტულმა ორგანიზაცია ჟურნალისტების დაცვის კომიტეტმა (CPJ) 17 ნოემბერს, ნიუ-იორკში ნიკა გვარამიას პრესის თავისუფლების საერთაშორისო ჯილდო გადასცა.

შეჯამებისთვის: მმართველი პარტიის მიერ მედიის წინააღმდეგ კანონის ინსტრუმენტალიზაცია საშიში ტენდენციაა. მედიამენეჯერის ნიკა გვარამიას საქმემ კი ცხადი გახადა, რომ მმართველი პარტია სხვადასხვა ფორმით ცდილობს, მედიის კრიტიკული ხმა ჩაახშოს. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკოსებისა და მთავრობების, მედიის კოორდინირებული მოთხოვნებისა და თემის უწყვეტი აქტუალიზაცით, დადგა პოზიტიური შედეგი. თუმცა, მიუხედავად ნიკა გვარამიას შეწყალებისა, მედიაგარემოში დარჩა მნიშვნელოვანი საფრთხეები და გამოწვევები, ისეთი, როგორიცაა მარეგულირებლის გაზრდილი უფლებამოსილება და ამ კონტექსტში, სიძულვილის ენისა და უხამსობის რეგულირება.

4.3. მედია ლოკალური და გლობალური კრიზისების კონტექსტში

მედიის დღის წესრიგსა და ჟურნალისტური საქმიანობის თავისებურებებზე მოქმედებს როგორც გლობალური ტენდენციები, ასევე მიმდინარე ლოკალური ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები. 2023 წელს ქვეყნის გარეთ და შიგნით მიმდინარე მოვლენებიდან იყო ისეთებიც, რომლებმაც, ჟურნალისტების აზრით, ზეგავლენა მოახდინეს მედიაგარემოზე. ამ მოვლენების ნაწილი უშუალოდ შეეხო ჟურნალისტების ყოველდღიურ საქმიანობას, ნაწილმა კი ირიბად იმოქმედა მედიაგარემოზე.

გლობალური კრიზისების გავლენის კონტექსტში, მედიაგარემო მთავარ ფაქტორად რუსეთ-უკრაინის ომს და მასთან საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას მოიაზრებს, რომელიც პოლარიზაციის დისკურსზე გადის. ჟურნალისტების სტიგმატიზაცია ამ თემასაც შეეხო, კერძოდ, „ფორმულას" ჟურნალისტი ამბობს, რომ თუკი ჟურნალისტი უკრაინაში მყოფ ქართველ მებრძოლს დადებით კონტექსტში წარმოაჩენს, მმართველი გუნდის ძალისხმევით ეს ფაქტიც „გლობალური ომის პარტიის" დისკურსში გადავა.

ჟურნალისტებისთვის პრობლემურია ის, რომ საქართველოს მთავრობა უკრაინის ომში დაღუპულ ქართველ მეომრებს სამხედრო პატივით არ კრძალავს. მათი აზრით, ამის უკან არის რუსეთის მიმართ მაამებლური პოლიტიკა, რაც იფუთება რუსეთის აგრესიის შენიღბვით და „აბა, ომი გინდათ?" - მესიჯით. ამ საკითხთან დაკავშირებით, მმართველი პარტიისადმი ლოიალური მედიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ უკრაინის ომმა საზოგადოება კიდევ მეტად გახლიჩა, გაიზარდა პოლარიზაცია. ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტი ამბობს, რომ ამ თემასთან მიმართებით დიდია თვითცენზურა. ხდება ისეც, რომ ფაქტებს პრორუსობასა და

რუსულ პროპაგანდაში დაადანაშაულების შიშით არ აშუქებენ. ომის გაშუქების ინტენსივობა განსხვავებულია რუსეთ-უკრაინისა და ისრაელი-პალესტინის შემთხვევებში. რუსეთის უკრაინაში ომის გაშუქება 24/7-ზე ხდებოდა.

თვითცენზურა ეხება ლოკალურ კრიზისებს და ტრაგედიებსაც. რესპონდენტი „იმედი TV"-დან იხსენებს: „რაჭის ტრაგედიის ამბების გაშუქებისას, მოხდა ისე, რომ იმ დღეს მსოფლიოში მომხდარი წყალდიდობის თემა გავაშუქეთ. შედეგად, დაგვადანაშაულეს იმაში, რომ ვცდილობდით, გადაგვეფარა შოვის ტრაგიკული ამბები".

4.3.1. მედია „კანდიდატის სტატუსის"მოლოდინში

2022 წელს ევროკომისიის მომზადებულ დოკუმენტში (აპრილი, 2022) აღნიშნული იყო, რომ ხშირია მედიაში დასაქმებულების დაშინებები, ფიზიკური და ვერბალური თავდასხმები, განსაკუთრებით დემონსტრაციებსა და საარჩევნო პერიოდში, გამოძიებები კი პასიურია. გახშირდა სასამართლო პროცესები და გამოძიებები ოპოზიციური მედიამფლობელების წინააღმდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს „მსუსხავი ეფექტი" კრიტიკული მედიის გაშუქებაზე. საჭიროა მედიის რეგულატორთან (კომუნიკაციების ეროვნული კომისია) დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შემდგომი დახვეწა. კომისიის მიერ შემუშავებულ 12 რეკომენდაციაში აღნიშნული იყო: „უფრო მეტი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისთვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების წინააღმდეგ".

2023 წლის ნოემბერში ევროკომისიამ მხარი დაუჭირა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, შეფასებაში (ნოემბერი, 2023) აღნიშნულია: „რაც შეეხება მედიის პლურალიზმს, პრეზიდენტის შეწყალების შემდეგ, ოპოზიციური მედიის დირექტორი გაათავისუფლეს და პარლამენტმა მიიღო ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ" კანონში ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად". აქვე, განსაზღვრა ის მომდევნო ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია ევროინტეგრაციის გზაზე. მათ შორისაა მედიასთან დაკავშირებული გამოწვევები. ესენია: ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებების ამბიციური სტრატეგიის განხორციელებისა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მოწყვლადი ჯგუფების, მედია-პროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიების დაწყება, ძალადობის ორგანიზატორებისა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათი თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფა.

დეკემბერში ევროპულმა საბჭომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შესახებ. ფოკუს-ჯგუფების ჩატარების პროცესში (ოქტომბერი-ნოემბერი), საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი არ იყო გადაწყვეტილი. დადებითი პასუხის სურვილის მიუხედავად, მედიის წარმომადგენლები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი აღნიშნული პერსპექტივის მიმართ და ამის მიზეზებად ასახელებდნენ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოუძიებელ

საქმეებს, 5 ივლისის (ჰომოფობიური ძალადობის) საქმეს, რომლის გამოძიებაც ჯერ კიდევ არაა დასრულებული. აღსანიშნავია, რომ, სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, ეს საკითხები კვლავ დარჩა მედიაგარემოს გაუმჯობესების დღის წესრიგში.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში დაბალია ინფორმირებულობა ევროინტეგრაციით გამოწვეული უპირატესობების შესახებ. ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ არ არსებობს მიზანმიმართული კამპანიები, რომლებიც ინფორმირებულობას გაზრდის იმაზე, თუ რას გულისხმობს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და რა რეალური სარგებელი აქვს მას. ჟურნალისტების აზრით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესს უნდა ჰქონდეს კამპანიური და სტრატეგიული ხასიათი. ჟურნალისტებს არ აქვთ მოლოდინი, რომ ევროპული საბჭო მიერ დადებითი გადაწყვეტილება ზეგავლენას იქონიებს პოლარიზაციის შემცირებაზე.

4.3.2. მედია რუსული „ავთვისებიანი გავლენების" პირისპირ

გასული წლის მედიაგარემოს მახასიათებლად ისევ რჩებოდა რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდისტული ნარატივების გავრცელება ქართული მედიის საშუალებით. მედიის დისკრედიტაციის ყველა მცდელობა იმეორებდა რუსეთის ხელისუფლების მიერ დანერგილ და კარგად აპრობირებულ მეთოდს - როგორმე ჩააჩუმოს კრიტიკული ხმა და ყველა განსხვავებული მოსაზრება შეფუთოს იმ იარლიყებით, რომელიც საზოგადოებას მედიისადმი ნეგატიურად განაწყობს. მაგალითად, ხშირია მმართველი გუნდის მხრიდან ძალების კრიტიკული მედიის ჟურნალისტებისადმი მიმართვები: „თქვენ ხართ მხარე", „არ მოგცემთ კომენტარს, იმიტომ, რომ თქვენ ხართ მიკერძოებული" და სხვ.

კვლევაში ჩართული ჟურნალისტების უმრავლესობა, დეზინფორმაციის და რუსული ნარატივის მხარდამჭერებად, ძირითადად, მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილ მედიასაშუალებებს მოიაზრებენ. ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტი ამბობს, რომ რუსულ და პრო-სახელისუფლებო ქართულ მედიაში, მთელ რიგ შემთხვევაში, პროპაგანდისტული სიუჟეტების ნარატივი, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა და სიტყვა-სიტყვითაც კი მეორდება. რეგიონული მედიის - „ტოკ-ტვ"-ის წარმომადგენელი მთავარი პრობლემად ასახელებს იმას, რომ დეზინფორმაციის გამავრცელებლები ემოციებზე ზემოქმედებით მანიპულირებენ მაშინ, როცა დამოუკიდებელი მედია ცდილობს გააანალიზოს მასალა და აუდიტორიას ობიექტური სიმართლე დაანახოს.

დეზინფორმაციის და რუსული ნარატივის გავრცელების მცდელობად ასახელებენ ანტი-დასავლური მაუწყებლის „ალტ-ინფოს" მიერ ათეულობით რეგიონული ოფისის გახსნას და ამით, რეგიონის მოსახლეობაზე ზემოქმედებას. ცნობისთვის: არასამთავრობო ორგანიზაცია ISFED-ის 2022 წლის მონაცემებით (ივლისი; 2022) პრორუსულმა პარტიამ „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ" რეგიონებში ოფისების აქტიურად გახსნა 2022 წლის იანვარში დაიწყო და საქართველოს მასშტაბით პარტიის 64 ოფისი გახსნა. მათვე ეკუთვნით ტელევიზია „ალტ-ინფო". ჩვენს კვლევაში ჩართული ჟურნალისტების შეფასებით, „კონსერვატიული მოძრაობა/ ალტ-ინფოს" აქტიური მუშაობის შედეგად, რეგიონის მოსახლეობა „ალტ-ინფოს" ტელევიზიას „თავისიანებად მიიჩნევს".

პროპაგანდის ნაწილია სამთავრობო ამბების ცალსახად დადებითი კონტექსტით გაშუქება და მიზანმიმართული სარეკლამო კამპანიები, რაც დეზინფორმაციის ელემენტებსაც შეიცავს. ამ ყველაფერს ემატება თანამედროვე ტროლ-ბოტების ფაქტორიც, რომლებიც მთელი ძალებით, ორგანიზებულად და კოორდინირებულად ცდილობენ, ერთი მხრივ, არასასურველი

ინფორმაციების გადაფარვას და, ამავდროულად, მათი დამკვეთისთვის ხელსაყრელი ამბების ტირაჟირებას. დეზინფორმაციის სამიზნე არის ფართო აუდიტორია, რომელსაც უჭირს ოსტატურად შეფუთული დეზინფორმაციის გამორჩევა. ამ პროცესში, პროდასავლურ მედიას უწევს ჟურნალისტური საქმიანობის პარალელურად გაუმკლავდეს ტროლ-ბოტების „შემოსევას“. ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობის გამო, ეს რთული ამოცანაა.

ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენელი ამბობს, რომ ქართული სახელისუფლო მედია რუსული სცენარის ანალოგს ავითარებს და სტრუქტურულად უკვე ზუსტად ისეა აწყობილი, როგორც რუსეთის პროპაგანდისტული მედია. ოპოზიციისგან განსხვავებით, მმართველ პარტიასთან ასოცირებული ჯგუფები უფრო გეგმაზომიერად და კოორდინირებულად მოქმედებენ: „ოპოზიციისა და მმართველი პარტიისთვის პოლარიზება მომგებიანია და უფრო მეტიც - მათ მიერ პოლარიზება ყოველდღიურად იგეგმება. პრობლემა პროდასავლურ ფლანგზე კოორდინაციის ნაკლებობაა. კოორდინაციის პრობლემა აქვს პროდასავლურ მედიასაც, რასაც ვერ ვიტყვით პრორუსულ და ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ მედიაზე, რომელიც კოორდინირებულია. მმართველი პარტიის მიერ შექმნილი „ცენტრიდან” კონტროლდება ყველა, რამდენიმე ადამიანი „ქართულ ოცნებიდან” უშუალოდ აკონტროლებს მედიას, სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები აკონტროლებენ სოციალურ ქსლებს (მეტწილად „ფეისბუქს”). როგორც კი „ცენტრი” მიიღებს გადაწყვეტილებას - ყველამ იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს. თუ პროსახელისუფლებო არხის - „იმედის” მთავარ საინფორმაციო გამოშვებას უყურებ, უკვე იცი, რომ თემა შეიძლება გააგრძელოს „რუსთავი 2”-მა, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა” და ა.შ. მათი პოლიტიკაა - ყოველდღე იმეორონ ერთი და იგივე მესიჯები. ამას აკეთებენ სისტემურად და სწორედ ესაა რუსული და საბჭოთა მოდელი”, - განაცხადა მან. იგივე მონაწილის აზრით, გამოსავალი მხოლოდ ერთია - ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილმა მედიასაშუალებებმაც უნდა გამონახონ საერთო ენა: „როგორი კონკურენტებიც არ უნდა ვიყოთ, თუ ჩვენს შორის სტრატეგიული კომუნიკაცია არ იქნება, არაფერი გამოვა“.

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში, სადაც მიზანმიმართულად ხდება რუსული ნარატივის გავრცელება და ამ მიმართულებით მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. რეგიონის მოსახლეობა, განსაკუთრებით მოწყვლადია ადგილობრივი ავტორიტეტების მიმართ და ეს წარმოადგენს საფრთხეს, დეზინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით. მაგალითად, ხარაგაულის გაზეთის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში მათ რეგიონში განსაკუთრებულად გააქტიურდა რუსული „რბილი ძალა“, რომლის მიზანი საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებაა. ამისთვის, აქტიურად იყენებენ რეგიონის ავტორიტეტებს. ჟურნალისტმა გაიხსენა ოკუპანტი ქვეყნის/რუსეთის დიპლომატი, რომელიც აფინანსებს სახელმწიფო დაწესებულებებში გამართულ ღონისძიებებს, ეხმარება სკოლას და სხვ. ეს საზოგადოების განწყობებზე მოქმედებს.

რუსული ძალის მიერ ავტორიტეტების გამოყენებაზე საუბრობს ტელეკომპანია „ბორჯომის” წარმომადგენელიც. მისი თქმით, რეგიონში საკმაოდ ავტორიტეტულ ადამიანებს აქვთ სენტიმენტები რუსეთის მიმართ - რაც, მიმდინარე მოვლენების ფონზე, გასაკვირი, თუმცა ფაქტია. „ეს საფრთხეა, რადგან რეგიონის მოსახლეობაში ავტორიტეტების სიტყვის ძალას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ სულ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ახლოს ვართ ეთნიკური უმცირესობების დასახლებებთან და ეს განწყობები იქ განსაკუთრებით იგრძნობა, მაგრამ არც სხვა მუნიციპალიტეტები გამოირჩევა სხვაგვარი დამოკიდებულებით - ხანდახან ისეთი ადამიანები საუბრობენ რუსეთის „სიკეთეებზე”, რომ მიკვირს. არჩევნებზე გამოჩნდება ეს განწყობები”, - ამბობს რესპონდენტი ტელეკომპანია „ბორჯომიდან.”

4.3.3. მედიის გამოწვევები არჩევნების წინ

არჩევნებისთვის მზადების პროცესი, ნებისმიერი ქვეყნისა და მისი საზოგადოების - სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სტილის ცვლილებას იწვევს. პოლარიზებულ გარემოში პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირების მასშტაბი უფრო გამოკვეთილი ხდება მედიაშიც. თავად მედიისთვის კი, უკვე არსებული საფრთხეები (ჟურნალისტების დაუცველობა, ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის ბარიერები, დისკრედიტაციის კამპანიები და სხვ.) აქტიურდება. მედია არა მარტო აშუქებს პოლიტიკურ კრიზისებს, არამედ ცდილობს გაუმკლავდეს მედიაში შექმნილ საფრთხეებს. მნიშვნელოვანია, რა გამოწვევებითა და რესურსებით, მოლოდინებით ხვდება მედია 2024 წლის არჩევნებს.

წინასაარჩევნო პერიოდში ქართული მედია ბრძოლის მოგების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რადგან ის არის ინფორმაციის გამტარი პოლიტიკურ პარტიებსა და ხალხს შორის და რეალურად, სწორედ მედია განაპირობებს ამომრჩევლის ინფორმირებულ არჩევანს. დამოუკიდებელი მედიისთვის მუშაობა კიდევ უფრო რთულდება მაშინ, როცა მედიის ერთ მხარეს მმართველი პარტიაა წარმოდგენილი, მეორე მხარეს კი - ოპოზიცია. პოლიტიკურ პარტიებს აქვთ გარანტირებული ტრიბუნა და ნაკლებ ძალისხმევას ხარჯავენ მათგან დამოუკიდებელი მედიაპლატფორმებისთვის.

კვლევაში ჩართული რეგიონული თუ ნაციონალური მედიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პოლარიზებულ გარემოში არჩევნების პროცესების ობიექტური გაშუქება მთავარი გამოწვევაა. ჟურნალისტების გამოცდილებით, წინასაარჩევნოდ პოლარიზება მწვავდება და ეს აისახება მედიის ყოველდღიურ მუშაობაზე. კონკრეტულად: პოლარიზებული მხარეები გაურბიან მოწინააღმდეგე მხარესთან ასოცირებულ მედიაში გამოჩენას, კომენტარებს, ინფორმაციის გაცემას. ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედებს გაშუქების ხარისხზე, საზოგადოების ნდობისა და ინფორმირებულობის შემცირებაზე. ამ პროცესში, მედიის მცდელობა, რომ ყველა შესაძლო გზით მოიძიოს ინფორმაცია (მათ შორის, ჩაუსაფრდეს რესპონდენტებს და ეცადოს ამ რეჟიმში მოიპოვოს პასუხები), თავის მხრივ, მხარეების (პოლიტიკოსებისა და ხშირად, მაყურებლის) გაღიზიანებას იწვევს.

როგორც ბორჯომის ტელევიზიის წარმომადგენელი აღნიშნავს, წინასაარჩევნო პერიოდში ტელევიზიის საეთერო ბადე მოიცავს პირდაპირ ეთერში დებატებს, თუმცა როგორც წესი, ხელისუფლებისა და მმართველი გუნდის წარმომადგენლები უარს ამბობენ მსგავს დებატებში მონაწილეობაზე. შედეგად, ერთი მხრივ, მოსახლეობის კითხვები უპასუხოდ რჩება, მეორე მხრივ კი, თავად მოსახლეობას რჩება შთაბეჭდილება, რომ მედია მიკერძოებულად აშუქებს მხოლოდ ერთ მხარეს. ეს იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას და უკმაყოფილებას მედიის მიმართ.

„მთავარი არხის" წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მმართველი გუნდის მიერ მედიის მისამართით გატარებული ყველა საკანონმდებლო ცვლილება მიმართული იყო მათი საქმიანობის შეზღუდვისკენ/გართულებისკენ - რასაც აუცილებლად კარგად გამოიყენებენ სწორედ არჩევნების პერიოდში, მაშინ, როცა საზოგადოებას ყველაზე მეტად დასჭირდება ობიექტური და მრავალმხრივი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად.

მედიის წარმომადგენლების აზრით, წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით (2020 წელი), საგრძნობლად გაუარესდა კრიტიკული და/ან დამოუკიდებელი მედიის ფინანსური მდგომარეობაც, ხოლო მთელი სამთავრობო კამპანია მიმართულია იქითკენ, რომ გადაუკეტონ ფინანსური წყაროები კრიტიკულად განწყობილ მედიას. ფინანსური პრობლემები იწვევს ადამიანური რესურსის ნაკლებობას, ადამიანური რესურსის ნაკლებობა კი, თავის მხრივ, მასალის გაშუქების პრობლემებს.

მედიის წარმომადგენლები საგანგაშოდ მიიჩნევენ იმას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პიკს აღწევს ჟურნალისტების შეურაცხყოფის, მათზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, ლანძღვა-გინების და ცილისწამების ფაქტები. „ეს ჩვენთვის უკვე ბუნებრივი გარემოა და შეჩვეულებიც კი ვართ ამგვარ გარემოში მუშაობას",- ამბობს „სამხრეთის კარიბჭეს" ჟურნალისტი.

წინასაარჩევნო გამოწვევებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. „ტროლების და ბოტების" თემა. მედიის წარმომადგენლებისთვის, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია მათთან გამკლავება, რადგან „ისინი ყველგან არიან" და ჟურნალისტებს არ ძალუძთ „ტროლ-ბოტების" მიზანმიმართულ, კარგად დაგეგმილ და ასევე, კარგად დაფინანსებულ კამპანიას გაუმკლავდნენ. ამის შედეგი, კი მოსახლეობის არასათანადო და მიკერძოებული ინფორმირებულობაა - ამბობენ რესპონდენტები ტელეკომპანია „ბორჯომიდან" და „კახეთის ხმიდან".

მედიის წარმომადგენლები გამოწვევად მიიჩნევენ 2024 წლის არჩევნების ელექტრონული წესით პირველად ჩატარებას, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს გარკვეულ დაბნეულობას და პრობლემებს გამოიწვევს ამომრჩეველში. ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ დასჭირდებათ გადამზადება იმისთვის, რომ ელექტრონული არჩევნების პროცესი სათანადოდ გააშუქონ. რეგიონული მედია „ტოკ-ტვ"-ს წარმომადგენელი ამბობს: „არჩევნები წელს ტარდება ელექტრონული წესით და საჭიროა ახალი უნარებით აღჭურვა, რათა იცოდე, რას უნდა მიაქციო ყურადღება"...

არჩევნებისთვის მზადების პროცესი მედიაში დაგეგმვით იწყება. დაგეგმვა შეეხება როგორც ფინანსური წყაროების, ასევე ადამიანური რესურსების მობილიზება-განაწილებას. მედიის საარჩევნო პროცესისთვის მზადება მოიცავს ტრენინგებს უსაფრთოების მიმართულებით, თუმცა, ამ მხრივ აქტიური მუშაობა დაწყებული არ არის.

შეჯამებისთვის: მედიაკონტენტზე პირდაპირკორელაციურად აისახება ყველა ის გარე თუ შიდა ფაქტორი, რომელიც კონკრეტული დროის პერიოდში საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და პირდაპირ ან/და ირიბად ცვლის/ქმნის საზოგადოების განწყობებს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული გამოწვევაა რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა. დამოუკიდებელ მედიას, შეზღუდული ფინანსების გამო, ამ პრობლემასთან ბრძოლა უჭირს. მედიისთვის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ პერიოდს არჩევნების პერიოდი წარმოადგენს, როცა მედიაგარემოში არსებული საფრთხეები კიდევ უფრო ხილული ხდება და მძაფრდება. პოლარიზაციის გამო რთულდება ინფორმაციასთან წვდომა და ფერხდება ამომრჩევლის ინფორმირებაც. ამ ყველაფერმა, შესაძლოა, ირიბი ზეგავლენა მოახდინოს ინფორმირებული არჩევანის ხარისხსა და, საბოლოოდ, არჩევნების შედეგზეც.

4.4. ჟურნალისტურ წყაროებთან ხელმისაწვდომობა

ეფექტური მედიასაქმიანობის, ობიექტური, კრიტიკული და თავისუფალი მაუწყებლობის მთავარ წინაპირობას ჟურნალისტურ წყაროებზე ხელმისაწვდომობა და ამით დაბალანსებული ინფორმაციის შექმნის შესაძლებლობა წარმოადგენს. ამდენად, ნებისმიერი მედიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წვდომა მისთვის საჭირო საინფორმაციო რესურსზე. ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა, მისი თავისუფალი დინება საზოგადოებიდან მედიისკენ და პირიქით - განაპირობებს ფუნდამენტური უფლებების დაცულობას, მედიის სანდოობას და მის მიმართ სოლიდარობასაც.

ქართულ მედიაგარემოში წყაროებთან ხელმისაწვდომობის პრობლემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ჟურნალისტები წუხან ორივე მხარის (როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციის) მხრიდან ინფორმაციის მიღების, კომენტარის გაკეთების, წყაროებთან წვდომის პროცესის ხელოვნურ გართულებაზე. კრიტიკულ მედიისთან ყოველდღიური ურთიერთობა კი თითქმის სრულად გადის მმართველი პარტიის მხრიდან ინფორმაციის შეზღუდვის, დაბლოკვის და წყაროების სავარაუდო დაშინების პრაქტიკაზე. ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედიისთვის ასევე პრობლემაა ოპოზიციური პარტიებისგან ინფორმაციის მიღება. ეს, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, დაბალანსებული მედიაპროდუქტის შექმნას უშლის ხელს, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების თვალში მედიის სანდოობის ხარისხზე ნეგატიურად აისახება. ტელეკომპანია „რუსთავი 2”-ისა და „იმედის” ჟურნალისტები ამბობენ, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ოპოზიციური პარტიებიდან მათ არ ატყობინებენ ბრიფინგებისა და პრესკონფერენციების შესახებ, რადგან აღიქმებიან „არასასურველ“ მედიად.

კრიტიკული მედიის წარმომადგენლები იხსენებენ წყაროების დაშინება-დაშანტაჟების ფაქტებს, რაც მათ რეალობის ობიექტურად გაშუქების საშუალებას უკარგავს, ხოლო საზოგადოებას, ობიექტური რეალობის დანახვის შესაძლებლობას ართმევს. რესპონდენტი „აი, ფაქტიდან” ამბობს: „ჩვენს რესპონდენტს იმ სტატიის სოციალურ ქსელში გაზიარებისაც კი შეეშინდა, სადაც თვითონ იყო რესპონდენტი. ეს შიში უკვე ყველა წყაროსთან იგრძნობა“.

რესპონდენტები საუბრობენ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ხანგრძლივ და განზრახ გაჭიანურებულ ვადებზე, რა პერიოდშიც პრობლემამ შესაძლოა აქტუალობა დაკარგოს. ჟურნალისტები იხსენებენ ინფორმაციაზე უარის თქმის სხვადასხვა საბაბსაც, როგორიცაა ტექნიკური შეფერხება, საჯარო უწყების ვიზუალური გადაღების აკრძალვა და ა.შ.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საპარლამენტო სივრცე ჟურნალისტებისთვის შედარებით კომფორტული სივრცეა ინფორმაციის მიღებისა და სახელისუფლებო და ოპოზიციურ წყაროებთან ურთიერთობისთვის. ჟურნალისტებს, რომლებიც არ მუშაობენ პარლამენტში, გაცილებით უჭირთ რესპონდენტების მოძიება. რესპონდენტების შეფასებით, აკრედიტაციის ახალმა წესმა პრაქტიკაში წყაროებთან ხელმისაწვდომობა შეზღუდა და ჩარჩოებში მოაქცია. „ტვ პირველის” ჟურნალისტი პრობლემად მიიჩნევს იმას, რომ რესპონდენტებს სახელისუფლებო პრეს-ცენტრი არჩევს და არა ჟურნალისტი: „არსებობენ დეპუტატები, რომლებიც ფაქტობრივად, ვერაფერს გპასუხობენ, ზოგად კომენტარს აკეთებენ და კრიტიკული კითხვები რჩება ისევ პასუხგაუცემელი. პასუხგაუცემელი კითხვების ეთერში გაშვებისას, ისევ მედია ჩანს მიკერძოებული”.

ეს ლოგიკა ვრცელდება როგორც სახელისუფლებო რგოლის წარმომადგენლებზე, ასევე ოპოზიციაზეც. რესპონდენტი ტელეკომპანია „ფორმულა”-დან აღნიშნავს, რომ „ძალიან გართულებულია ოპოზიციურ პარტიებთან კომუნიკაცია და პარტიის ლიდერების ეთერში მოყვანა”. კომენტარის გაკეთებისას, პოლიტიკური მხარეებისთვის არ აქვს მნიშვნელობა მედია

რა შინაარსის მასალას ქმნის და არის თუ არა ეს მასალა პოლიტიკაზე. ჟურნალისტების აზრით, არსებობს ე.წ. შავი სია, რომელშიც ჟურნალისტები კრიტიკული მასალების გაშუქების შემდეგ ხვდებიან. ამის შემდეგ, შეზღუდვა მათთან თანამშრომლობაზე სულ გრძელდება (რესპონდენტი „სტუდია მონიტორიდან"). სამწუხარო რეალობაა ისიც, რომ მსგავს პრობლემებზე საუბრობენ როგორ ნაციონალური, ასევე რეგიონული მედიასაშუალებები.

შეჯამებისთვის: რაც მეტია პოლარიზაცია, მით მეტი ბარიერი ჩნდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რადგან, ერთი მხრივ, ოპოზიცია და მეორე მხრივ, მმართველი პარტია, ერიდებიან მათ მიმართ კრიტიკულად განწყობილ მედიასაშუალებებთან კომუნიკაციას, აწვდიან მშრალ ინფორმაციას ყოველგვარი დამატებითი განმარტებების გარეშე ან - საერთოდ არ აწვდიან.

4.5. საგამოძიებო ჟურნალისტიკის გამოწვევები

ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საგამოძიებო ჟურნალისტიკა, რომელიც გაცილებით მეტ ადამიანურ, ტექნოლოგიურ, დროის და, რა თქმა უნდა, ფინანსურ რესურსს მოითხოვს. იმის გამო, რომ საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიზანია, ამხილოს მაღალი იერარქიის პირთა დანაშაულებრივი ქმედებები, სააშკარაოზე გამოიტანოს ის საკითხები, რისი მიჩქმალვაც გარკვეული ძალების ინტერესშია, აიძულოს დამნაშავე პირები, ჩამოსცილდნენ მმართველ რგოლებს და წვლილი შეიტანოს ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ჟურნალისტური საქმიანობის ეს სფერო ხშირად ხდება მმართველი ძალების მხრიდან დისკრედიტაციის და შევიწროების ობიექტი. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა რეპორტიორები საზღვრებს გარეშე (Reporters Without Borders), Freedom House, თავიანთ ანგარიშებში ასახავენ რუსეთის, ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეას, თურქეთის, ეგვიპტის, საუდის არაბეთის მონაცემებს, სადაც მოცემულია გამომძიებელ ჟურნალისტთა შევიწროების და ზოგჯერ მათი ფიზიკური განადგურების მაგალითები. ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ საგამოძიებო ჟურნალისტები საქართველოშიც არიან რისკის ქვეშ.

ქართულ მედიაბაზარზე რამდენიმე საგამოძიებო გადაცემა და გამომძიებელ ჟურნალისტთა სტუდია/ჯგუფი არსებობს: სტუდია მონიტორი (monitori.ge) და „აი, ფაქტი" (Ifact.ge), „რადიო თავისუფლების" ჟურნალისტ გამომძიებელთა ჯგუფი, „ნოდარ მელაძის შაბათი" (ტელეკომპანია "პირველი"), „შაბათის ფორმულა" (ტელეკომპანია „ფორმულა"). საგამოძიებო მასალებს ვხვდებით ასევე ტელეკომპანია „მთავარის" საკვირაო გადაცემასა და გადაცემა „დროებაში" (ტელეკომპანია „ფორმულა"). საგამოძიებო გადაცემა აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელსაც. კრიტიკული მედიის საგამოძიებო ჟურნალისტები მიუთითებენ, რომ კიდევ უფრო გაძნელებულია საჯარო უწყებებიდან ოფიციალური კომენტარების მიღება, საჯარო ინფორმაციის მოპოვება, სასამართლოს მასალების გაცნობა მაშინ, როცა საქმე საგამოძიებო მასალებს ეხება. ძნელია საგამოძიებო ჟურნალისტებისთვის საჭირო ფინანსების მოპოვება. რეგიონული მედია, სურვილის მიუხედავად, ვერ ამზადებს საგამოძიებო მასალებს სწორედ ფინანსების არქონის გამო. „ჩემი ხარაგაულის" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისედაც მწირი დაფინანსების და ბიუჯეტის პირობებში, როცა რეგიონში საზოგადოების ინფორმირებაც კი პრობლემაა, ჟურნალისტური გამოძიების რესურსი აღარაა, თუმცა, სურვილი და საჭიროება დიდია: **„**დიდი სურვილი გვაქვს, რომ საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულებით განვვითარდეთ, მაგრამ ეს ადამიანურ რესურსებთანაა დაკავშირებული. მინიმუმ ერთი ჟურნალისტი უნდა იყოს საგამოძიებო მასალაზე კონცენტრირებული ის ამ დროს ახალი ამბების მომზადებაზე ვერ იმუშავებს" - ამბობს იგი. „რადგან ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულებით, რეკლამიდან და ბიზნესისგან თანხების მოზიდვას გამოვრიცხავთ. ამიტომ მთლიანად დონორებზე ვართ დამოკიდებული", - ამბობს „აი, ფაქტის" ჟურნალისტი.

საგამოძიებო ჟურნალისტები გასული წლის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად კვლავ ასახელებენ საჯარო უწყებებიდან ინფორმაციის მოპოვებისა და ოფიციალური კომენტარის მიღების პრობლემას. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეინიშნება მმართველი გუნდისთვის „მიუღებელი" ტელევიზიებისა და სტუდიების შემთხვევაში, რადგან ჟურნალისტების კითხვების მთავარი ადრესატი, როგორც წესი, ხელისუფლებაა. „სწორედ მათთან წყდება გამოძიების ჯაჭვი და მედია ყრუ კედელს ეჯახება" - ამბობს რესპონდენტი „სამხრეთის კარიბჭედან". ჟურნალისტი "აი, ფაქტიდან" კი აღნიშნავს: "ყველა სახის ინფორმაციას გვიბლოკავენ. ბარიერებს ქმნის არა მარტო მმართველი გუნდი, არამედ ოპოზიციაც".

კვლევამ აჩვენა, რომ „მიუღებელი" თემების გაშუქების თავიდან არიდებას მმართველ გუნდთან ასოცირებული პირები და სახელისუფლებო უწყებები სხვადასხვა ფორმით ცდილობენ. ისინი ბლოკავენ საჯარო ინფორმაცის, არ აძლევენ კომენტარს ან სულაც საჯარო დაწესებულებებში შესვლის პრობლემას უქმნიან ჟურნალისტებს. ამ საკითხზე საუბრობს ჟურნალისტი სტუდია „მონიტორიდან": „სტუდია „მონიტორი" 2005 წელს დაფუძნდა და არ ყოფილა შემთხვევა, როცა პარლამენტის აკრედიტაცია არ გვქონოდა. წელს კი აკრედიტაცია არ გვაქვს, რადგან მათ პირობებს უნდა დავთანხმებოდით, რომ აკრედიტაცია მიგვეღო... გარდა ამისა, საშვებსაც არ გვაძლევენ, გვჩხრეკენ."

საგამოძიებო ჟურნალისტიკისთვის პრობლემაა ისიც, რომ, შიშის გამო, წყაროებს ძირითადად ანონიმურად დარჩენა ურჩევნიათ, რაც საგამოძიებო მედიაპროდუქტისადმი ნდობას ამცირებს. რესპონდენტი „აი, ფაქტიდან" ამბობს: „წყაროებს ანონიმურად დარჩენა უნდათ, არადა საზოგადოების ნდობა ანონიმური წყაროს მიმართ უფრო ნაკლებია". რესპონდენტები რომ შიშის გამო თავს იკავებენ კომენტარებზე, ადასტურებს ფოკუს-ჯგუფის მონაწილე რეგიონული მედიიდან. მიუხედავად იმისა, რომ აქ საგამოძიებო მედიაპროდუქტი იშვიათად ქვეყნდება, ზოგჯერ სჭირდებათ, კონკრეტულმა წყარომ დაადასტუროს ან უარყოს გარკვეული ინფორმაცია, რაც ბოლო პერიოდში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. დისკუსიისას „ჩემი ხარაგაულის" წარმომადგენელმა განაცხადა: „ამ ბოლო პერიოდში ძალიან შეავიწროვეს ჩვენი რესპონდენტები. ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანებიც კი შეშინებულები არიან კომუნიკაციისას... 25 წელია და მეტი, რაც მე ამ რეგიონში მოვიპოვებ ინფორმაციას და კარგად ვიცნობ ამ მხარეს. ახლა ეს ჩემი შეშინებული ნაცნობები ამბობენ, რომ მათ უშლიან კონკრეტულ პრობლემებზე საუბარს... საქმე ისაა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მმართველ პარტიას სოციალური დასაქმების პროგრამაში ჰყავს ჩართული და ისინი თავს ვალდებულად თვლიან, რომ რასაც ეტყვის მმართველი პარტია, ის გააკეთონ".

შეჯამება: საგამოძიებო ჟურნალისტიკის წინაშე არსებული გამოწვევები, პირველ რიგში, ინფორმაციის მოძიებისა შეზღუდულ შესაძლებლობებს და შემდეგ დაფინანსების პრობლემას უკავშირდება. ინფორმაციის ნაკლებობა ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა და პოლარიზაციიდან იღებს სათავეს. დაფინანსების პრობლემა კი დამოუკიდებელი მედიის არამდგრადი დაფინანსების მოდელს უკავშირდება, სადაც მწირია როგორც დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურსები, ასევე, დაბალია ან საერთოდ არ არსებობს საზოგადოების მხრიდან მედიის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა. ეს პრობლემები დამოუკიდებელ მედიას ხშირად აიძულებს, უარი თქვას ამ სახის პროდუქტის შექმნაზე.

4.6. ჟურნალისტების უსაფრთხოება

მსოფლიოში მიმდინარე საომარი მოქმედებების, კერძოდ, რუსეთ-უკრაინასა და ისრაელ-ღაზის შორის სრულმასშტაბიანი ომების ფონზე, საყურადღებოა ჟურნალისტთა უსაფრთხოების დაცვის საკითხები. ჟურნალისტების დაცვის კომიტეტის (CPJ) მონაცემებით (CPJ; 2023) მსოფლიოში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 2023 წელს მოკლულია 69 ჟურნალისტი და მედიაში მომუშავე პირი. ამ ფონზე კიდევ უფრო საყურადღებო და აუცილებელია იმ მექანიზმების ამუშავება, რომელიც შექმნის უსაფრთხო სამუშაო გარემოს ჟურნალისტებისათვის.

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ 2022 წლის მსგავსად (გერსამია, ტორაძე, 2022) ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა კვლავ აქტუალურია. ფსიქოლოგიური წნეხი და, როგორც რესპონდენტები უწოდებენ, „ადამიანის განადგურების რისკები", ყველა აქტიური ჟურნალისტისთვის ძალიან ნაცნობი და მტკივნეული თემაა. ფიზიკური განადგურების საფრთხეების განხილვისას, საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი ჟურნალისტი დისკუსიის პროცესში აქტიური ჟურნალისტებისთვის დაცვის გამოყოფის ინიციატივასაც კი აყენებს.

ჟურნალისტებზე ძალადობა მოდის სხვადასხვა ჯგუფიდან და ხდება სხვადასხვა სივრცეში - ინსტიტუციებში, ქუჩაში, სოციალურ ქსელში. ჟურნალისტები დაუფარავად საუბრობენ მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე - იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური თუ ეკონომიკური. ისინი ძალადობას აწყდებიან თითქმის ყველა მხრიდან - მმართველი გუნდი იქნება თუ ოპოზიცია, შესაბამისად, მათ აქვთ დაუცველობის განცდა და გრძნობენ იმ ზიზღს, რომელსაც მათ მიმართ ავლენენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვიღაცისთვის მიუღებელ მედიასაშუალებას წარმოადგენენ. სხვადასხვა ფორმის ძალადობის საილუსტრაციოდ ჟურნალისტები იხსენებენ მოსყიდვისა და ქრთამის შეთავაზებაზე მინიშნებებს, სასამართლოში ჩივილისა და დაჭერის მუქარებს, ჟურნალისტების ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფებს პირდაპირ ეთერებში და ა.შ.

წინა წლის მედიაგარემოს კვლევაში (გერსამია, ტორაძე, 2022) გამოკვეთილი საფრთხეები მეორდება. კერძოდ, 2022 წელს:

> *„დისკრედიტაცია ყველა ჟურნალისტს შეეხო, განურჩევლად იმისა, თუ რომელი მედიასაშუალების ლოგოს ქვეშ საქმიანობს. წუხილს ამის შესახებ გამოხატავენ როგორც ე.წ. სახელისუფლებო ასევე, ე.წ. ოპოზიციური მედიის წარმომადგენლები. თბილისსა და რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს აქვთ მოლოდინი იმისა, რომ, როცა სამუშაოდ მიდიან, მათ, შესაძლოა, აგრესიულად დახვდნენ. აგრესიის მთავარი ტრიგერი - მიკროფონზე დახატული ამა თუ იმ ტელეკომპანიის ლოგოა. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი ე.წ. სახელისუფლებო მედიას წარმოადგენს, აგრესია მოდის ოპოზიციის მხარდამჭერებისგან, თუ ჟურნალისტი ოპოზიციური არხიდანაა, აგრესია მოდის ხელისუფლების მხარდამჭერებისგან".*

მიკროფონის, როგორც აგრესიის ტრიგერის პრობლემა 2023 წელსაც აქტუალურია. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ ჟურნალისტების პროფესიისადმი ნეგატიური დამოკიდებულება წინასწარაა ჩამოყალიბებული და განპირობებულია არა კონკრეტული მედიაპროდუქტის და/ან კითხვის დასმის გამო, არამედ იმ საქმიანობის გამო, რომელსაც ეწევა მედია. ეს ნებისმიერ „მხარეს" მყოფ ჟურნალისტზე ვრცელდება და მთლიანად ჟურნალისტის პროფესიას აზიანებს. ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტი აღნიშნავს: „აგრესია ჟურნალისტების მიმართ ყოველთვის იყო, თუმცა ახლა ის კრიტიკულ ზღვარზეა. მხოლოდ

იმიტომ, რომ მე კონკრეტულ მედიაში ვმუშაობ, დაუფარავ აგრესიას და ზიზღს ავლენენ ჩემ მიმართ. მეგობრებიც კი დავკარგე ამის გამო, რადგან ისეთი იარლიყი მაქვს მიკერებული, რომელიც პირად ურთიერთობებსაც აზიანებს“.

ჟურნალისტების დაუცველობის შეგრძნებას განსაკუთრებით ამძაფრებს დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც მათ წინააღმდეგ განხორციელებული სხვადასხვა სახის ძალადობას, ფაქტობრივად, ლეგიტიმურს ხდის. დისკუსიაზე არაერთხელ იყო ნახსენები 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, რომლის ორგანიზატორები კვლავაც დაუსჯელები არიან.

გარდა იმისა, რომ ძალადობის ფაქტები ფიზიკური არსებობის საფრთხეებს ქმნის, ის ნეგატიურად აისახება უშუალოდ მედიასაშუალების და ჟურნალისტის საქმიანობის ეფექტურობაზე, რადგან მასალის მოპოვებისას, ჟურნალისტს უსაფრთხოებაზე ფიქრიც უწევს. ეს წნეხი მედიაპროდუქტის ხარისხზე ნეგატიურად აისახება, აჩენს შიშსა და თვითცენზურას. მოცემული საფრთხეების პრევენციისთვის, მედიის წარმომადგენლებმა გამოთქვეს იდეა ისეთი ძლიერი ორგანიზაციის შექმნაზე, რომელიც მედიაომბუდსმენის მანდატით იმოქმედებს და ექნება მყისიერი და ქმედითი რეაქცია ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული ყველა სახის აგრესიასა თუ დანაშაულზე და იზრუნებს მათ დასაცავად**:** „მე უნდა მეგულებოდეს მხარე, ადამიანი რომელიც ჩემთვის როგორც ჟურნალისტისთვის ყველაფერს გააკეთებს და მყისიერი რეაგირება ექნება ყველა სახის გადაცდომაზე“, - ამბობს რესპონდენტი საზოგადოებრივი მაუწყებლიდან. ფოკუს-ჯგუფებზე ითქვა, რომ აქტუალურია ჟურნალისტთა სამართლებრივი დაცვის პრობლემა და საჭიროა რეპორტიორმა იცოდეს - რომელ ორგანიზაციას აქვს რესურსი, რომ ჟურნალისტი დაიცვას უფასოდ: „კარგი იქნებოდა, რომ არსებობდეს ორგანიზაცია, რომელთანაც მიხვალ და ეტყვი, რომ გიჩივლეს და გჭირდება ადვოკატი, რომელიც დაგიცავს”, - ამბობს „აი, ფაქტის“ ჟურნალისტი.

ჟურნალისტთა უსაფრთხოების დაცვის კიდევ ერთ ვერსიად რესპონდენტები მიიჩნევენ გამოცდილი ჟურნალისტების უფრო მეტ აქტიურობას. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი ამბობს, რომ ისეთ აქციებზე, სადაც ფიზიკური დაპირისპირების საფრთხე არსებობს და როგორიც 2021 წლის 5 ივლისი იყო, სჯობს ახალგაზრდების ნაცვლად წავიდნენ დიდი გამოცდილების, ცნობილი ჟურნალისტები, რომლებსაც იმ მასშტაბის ძალადობას ვერ გაუბედავენ.

შეჯამებისთვის: მედიის წარმომადგენლები ცალსახად აღნიშნავენ ბოლო წლებში გაუარესებულ მდგომარეობას ჟურნალისტების უსაფრთხოებისა და მათი დაუცველობის თვალსაზრისით. ამას პოლარიზებულ პოლიტიკური გარემოსა და დაუსჯელობის სინდრომს უკავშირებენ, რომელიც ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ დანაშაულებს თითქოს ლეგიტიმურს ხდის და, ამასთან, აზიანებს ჟურნალისტის პროფესიის საზოგადოებრივ იმიჯს. 2023 წლის შეფასებისას საკვანძო სიტყვა და შესაბამისად, წამყვანი ემოცია არის “შიში”, რომელიც ჟურნალისტების გადმოსახედიდან კლავს პროფესიას.

4.7.მედია ფინანსური კოლაფსის პირისპირ

მედიის დაფინანსების ტრადიციული მოდელი გამოწვევების წინაშე დგას და დაფინანსების ალტერნატიულ მოდელებზე მსჯელობა აქტუალურია დემოკრატიულ ქვეყნებში. საქართველოში მედიის მფლობელებისა და დაფინანსების გამჭვირვალობა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის შეფასებისთვის. ეს ფაქტორი გავლენას ახდენს მედიასაშუალების სარედაქციო დამოუკიდებლობაზე. ფინანსური მდგრადობა და დამოუკიდებლობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მედიის სიცოცხლისუნარიანობისთვის.

2023 წელს დამოუკიდებელი მედიის ფინანსური მდგომარეობა, 2022 წელთან შედარებით, კიდევ უფრო გაუარესდა, რის მიზეზადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" (გერსამია, ვახტანგაშვილი, 2023) გაუარესებულ კანონმდებლობას (2022 წლის მეორე კვარტლიდან აზარტული თამაშების სამაუწყებლო რეკლამის აკრძალვას), ბიზნესგარემოში გაზრდილ თვითცენზურას და მედიაზე გაზრდილ წნეხს ასახელებს. რა გამოწვევები არსებობს ფინანსური მდგრადობის კუთხით და რა შეიცვალა 2023 წელს? რამდენად უკავშირდება პოლიტიკური პოლარიზაცია მედიის ფინანსურ მდგრადობას? როგორია ბიზნეს-სექტორის დამოკიდებულება (რეკლამების მოტანა მედიაში, სპონსორობა, დონაცია) დამოუკიდებელი მედიის მიმართ? - ეს კითხვები დაისვა ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებთანაც.

მედიაკონტენტის შექმნისთვის აუცილებელი ფინანსური საჭიროებები პირველ რიგში დაკავშირებულია ადამიანური რესურსის ფინანსურ ხარჯებთან/ხელფასებთან, ოფისისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საჭიროებებთან, სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებთან. ნაკლები ფინანსური რესურსი პირდაპირ კავშირშია ნაკლებად კვალიფიციურ ადამიანურ რესურსთან, დაბალხარისხიან მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, მრავალფეროვანი და მომხმარებლის ინტერესზე მორგებულ მედია-პროდუქტის შექმნის პრობლემასთან და ლოგიკურად - ჟურნალისტიკის დაბალ ხარისხთან. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მედიის რეიტინგზეც.

ფოკუს-ჯგუფების რესპონდენტთა აზრით, მედიის არსებული დაფინანსების მოდელი კრიზისშია, უფრო ზუსტად კი, „მმართველი გუნდის გავლენებისგან თავისუფალი მედია სულს ღაფავს" (რესპონდენტი რეგიონული მედიიდან). ამ მოცემულობის მიზეზი პოლიტიკური პოლარიზაციაა, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს დამოუკიდებელი მედიის დაფინანსებაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მკვლევრების შეფასებით, „ქართული მედია, როგორც წარმატებული/მომგებიანი ბიზნესი, რთულად ყალიბდება და ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ბიზნესგარემოში გაზრდილი თვითცენზურა... ჰიბრიდული საინფორმაციო ომის პირობებსა და პოლარიზებულ გარემოში, ეს მოცემულობა კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის მედიას. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით აქტუალური ხდება წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც იზრდება პოლიტიკური რეკლამების წილი ტელევიზიებში" (გერსამია, ვახტანგაშვილი, 2023).

ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით რთული ვითარება აქვთ რეგიონულ მედიასაშუალებებს, რომლებიც ძირითადად დონორების დაფინანსებით არსებობენ. რესპონდენტები ამბობენ, რომ „საგრანტო ვალდებულებები სხვადასხვა პირობების დაკმაყოფილებას გულისხმობს - მთელ რიგ შემთხვევაში ეს პირობები უკავშირდება სპეციფიკური მედიაკონტენტის შექმნას, რომელიც რეგიონის მოსახლეობისთვის, შესაძლოა მეორეხარისხოვანი იყოს. რესპონდენტი ტელეკომპანია „ბორჯომიდან" ამბობს: „ჟურნალისტი,

რომელიც საგრანტო პირობებით გათვალისწინებულ მასალაზე მუშაობს, დროს ვეღარ უთმობს რეგიონის მოსახლეობისთვის მეტად აქტუალურ საკითხებს, პრობლემაა დამატებითი კადრების აყვანაც" - ასე იქმნება მანკიერი წრე, რომელშიც ყველა კომპონენტი ერთდროულად პრობლემის მიზეზიც არის და - შედეგიც.

ფინანსური პრობლემების გამო არსებულ სტაგნაციაზე საუბრობს „სამხრეთის კარიბჭეს" წარმომადგენელიც. მისი თქმით, რეკლამების არარსებობა და მხოლოდ დონორებზე დამოკიდებულება არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მედიასაშუალებამ იფიქროს პროდუქციის მრავალფეროვნებასა და განვითარებაზე: „ძალიან ცუდია, რომ რეგიონულ მედიებს არ აქვთ თავიანთი რესურსი და შემოსავალი - მაგალითად, რეკლამა! დამოკიდებული ვართ დონორებზე, არადა, ფინანსური მდგრადობა იმისთვისაა მნიშვნელოვანი, რომ გავზარდოთ ადამიანური რესურსი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ყველა პრობლემა გავაშუქოთ".

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მედიამ, პირველ რიგში, ფეხი უნდა აუწყოს თანამედროვე ტექნოლოგიებს და გარდა მაუწყებლობის ტრადიციული არხებისა, დანერგოს ალტერნატიული ციფრული გავრცელების მექანიზმები. ამას, თავის მხრივ, სათანადოდ გადამზადებული კადრები და ტექნოლოგიური ცოდნა სჭირდება, რაც, ისევ და ისევ, ფინანსურ საჭიროებებზე და, რეგიონული მედიის შემთხვევაში, მის დეფიციტზე გადის.

ნაციონალური მაუწყებლები ასევე საუბრობენ თავისუფალი მედიის დაფინანსების მოდელის ცვლილებისა და ისეთი მოდელის დანერგვის საჭიროებაზე, სადაც მედია არ იქნება იძულებული, შეასრულოს დამფინანსებლის მოთხოვნები. პრობლემურია ჟურნალისტების ანაზღაურების საკითხიც როგორც რეგიონულ, ასევე ნაციონალურ მაუწყებლებში. მიუხედავად იმისა, რომ პროსამთავრობო ტელევიზიებში არაა ფინანსური პრობლემები (მაგ: ხელფასის დაგვიანებით გაცემა), მიზერული ანაზღაურება „იმედისა" და "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტებმაც აღნიშნეს. ფინანსური გამოწვევები კადრების გადინებისა და გადაბირების მიზეზად დასახელდა.

შეჯამება: მედიის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელი პირობაა ფინანსური მდგრადობა, რაც იქნება საფუძველი პლურალისტური, თავისუფალი, დამოუკიდებელი და აუდიტორიისადმი ანგარიშვალდებული მედიაგარემოს შესაქმნელად. რესპონდენტთა აზრით, ამისთვის საჭიროა, შეიცვალოს მედიის დაფინანსების მოდელი, რადგან მწირი სარეკლამო ბაზარი, ხელოვნურად და მიზანმიმართულად გაუარესებული საკანონმდებლო გარემო და მხოლოდ დონორების დაფინანსების იმედზე ყოფნა მედიას, განსაკუთრებით რეგიონებში, არ აძლევს განვითარების შესაძლებლობას, რაც იწვევს დაბალი ხარისხის მედიაპროდუქტის წარმოებას, კადრების გადინებას და კიდევ უფრო ნოყიერ ნიადაგს ქმნის გარკვეული პოლიტიკური ძალების ინტერესების გატარებისთვის.

4.8. მხარდამჭერი მექანიზმები და სოლიდარობის ჟურნალისტიკა

მიუხედავად იმისა, რომ მედიის წარმომადგენლები დაუფარავად საუბრობენ მედიის წარმომადგენლებს შორის პოლარიზაციის მაღალ მაჩვენებელზე, ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა არის ის თემა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ჟურნალისტურ საქმიანობაში - განსაკუთრებით მედიისა და საზოგადოებისთვის კრიზისულ და კრიტიკულ პერიოდებში.

ჟურნალისტები იხსენებენ იმ შემთხვევებს, როცა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ერთმანეთს უზიარებენ მასალებს, ეხმარებიან მედიაპროდუქტის მომზადებაში. სოლიდარობის ამგვარ დემონსტრირებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ იმ ფონზე, როცა ოპოზიციურად განწყობილ და/ან არასაპარლამენტო ჟურნალისტებს სამთავრობო წყაროებთან კომუნიკაციის პრობლემები ექმნებათ.

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი აღნიშნავს: „არის შემთხვევები, როცა მთავრობის წარმომადგენლები უარს ამბობენ, ინტერვიუ მისცენ ოპოზიციურ არხებს, ასეთ დროს სამთავრობო არხის ჟურნალისტები ავრცელებენ ინტერვიუებს „მოჭრილი მიკროფონით" (როცა ლოგო არ ჩანს). ესაა სოლიდარობის დემონსტრაცია, თუმცა გვესმის ისიც, რომ მთავრობის მხრიდან ესაა მედიისთვის შინაარსის ჩარჩოს შეთავაზება". „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი საუბრობს ისეთ შემთხვევებზე, როცა მის კოლეგებს კრიტიკული მედიიდან არ ეძლევათ საშუალება, პირადად დაესწრონ შეხვედრას რომელიმე სახელმწიფო უწყებაში და დასვან კრიტიკული კითხვები. ასეთ დროს ისინი იძულებულნი არიან, იხელმძღვანელონ „საერთო კომენტარით", რაც ინფორმაციის სელექციურობას იწვევს.

პოლარიზაცია ამცირებს მედიის წარმომადგენლების ურთიერთსოლიდარობას. მმართველ პარტიასთან ასოცირებულ მედიასაშუალებებს სწორედ პოლარიზაციის გავლენით ეშინიათ და თავს არიდებენ სოლიდარობა გამოხატონ ოპოზიციური მედიის წარმომადგენლების მიმართ, რადგან ამ ჟესტის აღქმა არ იქნება სათანადო. რესპონდენტი „იმედიდან"-დან ამბობს: „მე მეშინია, გამოვხატო სოლიდარობა ოპოზიციური არხის ჟურნალისტის მიმართ, რადგან მგონია, რომ ჩემს კომენტარს ან პოსტს ჩემივე კოლეგები (მათ შორის, ოპოზიციური არხებიდან) „დასქრინავენ" და აქეთ შემომიტევენ მხოლოდ იმის გამო, რომ „იმედში" ვმუშაობ და ახლა, „მომინდა" სოლიდარობა". რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება და იარლიყების მიკერება, პირველ რიგში, არამომგებიანი და დამაზიანებელი თავად მედიისთვის გახდა.

სოლიდარობის, როგორც უმთავრესი მხარდამჭერი მექანიზმის, მნიშვნელობაზე საუბრობს მედიის ყველა წარმომადგენელი. მათი აზრით, თავად მედიაორგანიზაციებს შორის კოლეგიალობისა და სოლიდარობის აღდგენის წინაპირობა შესაძლოა იყოს ეთიკურობა, რომელიც ყოველდღიური საქმიანობისას მედიას გააერთიანებს.

ჟურნალისტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ როგორც მედიის ურთიერთსოლიდარობას, ასევე მედიისა და საზოგადოების ურთიერთსოლიდარობას. ეს გამოიხატება როგორც ხალხისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის მტკივნეული პრობლემების ეთიკურად გაშუქებაში, ასევე ხალხის პრობლემების ადვოკატირებაში (პოლიტიკოსებამდე და განსაკუთრებით, მმართველ გუნდთან მიტანაში).

ჟურნალისტების განმარტებით, მედიის დაზიანებული იმიჯი და შერყეული ნდობა იმის ბრალია, რომ „პოლარიზაციის პირობებში თავად მედიას დაავიწყდა ხალხი, ისიც აღარ უსმენს ხალხის ხმას და ამდენად, ხალხიც აღარაა მის მიმართ სოლიდარული", - ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი. იმავე პრობლემაზე საუბრობს ჟურნალისტი მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი მედიიდან, კერძოდ „იმედი"-დან: „პრობლემა ისაა, რომ ჟურნალისტები დავშორდით ხალხს. ჩვენ პოლიტიკისა და პოლიტიკოსების შემადგენელ ნაწილად აღგვიქვამენ. ამ პროცესში სოლიდარობაც დაიკარგა და პოლიტიკურმა პროპაგანდამ ჟურნალისტის პროფესია დააზიანა. უფრო სწორედ, ჟურნალისტიკა მოკლა"...

ქვეყანაში არსებული მედიაგარემო არაა დამოუკიდებლად მდგომი ინსტიტუცია, რომლის მუშაობის და ეფექტურობის ხარისხი მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული. ისევე, როგორც ნებისმიერი ურთიერთქმედების პროცესი, საზოგადოების - პოლიტიკური სპექტრის და მედიაგარემოს ურთიერთქმედებაც, ურთიერთგანპირობებულია და თითოეული მხარის კონტრიბუცია ამ საქმეში მნიშვნელოვანია ურთიერთქმედების პროცესის ეფექტურობისთვის. ამ მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანია სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია.

ამდენად, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, თუ რა როლი აქვს საზოგადოების ცალკეულ მდგენელს მედიაეფექტურობის საქმეში:

- კვლევის რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკოსთა ჩართულობა (როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის მხრიდან), განსაკუთრებით ბოლო წლებში, იწვევს არა მედიაგარემოს გაჯანსაღებას, არამედ პირიქით - პოლარიზაციის გამწვავებას, ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, მედიის დაფინანსების წყაროების გადაკეტვას, ჩართულ მხარეებს შორის (მედია, ხალხი, ხელისუფლება) სოლიდარობის ხარისხის შემცირებას, ანტაგონიზმის ზრდას, მედიაპროდუქტის ხარისხის გაუარესებას და აუდიტორიის ინფორმირებულობის შემცირებას;

- ჟურნალისტები დაუფარავად საუბრობენ თავისუფალი და კრიტიკული მედიისთვის მიუკერძოებელი დაფინანსების წყაროების არსებობის აუცილებლობაზე და, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოყოფენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების როლს მედიის დაფინანსების ხელშეწყობის საქმეში;

- არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის კუთხით, ხაზს უსვამენ მედიაორგანიზაციების მიმართ სოლიდარობის საჭიროებას, რომელიც, ძირითად შემთხვევებში, მედიის მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში მათი მყისიერი რეაგირებით და ჟურნალისტების დაცვის ინიციირებით იქნება გამყარებული;

- ბიზნესის წარმომადგენლების როლი მნიშვნელოვანია დაფინანსების კუთხით, რომელიც ასევე უნდა იყოს მიუკერძოებელი;

- საკმაოდ ნეგატიურად ფასდება გავლენიანი რელიგიური ორგანიზაციების და პირების როლი, „საპატრიარქო, ისევე როგორც მმართველი პარტია და ოპოზიცია, დესტრუქციულია მედიაგარემოს გაჯანსაღების პროცესში"... (რესპონდენტი „ტოკ-ტვ"-დან). ეკლესიის „დამსახურებად" მიიჩნევენ ასევე ჟურნალისტების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებისა და ანტაგონიზმის გაღვივების ხელშეწყობას: „ეკლესიას ქრისტიანობის მტრად ვყავართ გამოცხადებული. ისინი აქეზებენ მრევლს ჩვენ წინააღმდეგ, გვლანძღავენ" (რესპონდენტი „აი, ფაქტიდან").

ჟურნალისტური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისთვის ჟურნალისტები საჭიროდ მიიჩნევენ გადამზადებას შემდეგი მიმართულებით.

- ელექტრონული არჩევნების ჩატარების პროცესი და თავისებურებები;
- პროდიუსერების გადამზადება;
- საგამოძიებო ჟურნალისტიკა და ღია მონაცემების დამუშავება;
- ფიზიკური უსაფრთხოება;
- ჟურნალისტური ეთიკა;
- დარგობრივი ჟურნალისტიკა;
- ხელოვნური ინტელექტი და მედია;
- უცხო ენების კომპეტენციების გაღრმავება.

შეჯამებისთვის: მაშინ, როცა დემოკრატიზაციის და სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მონაპოვარი არის სიტყვის თავისუფლება, ამ მონაპოვრის შენარჩუნებასა და მის გაძლიერებაზე პასუხისმგებელია პროცესში ჩართული ყველა მხარე: მმართველი პარტია და ოპოზიცია, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, ბიზნეს-სექტორი, გავლენიანი ინსტიტუციები და, რა თქმა უნდა, ხალხი - რომელთა კეთილდღეობაც უნდა იყოს დემოკრატიის მთავარი პროდუქტი. მედიის დემოკრატიზაციის პროცესში ხალხის მხრიდან სოლიდარობის ნაკლებობა უკავშირდება იმას, რომ მედია თავად დაშორდა ხალხსა და მის პრობლემატიკას, აღარაა საზოგადოებასა და მათი პრობლემების მოგვარების ხიდი, რაც მედიაგარემოს გამოწვევას წარმოადგენს.

რეკომენდაციები

მედიაგარემოს გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია აქტორების კოორდინირებული და სისტემური მუშაობა, როგორც პოლარიზაციის შესამცირებლად, ასევე არჩევნების გაშუქებისა და რუსულ დეზინფორმაციასთან გამკლავების პროცესში. რეკომენდაციები გაწერილია მედიაორგანიზაციების, ხელისუფლების/მმართველი პარტიისა და ოპოზიციის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის მისამართით და ჩაშლილია სხვადასხვა პრობლემაზე საპასუხოდ. აქვე, ხაზგასასმელია, რომ პოლარიზაციის შემცირება თავისთავად იმოქმედებს ჟურნალისტების უსაფრთხოების გაძლიერებაზე, საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებაზე, სოლიდარობის გაძლიერებაზე და სხვა გამოწვევებზე.

რა უნდა გაკეთდეს პოლარიზაციის შესამცირებლად?

მმართველმა პარტიამ:

- დაიწყოს საქმიანი თანამშრომლობა (კომენტარებისა და ინფორმაციის გაცემა, გადაცემებში მონაწილეობა) კრიტიკულად განწყობილ მედიასაშუალებებთან;
- შეწყვიტოს მედიის სტიგმატიზაციისა და ჟურნალისტების დემონიზაციის კამპანია;
- გაზარდოს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიისთვის იმისთვის, რომ მედიამ შეძლოს ორმაგი ინფორმაციული ნაკადის გამტარის ფუნქციის შესრულება.

სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა:

- ხელი შეუწყონ მედიის დღის წესრიგში საზოგადოებისთვის აქტუალური თემების დაბრუნებას, შეწყვიტონ მედიისგან „მტრის ხატის" შექმნა და კამპანიური სტიგმატიზაცია;
- დროულად მიაწოდონ ინფორმაცია მედიას, გააკეთონ საჯარო კომენტარები, მონაწილეობა მიიღონ გადაცემებსა და დებატებში (სადაც ორივე მხარე, მმართველი პარტიაც და ოპოზიციაც, იქნება წარმოდგენილი);
- გააფართოონ მედიისთვის შეთავაზებული თემატური სპიკერების სია.

მედიამ:

- ნდობის გასაზრდელად, ფოკუსირება მოახდინოს მოსახლეობის პრობლემებზე, დააბრუნოს მედიაში რეალური თუ ცრუ/ილუზორული პოლარიზაციის შედეგად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და დღის წესრიგიდან ხელოვნურად განდევნილი თემები;
- შეამციროს პოლარიზაცია თავად მედიაორგანიზაციებს შორის. ამისთვის აუცილებელია სოლიდარობის გაძლიერება. პირველი ნაბიჯი შესაძლოა იყოს ჟურნალისტების უსაფრთხოებისთვის აუცილებელ მექანიზმებზე შეთანხმება; შემდგომი ნაბიჯები ასევე სასურველია მოიცავდეს ჟურნალისტების საქმიანობასთან (მაგ: ჟურნალისტების აკრედიტაცია, წყაროებთან ურთიერთობა და სხვ) დაკავშირებულ დისკუსიებსა და შეთანხმებებს, ეთიკური სტანდარტების დაცვას;

- მნიშვნელოვანია ჟურნალისტური წყაროების (თემატური და საექსპერტო) გაფართოება;
- თვითცენზურის შესამცირებლად, პოლიტიკოსებთან არაფორმალური ურთიერთობების შეზღუდვა და საქმიანი ურთიერთობის პრაქტიკის დამკვიდრება.

ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

- მედიასა და წყაროებში თვითცენზურის შესამცირებლად მოუწოდონ პოლიტიკოსებს მედიისა და ჟურნალისტების სტიგმატიზაციის შეწყვეტისკენ;
- მოუწოდონ პოლიტიკოსებს მონაწილეობა მიიღონ დებატებში, მოხსნან ინფორმაციის გაცემის ბარიერები და დაამკვიდრონ ჟურნალისტებთან ურთიერთობის საქმიანი პრაქტიკა;
- მხარი დაუჭირონ დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარებას, რომელიც მოიცავს მოსახლეობისთვის აქტუაური სხვადასხვა თემების გაშუქების შესახებ კომპეტენციების ამაღლებას და ამგვარად, ხელი შეუწყონ ამ თემების დღის წესრიგში დაბრუნებას.

აკადემიურმა წრეებმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა:

- დაიწყონ დემოკრატიის მშენებლობისას მედიის როლისა და საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერებისთვის ინტერდისციპლინური (მაგალითად., ჟურნალისტიკამცოდნეობის, მედიაფსიქოლოგია, სამართალმცოდნეობა, პოლიტიკის მეცნიერებები და სხვ.) მოდულებისა და კვლევების ხელშეწყობა არა მხოლოდ ჟურნალისტებისთვის.

🚩 რა უნდა გაკეთდეს ჟურნალისტების უსაფრთხოებისთვის?

მმართველმა პარტიამ:

- დაასრულოს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობა, დაიწყოს მყისიერი რეაგირება ყოველ დანაშაულზე, ბოლომდე გამოძიოს დანაშაულები (მათ შორის: 2021 წლის 5 ივლისის ორგანიზატორების დასჯა);
- შეწყვიტოს აგრესიული რიტორიკა, სიძულვილის ენის გამოყენება და ჟურნალისტების წინააღმდეგ დანაშაულის წაქეზება;
- საჯაროდ დაგმოს ჟურნალისტებზე ვერბალური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები (მათ შორის მაშინაც, როცა საქმე ეხება საკუთარი პოლიტიკური გუნდის წევრებს).

მედიამ:

- შეიმუშაოს პროფესიული სტანდარტები ჟურნალისტთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისთვის;
- შეახსენოს საზოგადოებას და პოლიტიკოსებს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, მოითხოვოს გამოძიება და დაუსჯელობის დასრულება;
- გამოხატოს სოლიდარობა კოლეგების მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებისას და დაგმოს ძალადობა (იმისდა მიუხედავად, თუ რომელ მედიას და „მხარეს" წარმოადგენს ჟურნალისტი).

ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

- დაიწყონ მედიაორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის კოორდინირებული მუშაობა იმისთვის, რომ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება მოხდეს საქართველოში ჟურნალისტების შევიწროების საქმეებზე;
- მოითხოვონ ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების ბოლომდე გამოძიება და დაუსჯელობის დასრულება;
- კოორდინირებულად მოითხოვონ ტარგეტირებული სანქციები იმ პირებისა და კომპანიების მიმართ, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევასა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში არიან იდენტიფიცირებულები;
- იმსჯელონ მედიაომბუდსმენის მძლავრი ინსტიტუტის შექმნაზე, რომელსაც ექნება მყისიერი და ქმედითი რეაქცია ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული ყველა სახის აგრესიასა თუ დანაშაულზე და იზრუნებს მათ დასაცავად;
- ხელი შეუწყონ ჟურნალისტების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრის/პლატფორმის შექმნას.

🚩 როგორ მოვემზადოთ არჩევნებისთვის?

არჩევნების წინ მნიშვნელოვანია მედიისადმი ნდობის გაზრდა. ამომრჩევლის ინფორმირებულობისთვის საჭიროა თემატური დებატები და დისკუსიები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ჩათვლით); ამისთვის:

მმართველმა პარტიამ და/ან პოლიტიკოსებმა:

- შეწყვიტონ ბოიკოტის რეჟიმი მედიასთან, დაიწყონ პირდაპირ ეთერში დებატებში მონაწილეობა და კომენტარების მიცემა;
- დაამკვიდრონ მედიის წარმომადგენლებთან ფორმალური, საქმიანი ურთიერთობის პრაქტიკა;
- მოხსნას ბარიერები საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.

მედიაორგანიზაციებმა:

- მედიის დღის წესრიგში შემოიტანოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები, მოითხოვოს ანგარიშვალდებულება ხელისუფლებისგან და პოლიტიკური პარტიებისგან;
- შექმნას კონტენტი სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმებისთვის (tick-tok, Facebook, Instagram, X, და სხვ.), დაიწყოს მასალების გავრცელებისას აუდიტორიაზე მიკრო-ტარგეტირება.

ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

- შესთავაზონ მოდულები და ვორქშოპები მედიას ელექტრონული არჩევნების პროცესის გაშუქების თავისებურებების შესახებ;

- გააძლიერონ მედიაში სიძულვილის ენის გამოყენების მონიტორინგი და შეიმუშაონ რეკომენდაციები მის შესამცირებლად;
- ხელი შეუწყონ საგამოძიებო ჟურნალისტიკას და მხარი დაუჭირონ ამ კუთხით შექმნილ მედიაკონტენტს.

🚩 რა უნდა გაკეთდეს კანონის მედიის წინააღმდეგ ინსტრუმენტალიზაციის შეჩერებისთვის?

მმართველმა პარტიამ:

- შეწყვიტოს ჟურნალისტების საქმიანობის ხელისშეშლისთვის და შეზღუდვისთვის კანონის ინსტრუმენტალიზაცია, უზრუნველყოს ინკლუზიური გარემო (მედიისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა) კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის.

მედიამ:

- გამოხატოს სოლიდარობა მედიისა და აქტივისტების წინააღმდეგ ამოქმედებულ SLAPP-ის პრაქტიკაზე;
- გააშუქოს ჟურნალისტების შევიწროების საქმეები და შეახსენოს ხელისუფლებას ანგარიშვალდებულებები.

ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

- გააძლიერონ მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების მონიტორინგი და კანონმდებლობის დახვეწის ადვოკატირება;
- მოითხოვონ აკრედიტაციის წესის შეცვლა;
- განახორციელონ მონიტორინგი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის სხვადასხვა ფორმით იმპლემენტაციის შესაჩერებლად;
- დაიწყონ მონიტორინგი სიძულვილის ენისა და უხამსობის რეგულირებაზე;
- გააძლიერონ SLAPP-ის (სტრატეგიული სარჩელები საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ) მონიტორინგი, დაიწყონ ჟურნალისტებში ცნობიერების ამაღლება მსგავსი სარჩელების შესახებ.

აკადემიურმა წრეებმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა:

- ჟურნალისტის პროფესიისა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობა;
- მედიასამართლის სწავლების ხელშეწყობა;
- დაამატონ სასწავლო მოდულებში SLAPP-ის შესახებ თემატიკა.

🚩 როგორ შევამციროთ რუსული დეზინფორმაციის ეფექტი?

მედიამ:

- დაიწყოს რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და მედეგობის გაძლიერებისთვის კონკრეტულ თემებზე (სადაც საზოგადოების ინფორმირებულობა ნაკლებია და მოწყვლადობა დიდი) საზოგადოების პრევენციული ინფორმირება. მაგალითად, მნიშვნელოვანია: საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ევროინტეგრაციის სიკეთეებისა და რუსული იმპერიალიზმის ბოროტების შესახებ; მნიშვნელოვანია ისტორიული ფილმებისა და საგანმანათლებლო გადაცემების მომზადება;

- შეამციროს სიძულვილის ენის გამოყენება და შეწყვიტოს მოწყვლადი ჯგუფების სტიგმატიზაცია; დაიცვას ეთიკის სტანდარტები;

- უზრუნველყოს საინფორმაციო რგოლების და სხვა ტიპის მედიაპროდუქტის მომზადება საზოგადოებაში მედიანიგნიერების ასამაღლებლად: სოციალურ ქსელებში რუსული დეზინფორმაციის, ყალბი ამბების, ტროლებისა და ბოტების უგულებელყოფასა და ამოცნობის საკითხებზე.

ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

- მხარი დაუჭირონ რუსული დეზინფორმაციის გამოვლენისა და საზოგადოების მედეგობის შექმნისთვის კონტენტის სისტემატურ წარმოებასა და პრო-დასავლური მედიის გაძლიერებას.

აკადემიურმა წრეებმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა:

- სასწავლო მოდულებში შეიტანონ რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის თემატიკა და ლიტერატურა;

- დააორგანიზონ ტრენინგები სტუდენტებისა და მედიაში დასაქმებულთათვის იმ თემებზე, რომლებიც რუსული დეზინფორმაციის სამიზნეა.

🚩 რა უნდა გაკეთდეს მედიის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობისთვის?

ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

- მედიის ჩართულობით, იმსჯელონ დაფინანსების სხვადასხვა მოდელების შექმნასა და მხარდაჭერაზე;

- გააძლიერონ საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულება.

მმართველმა პარტიამ:

- მოხსნას ბიზნეს-სექტორზე კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიის დაფინანსების შეზღუდვის არსებული წნეხი;

- შეწყვიტოს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებზე ზეწოლა მოთხოვნით - აღარ დააფინანსონ კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია.

ბიზნეს-სექტორმა:

- მედიასთან თანამშრომლობისას შეწყვიტოს სამთავრობო ან რომელიმე სხვა პარტიის ინტერესებიდან მოქმედება.

მედიამ:

- დაიწყოს დისკუსია მედიაკომპანიების დაფინანსების ჯანსაღი მოდელების დამკვიდრებაზე.

🚩 რა უნდა გაკეთდეს სოლიდარობის გასაძლიერებლად?

მედიამ:

- ორმხრივი სოლიდარობის წასახალისებლად, დააორგანიზოს სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთან არაფორმალური შეხვედრები (ჩართული კამერების გარეშე და არა ჟურნალისტური კონტენტის შესაქმნელად), სადაც დისკუსია გაიმართება მედიის როლსა და დანიშნულებაზე (განსაკუთრებით მოახლოებული არჩევნების კონტექსტში);

- საზოგადოების მხრიდან სანდოობის გასაზრდელად, იზრუნოს სოლიდარობის ჟურნალისტიკის ყოველდღიურ პრაქტიკაში დამკვიდრებაზე: ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მოწყვლადი ჯგუფების (რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, ლგბტქ+ თემის, ბავშვთა და ქალთა, შშმ პირების შესახებ) მხარდამჭერი მასალების მომზადებით; მოსახლეობის პრობლემების თემატური გაშუქებით;

- შეწყვიტოს სხვა მედიაში დასაქმებული კოლეგების შესახებ მადისკრედიტირებელი მასალების მომზადება და დაიცვას კოლეგიალობა, ეთიკის სტანდარტები;

- ჟურნალისტების მედეგობის გაზრდისა და თვითცენზურის შემცირებისთვის, შექმნას ნიუსრუმებში სანდო, მხარდამჭერი გარემო და დაამკვიდროს კოლექტიური სოლიდარობის ჩვენების პრაქტიკა.

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით:

- სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციისთვის, შეიქმნას კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციების სოლიდარობის პლატფორმა.

აკადემიურმა წრეებმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა:

- შექმნან და გააძლიერონ სოლიდარობის ჟურნალისტიკის მოდულები (ადამიანის უფლებების / მოწყვლადი ჯგუფების გაშუქება); მოდულებში ყურადღება გაამახვილონ სიძულვილის ენის გამოყენების ნეგატიურ ეფექტებზე;

- გააძლიერონ ჟურნალისტიკის ეთიკის სწავლება და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ გამოკვეთა, რომ საქართველოში რეალური პოლარიზაციის არსებობა თავისთავად არ გამორიცხავს, რომ აქ ასევე არის სივრცე ცრუ/ილუზორული პოლარიზაციისთვის. პოლარიზაციის ორივე სახით გამოვლინება ნეგატიურად მოქმედებს მედიაგარემოზე და აზიანებს მას.

პოლარიზაცია აწესებს ხელოვნურ ბარიერებს ჟურნალისტური საქმიანობის (ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების) პროცესში. ილუზორული პოლარიზაცია განდევნის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს/დისკურსს დღის წესრიგიდან, რაც აზიანებს და საზოგადოებისთვის უინტერესოს ხდის მედიაპროდუქტს. შესაბამისად, ეს ნეგატიურად მოქმედებს საზოგადოების ნდობასა და მედიის მიმართ სოლიდარობაზე, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა მოახლოებული 2024 წლის არჩევნების კონტექსტში. მედიისადმი შემცირებული ნდობის შედეგად, ვიწროვდება ამომრჩევლის ინფორმირების წყაროები (და მათდამი სანდოობა) და საზოგადოების ჯგუფები კიდევ უფრო მოწყვლადნი ხდებიან პოპულისტური იდეოლოგიების მიმართ.

კვლევის მიმდინარეობისას, მედიაგარემოში არსებული საფრთხეების განხილვისას ყველგან, მთავარ ემოციად იკითხებოდა - შიში, რომელიც, თავის მხრივ, არის ნიადაგი დეზინფორმაციისთვის, თვითცენზურისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის. სწორედ ამ ბარიერის მოხსნაა საჭირო საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის.

დამოუკიდებელ მედიას საქართველოში ჯერ კიდევ რუსული აგრესიის პირისპირ უწევს მუშაობა და არაერთი საფრთხის კონტექსტში, მედიის დამცავი ფარი ნამდვილად არის სხვადასხვა პრო-დასავლური აქტორის კოორდინირებული და მუდმივი საპასუხო მოქმედება მედიაგარემოს გასაძლიერებლად. მედიაში შიშის ატმოსფეროსა და თვითცენზურის შესამცირებლად სწორედ საბჭოთა, იმპერიალისტურ აზროვნებასთან გამკლავებაა მთავარი. ამ გზაზე საკვანძო სიტყვები კი სწორედ მედიის დემოკრატიზაცია - ხალხისა და მედიის ხმის გაძლიერებაა.

დანართი

კვლევაში ჩართული მედიასაშუალებები:

1. ტელეკომპანია „ფორმულა“

2. ტელეკომპანია „მთავარი არხი“

3. საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი

4. ტელეკომპანია „იმედი“

5. ტელეკომპანია „რუსთავი 2“

6. ტელეკომპანია „მაესტრო“

7. ტელეკომპანია “ტვ პირველი”

8. საგამოძიებო სტუდია „აი,ფაქტი“

9. საგამოძიებო სტუდია „მონიტორი“

10. რადიო „კომერსანტი“

11. ონლაინ გამოცემა „პუბლიკა”

12. ონლაინ გამოცემა „ნეტგაზეთი / ბათუმელები“

13. ტელეკომპანია „ტოკ-ტვ“

14. რეგიონული გაზეთი „ჩემი ხარაგაული“

15. მედიაკავშირი „სამხრეთის კარიბჭე“

16. რეგიონული ონლაინ გამოცემა „კახეთის ხმა“

17. რეგიონული ტელეკომპანია „ბორჯომი“

18. „რადიო თავისუფლება“

ინგლისურ ენაზე:

Bail, C., Argyle, L., Brown, T., Bumpus, J., Chen, H., Hunzaker, M., ... & Volfovsky, A. (2018). Exposure to opposing views on social media can increase political polarization. Proceedings of the National Academy of Sciences, 115(37), 9216-9221. https://doi.org/10.1073/pnas.1804840115

Choi, D., Chun, S., Oh, H., Han, J., & Kwon, T. (2020). Rumor propagation is amplified by echo chambers in social media. Scientific Reports, 10(1). https://doi.org/10.1038/s41598-019-57272-3

Cinelli, M., Conti, M., Finos, L., Grisolia, F., Novak, P. K., Peruzzi, A., Tesconi, M., Zollo, F., & Quattrociocchi, W. (2019). (Mis)Information Operations: An Integrated Perspective. *Journal of Information Warfare*, *18*(3), 83–98, available at: https://www.jstor.org/stable/26894683 (last seen: 25.11.2025)

Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, COM(2022) 405 final, (17.06. 2022), Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council, available at: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf (last seen: 25.11.2023)

CPJ, rights groups call on Georgia president to release journalist Nika Gvaramia, available at: https://cpj.org/2023/04/cpj-rights-groups-call-on-georgia-president-to-release-journalist-nika-gvaramia/ (last seen: 24.11.2023)

CPJ welcomes pardon for jailed Georgian journalist Nika Gvaramia, June 22, 2023, available at: https://cpj.org/2023/06/cpj-welcomes-pardon-for-jailed-georgian-journalist-nika-gvaramia/ (last seen: 24.11.2023)

CPJ, Georgian parliament suspends accreditation of 6 pro-opposition journalists, April 14, 2023, available at:https://cpj.org/2023/04/georgian-parliament-suspends-accreditation-of-6-pro-opposition-journalists/ (last seen: 24.11.2023)

CPJ, 'CPJ Data of Journalists in Jail for their Work' (as of 22 January 2020) and Committee to Protect Journalists, 'China, Turkey, Saudi Arabia, Egypt are World's Worst Jailers of Journalists', 11 December 2019;

CPJ, 81 Journalists and Media Workers Killed, 2023, available at: https://tinyurl.com/dzeraxtp (last seen: 08.12.2023)

Enjolras, B. and Salway, A. (2022). Homophily and polarization on political twitter during the 2017 Norwegian election. Social Network Analysis and Mining, 13(1). https://doi.org/10.1007/s13278-022-01018-z

Egorov G., Sonin K., 2022. "The Political Economics of Non-democracy." Journal of Economic Literature, Forthcoming.

European Parliament Targeted Sanctions Report, p.10, available at: https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/de40be3f-69fc-11e8-9483-01aa75ed71a1 (last seen: 24.11.2023)

Findings Report: The Media Freedom Cohort The Summit for Democracy 2023, available at: https://internews.org/wp-content/uploads/2023/03/FindingsReport_MediaFreedomCohort_27March23.pdf (last seen: 25.11.2023)

Freedom in the World, 2023, Georgia (country report), available at: https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2023 (last seen: 30.11.2023)

Gao, Y., Liu, F., & Gao, L. (2023). Echo chamber effects on short video platforms. Scientific Reports, 13(1). https://doi.org/10.1038/s41598-023-33370-1

Georgian parliament reinstates controversial powers to sanction broadcast media, Statement by the Committee to protect Journalists, Oct. 13, 2023, available at: https://cpj.org/2023/10/georgian-parliament-reinstates-controversial-powers-to-sanction-broadcast-media/ (last seen: 24.11.2023)

Georgian Survey of Public Opinion | September – October 2023, IRI, available at: https://www.iri.org/resources/georgian-survey-of-public-opinion-september-october-2023/ (last seen: 05.12.2023)

Gersamia M., Toradze M., Media Environment Before and After 2021 Elections: Threats and Supportive Instruments; Media and Communication Educational and Research Center, 2021.

Gersamia, M., Toradze M., (2022), Media Environment 2022: Threats and Supportive Instruments, Media and Communication Educational and Research Center "Media Voice".

Gersamia, M. ., & Toradze, M. . (2022). Media Environment in Georgia during the Crisis. GEORGIAN SCIENTISTS, 4(4), 220–242. Available at: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.25 (last seen: 13.12.2022)

Gitmez, A. and Molavi, P. (2022). Informational Autocrats, Diverse Societies, https://doi.org/10.48550/arxiv.2203.12698

Kubin, E. and Sikorski, C. (2021). The role of (social) media in political polarization: a systematic review. Annals of the International Communication Association, 45(3), 188-206. https://doi.org/10.1080/23808985.2021.1976070

McCarty „Polarization: What Everyone Needs to Know." Oxford University Press. New York, 2019.

McCoy, J., Rahman, T., & Somer, M. (2018). Polarization and the global crisis of democracy: Common patterns, dynamics, and pernicious consequences for democratic politics, *American Behavioral Scientist*, *62*(1), 16-42.

Media Freedom Coalition statement on the International Day to End Impunity for Crimes Against Journalists, Nov. 2, 2023, available at: https://mediafreedomcoalition.org/statements/joint-statement/2023/day-of-impunity/ (last seen: 24.11.2023)

Media Freedom Coalition – World Press Freedom Day Statement, 3rd May 2023, available at: https://mediafreedomcoalition.org/statements/joint-statement/2023/media-freedom-coalition-world-press-freedom-day-statement-3rd-may-2023/ (last seen: 24.11.2023)

Media Freedom Coalition Statement on Transnational Repression of Journalists and Media Workers, Sept. 15, 2023, available at: https://mediafreedomcoalition.org/statements/joint-statement/2023/transnational-repression/, (last seen: 24.11.2023)

Report on the Use of Targeted Sanctions to Protect Journalists, An International Bar Association Human Rights Institute Report, 2020, Drafted by: Ms. Amal Clooney Barrister, available at: https://mediafreedomcoalition.org/wp-content/uploads/2023/04/Report-on-the-Use-of-Targeted-Sanctions-to-Protect-Journalists.pdf (last seen: 24.11.2023).

Media Freedom Coalition statement on the International Day to End Impunity for Crimes Against Journalists; November 2, 2023, available at: https://mediafreedomcoalition.org/statements/joint-statement/2023/day-of-impunity/ (last seen: 30.11.2023)

Media Freedom Coalition Statement on Transnational Repression of Journalists and Media Workers; September 15, 2023

https://mediafreedomcoalition.org/statements/joint-statement/2023/transnational-repression/ (last seen: 30.11.2023)

Media Freedom Coalition – World Press Freedom Day Statement, 3rd May 2023, available at:

https://mediafreedomcoalition.org/statements/joint-statement/2023/media-freedom-coalition-world-press-freedom-day-statement-3rd-may-2023/ (last seen: 30.11.2023)

Online abuse and harassment against women journalists, Article 19, available at:

https://www.article19.org/onlineharassment/ (last seen: 30.11.2023)

Report on the Use of Targeted Sanctions to Protect Journalists An International Bar Association Human Rights Institute Report; Drafted by: Ms. Amal Clooney; 13 February 2020;

https://mediafreedomcoalition.org/wp-content/uploads/2023/04/Report-on-the-Use-of-Targeted-Sanctions-to-Protect-Journalists.pdf (last seen: 30.11.2023);

Robertson G., Rummery C., 'Why Australia needs a Magnitsky Law', Oct-Dec 2018, Australian Quarterly, Vol. 89, No. 4, p.25.

Sharevski, F., Allice, H., Jachim, P., & Pieroni, E. (2021), (mis)perceptions and engagement on twitter: covid-19 vaccine rumors on efficacy and mass immunization effort. https://doi.org/10.48550/arxiv.2111.05815

Summit of Democracy 2023 (official website), available at: https://summit4democracy.org/ (last seen: 30.11.2023)

Targeted sanctions against individuals on grounds of grave human rights violations; Impact, trends and prospects at EU level; April 2018; https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/de40be3f-69fc-11e8-9483-01aa75ed71a1 (last seen: 30.11.2023);

The New York Times, 'The Growing Threat to Journalism Around the World', 23 September 2019, available at: https://www.nytimes.com/2019/09/23/opinion/press-freedom-arthur-sulzberger.html (last seen: 24.11.2023)

The Role of Law Enforcement Agents: Ensuring Safety of Journalists during Public Demonstrations and elections, 2023, available at:

https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000384920.locale=en (last seen: 30.11.2023)

United Nations Electronic Document Distribution System, available at: https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G20/260/18/PDF/G2026018.pdf?OpenElement (last seen: 25.22.2023)

Vibrant Information barometer 2023, Country report: Georgia, IREX and USAID, available at: https://storage.googleapis.com/vibe.irex.org/Reports/VIBE%20-%20Georgia%202023.pdf (last seen: 25.11.2023)

Wagner, M. (2021). Affective polarization in multiparty systems. *Electoral Studies*, *69*, 1–13. ISSN 0261-3794, https://doi.org/10.1016/j.electstud.2020.102199.

available at: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379420300822 (last seen: 25.11.2025)

Whitten-Woodring, Jenifer, and Douglas A. Van Belle. 2017. "The Correlates of Media Freedom: An Introduction of the Global Media Freedom Dataset." Political Science Research and Methods, 5(1): 179–188

Wilson A., Parker V., Feinberg M, Polarization in the contemporary political and media landscape, Current Opinion in Behavioral Sciences, Volume 34, 2020, Pages 223-228,

ISSN 2352-1546, https://doi.org/10.1016/j.cobeha.2020.07.005, available at: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2352154620301078 (last seen: 25.22.2023)

Urgency in Protecting Journalists ahead of ´Super-Elections Year, UNESCO, November 16, 2023, available at: https://www.unesco.org/ (last seen: 26.11.2023)

ქართულ ენაზე:

არის თუ არა საქართველო მიტაცებული სახელმწიფო?, 11.12.2020, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

„ბიუროკრატიული სკალპელი" კრიტიკული მედიის წინააღმდეგ, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 05.06.2023, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/blog/biurokratiuli-skalpeli-kritikuli-mediis-cinaagmdeg (ბოლო ნახვა: 25.11.2023)

გერსამია მ., ვახტანგაშვილი ნ., 2022 წლის სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის კვლევა, საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო, 02 ოქტომბერი, 2023, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/2022-clis-satelevizio-sareklamo-bazris-kvleva (ბოლო ნახვა: 30.11.2023)

გერსამია მ.; ტორაძე მ., მედიაგარემო 2022:საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები საქართველოში, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრი „მედიახმა"; 2022, ხელმისაწვდომია: https://www.mediavoice.ge/_files/ugd/8d9aa3_4c8fbb8fd70b4870a9e95f906f815a7c.pdf (ბოლო ნახვა: 25.11.2023)

ვის ეკუთვნის ქართული მედია, 2019, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/post/vis-ekutvnis-kartuli-media (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

კომუნიკაცია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, 2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49RvQHz (ბოლო ნახვა: 25.11.2023)

"კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს" საქმიანობა საქართველოს რეგიონებში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), ხელმისაწვდომია: https://isfed.ge/geo/angarishebi/220711014334test, (ბოლო ნახვა: 25.11.2023)

მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადებები, ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

საქართველოს მედიაგარემო 2016-2020 წლებში, 22.10.2020, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Iup3LR (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

პარლამენტში მედიის აკრედიტაციის წესი ზღუდავს ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების შესაძლებლობას, 14.06.2023, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/siakhleebi/article/94829-parlamentshi-mediis-akreditaciis-tsesi-zghudavs-informaciis-mopovebisa-da-gavrcelebis-shesadzleblobas (ბოლო ნახვა: 25.11.2023)

საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები, გამოქვეყნდა 2023 წლის მაისში, ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202023%20telephone%20poll_Eng_PUBLIC%20VERSION_FINAL_03.05%20%281%29.pdf (ბოლო ნახვა: 29.11.2023)

საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის თებერვალი, NDI, კავკასიის ბარომეტრი, ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/nf2022ge/INFSOUF1/ (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის მარტი, NDI, კავკასიის ბარომეტრი, ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/nm2018ge/INFSOUF1/ (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება 1/31/23: საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის დამტკიცების თაობაზე, გამოქვეყნების თარიღი: 06-02-2023, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/11/akreditacia-2023.pdf (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადება, ევროკომისია რეკომენდაციას უწევს ევროკავშირის საბჭოს, დაადასტუროს უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, და წარმოადგენს თავის მოსაზრებებს მათთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ, 17.06.2022, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3WBQ0xH (ბოლო ნახვა: 8.12.2023);

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]

ქარტია მოუწოდებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, გააუქმოს მედიის აკრედიტაციის ახალი წესი, 07.02.2023, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/93826 (ბოლო ნახვა: 25.11.2023)

ქუტიძე დ., ბოლო ათწლეულის რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება, რომლებმაც ქართული მედია შეასუსტეს, 2023, გნომონ ვაიზი, ხელმისაწვდომია: https://gnomonwise.org/ge/publications/researches/110 (ბოლო ნახვა: 25.11.2023)

ჩახუნაშვილი ლ., გენდერული დეზინფორმაცია და გენდერულად მგრძნობიარე გაშუქება, გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის, მედიის განვითარების ფონდი, 2023, ხელმისაწვდომია: https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2023/02/for-guidebook.pdf (ბოლო ნახვა: 24.11.2023)

შალვა პაპუაშვილის ოფიციალური ფბ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo?fbid=744379074360529&set=a.328356262629481 (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

მედია კონტენტი (ქართულ და ინგლისურ ენაზე)

გარკვეულწილად, ხელისუფლება აფერხებს ჟურნალისტების მუშაობას - გაეროს წარმომადგენელი, ონლაინ-გამოცემა “პუბლიკა”,07.11.2023, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/garkveulwilad-khelisufleba-aferkhebs-djurnalistebis-mushaobas-gaeros-warmomadgeneli/ (ბოლო ნახვა: 30.112023)

ევროკავშირის წარმომადგენლობა: ევროკომია გააგრძელებს მაუწყებლობის შესახებ კანონის მონიტორინგს, ონლაინ-გამოცემა “სივილ.ჯი”, 27.10.2023, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/566052 (ბოლო ნახვა: 25.11.2025)

ევროკავშირის პასუხი ხელისუფლების რეგულაციებზე | შეფასებები, ტელეკომპანია „ფორმულა“, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/100241 (ბოლო ნახვა: 25.11.2023)

ირაკლი კობახიძეს წინააღმდეგობის ისტორიის შესახებ დისკუსიები აშფოთებს, ონლაინ-გამოცემა civil.ge, 25/10/202, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/565431 (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტინფოს“ საქმიანობა საქართველოს რეგიონებში; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); 11 ივლისი, 2022; ხელმისაწვდომია: https://www.isfed.ge/geo/blogi/220711014334test (ბოლო ნახვა: 8.12.2023)

პარლამენტის თავმჯდომარე მედიას დონორებთან უჩივის, მედიაჩეკერი, 13.09.2023, ხელმისაწვდომია:https://www.mediachecker.ge/mediagaremo/article/95694-parlamentis-thavmjdomare-medias-donorebthan-uchivis (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

როგორ ვერ მიიღეს რუსული კანონი პროტესტის ქრონიკა; 10 მარტი, 2023 წ. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/photo/rogor-ver-miighes-rusuli-kanoni-protestis-qronika/ (ბოლო ნახვა: 8.12.2023)

„ქართულმა ოცნებამ“ მაუწყებლობის შესახებ კანონში სიძულვილის ენის რეგულირებასთან დაკავშირებული სადავო ცვლილებები დაარეგისტრირა, ონლაინ-გამოცემა civil.ge, 18/10/2023, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/564093 (ბოლო ნახვა: 05.12.2023)

Mukhtarli identifies a top Georgian security official as one of his kidnappers, Kincha Sh., OC Media, https://oc-media.org/mukhtarli-identifies-top-georgian-security-official-as-one-of-his-kidnappers/ (last seen: 30.11.2023);

ავტორების შესახებ

მარიამ გერსამია არის მედიაფსიქოლოგი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. მარიამმა სადოქტორო ხარისხი მოიპოვა 2004 წელს ჟურნალისტიკის განხრით. 2015-2017 წლებში მიიღო პოსტ-დიპლომური განათლება სხეულზე ორიენტირებულ ფსიქოთერაპიაში. აკადემიურ სფეროში 23-წლიანი საქმიანობისას, იყო თსუ-ის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარატმენტის და პროგრამების ხელმძღვანელი (სამივე საფეხურზე), უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ორგზის არჩეული წევრი (2010-1015), ამჟამად კი ხელმძღვანელობს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“.აკადემიური საქმიანობის პარალელურად, მარიამი სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არის ა(ა)იპ „მედიახმის“ დამფუძნებელი და 2023 წლამდე იყო მისი თავმჯდომარე. 2023 წლიდან მარიამ გერსამია არის “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მედია პროექტების მენეჯერი.

მარიამი ასევე, მუშაობდა განათლების და მეცნიერების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად და მინისტრის მრჩევლად (2006-2009), აღმასრულებელ დირექტორად შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (2009-2014). არის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის და სარედაქციო საბჭოს წევრი. არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიატი (2022-2023) და ქალაქ ლუივილის (აშშ) საპატიო მოქალაქე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მაია ტორაძე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი. 2015 წლიდან მაია იყო ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრ „მედიახმის“ გამგეობის წევრი, ხოლო 2023 წლიდან არის ცენტრის თავმჯდომარე. მაიას აქვს სხვადასხვა მედიაგამოცემაში მუშაობის 30-წლიანი პრაქტიკა, მათ შორის ბეჭდური გამოცემებში („შანსი“, კავკასიონი“, „აქცენტი“) კორესპონდენტად და რედაქტორად; ამჟამად არის თსუ–ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” მთავარი სპეციალისტი.

მაია ტორაძემ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 2005 წელს. სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 2006 წელს ჟურნალისტიკის განხრით და ამჟამად არის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. იგი არის სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი, ასევე, 13 პუბლიცისტური კრებულის თანაავტორი და ხუთი წიგნის რედაქტორი. მაია ტორაძე ჩართულია სამეცნიერო–კვლევით პროექტებში. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში.

მარი ბანძელაძე არის სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სოციოლოგი. 2014 წლიდან არის საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საქმიანობის ფარგლებში, მარი უძღვება სოციოლოგიის, პოლიტიკური სოციოლოგიის, სოციოლოგიური კვლევის მეთოდების, მარკეტინგული კვლევის მეთოდების და კვლევის დიზაინის კურსებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების საფეხურებზე. გარდა აკადემიური საქმიანობისა, იგი ეწევა კვლევით პრაქტიკას საქართველოს უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის, „PR-ის და კონსალტინგის ლაბორატორიაში“. მისი პრაქტიკული საქმიანობა ასევე მოიცავს ცალკეული კერძო კვლევითი კომპანიების საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურებას. აქვს სოციოლოგიური, მარკეტინგული და პოლიტიკური კვლევების გამოცდილება 2006 წლიდან. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი - „მედიახმა“ დაარსდა 2015 წელს. ცენტრის მიზანია მედიის და მასკომუნიკაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა, საგანმანათლებლოკვლევითი საქმიანობის განხორცილება და ახალი ცოდნის შექმნის გზით, მედიაწიგნიერების ამაღლების და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობა, მედიაგარემოს შეფასება; ასევე, ინტერდისციპლინური ცოდნის ტრანსფერი და კონსულტირება - მედიის, კომუნიკაციის, მედიაფსიქოლოგიის, მედიასამართლის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით; სამეცნიერო კვლევების წარმართვა, სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის წარმოჩენა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას ცენტრი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიაორგანიზაციებთან. 2023 წლიდან ცენტრი არის “მედიის თავისუფლების კოალიციის” საკონსულტაციო ქსელის ერთადერთი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან.

ვებგვერდი: https://www.mediavoice.ge/ ელ-ფოსტა: info@mcerc.ge;

Facebook: https://www.facebook.com/mediavoice.ge

Instagram: https://www.instagram.com/mediavoice_georgia

LinkedIn: https://www.linkedin.com/company/media-voice-georgia/

Twitter/X: @MediaVoice_Geo

Scan me!

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

ლიბერალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის გთავაზობთ სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიის, მედიისა და პოლიტიკის წარმომადგენლებთან.

ჩვენ ერთად ხელს ვუწყობთ დემოკრატიულ განვითარებას, ვიბრძვით დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ, მხარს ვუჭერთ ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას და ხელს ვუწყობთ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაფუძნებულია სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. გარდა ამისა, ჩვენ ხელს ვუწყობთ დიალოგს სამხრეთ კავკასიაში.

ამ პუბლიკაციაში მოწოდებული QR კოდის სკანირებით, თქვენ გადახვალთ ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიის ვებ-გვერდზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს ვებ-გვერდი არ არის დაკავშირებული პუბლიკაციის ავტორთან ან გამომცემელთან და პუბლიკაციაში გამოთქმული აზრები შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის პოზიციას, ასევე ვებ-გვერდის შინაარსი არ არის მოწონებული ან დამოწმებული პუბლიკაციის ავტორების მიერ. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ვებ-გვერდი მითითებულია მკითხველთათვის, რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ ფონდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებით.

Based on the principles of liberalism, the Friedrich Naumann Foundation for Freedom offers civic education in Germany and more than 60 countries worldwide. In the South Caucasus region, we closely work with partners from civic society, academia, media, and politics. Together, we promote Democracy and fight against disinformation and hybrid warfare. We stand for Human Rights and Rule of Law. We encourage innovative solutions based on the principles of the Social Market Economy. And we foster dialogue by creating a network among Liberals in the South Caucasus.

Scanning the QR code provided in this publication will direct you to the Friedrich Naumann Foundation South Caucasus Webpage page. This page is not affiliated with the author or publisher of this book, and the content of the page is not endorsed or verified by them. The information on the FNF South Caucasus page is provided as a convenience to our readers who may be interested in additional information related to the Friedrich Naumann Foundation for Freedom South Caucasus.

SCAN ME